

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა

ბერიშვილი ხატია

დ.როდინის მონოგრაფიის „ომი და თვითმოგერიება“ (I, II, VII, VIII თავების)

თარგმანი და ანალიზი

ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები:

გაფრინდაშვილი ნანა, თსუ, ფილოლოგიის

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

აბდუშელიშვილი ლელა, განათლების მეცნიერებათა

დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

დევიდ როდინის მონოგრაფია „ომი და თვითმოგერიება“ ეხება ომსა და მშვიდობას. ის შედგება ცხრა თავისგან, ხოლო მთლიანი წიგნი გაყოფილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში ავტორი გვესაუბრება პერსონალურ თვითმოგერიებაზე სამართლიანი თვალსაზრისით. მეორე ნაწილი ეხება სახელმწიფო თავდაცვას კანონიერების ფარგლებში. ორივე ნაწილის მთავარი აზრი არის თავდამსხმელის წინააღმდეგ სიცოცხლისთვის საშიში ძალების გამოყენების მართლზომიერება, რის გამოც არ ვიქნებით ბრალდებული, რაიმე სახის იარაღის სხვის წინააღმდეგ გამოყენების ან მკვლელობისთვის. ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ შტატში თუ თქვენს საკუთარ ტერიტორიაზე ვინმე რაიმე სახის შეურაცყოფას მოგაყენებთ, თქვენ არ დაისჯებით მისი მკვლელობისთვის. მაგრამ ეს არ ითვლება სამართლიანად მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც. თქვენ უნდა დაიცვათ ზუსტი თანაზომიერება სხვის წინააღმდეგ რაიმე სახის ძალის გამოყენებაში. თოფი არ უნდა ესროლოთ მას, ვინც სახეში გაგარტყავთ. ეს იქნება აულცილებლად ბრალეული და თვითმოგერიების მიზეზით გამართლების არანაირი შანსი არ იქნება. მონოგრაფიის ცხრა თავიდან მე ვთარგმნე პირველი, მეორე, მეშვიდე და მერვე თავი.

პირველი თავი ეხება თვითმოგერიების უფლებას, უფლებათა თანმიმდევრულ აგებულებას, ის გვესაუბრება უფლების ქონის და მართლზომიერად ყოფნას შორის სხვაობაზე, პირის წინააღმდეგ სიცოცხლისთვის საშიში ძალის გამოყენების შემთხვევაში გამართლებასა და პატიებაზე.

მეორე თავი წარმოადგენს იურისტი უესლი ნიუქომ ჰოპვუელდის უფლებების მოდელს, რომელსაც ის სამ მნიშვნელოვანი ელემენტის სახით გვიხატავს, სადაც ყოველი შემადგენელი ელემენტი დაკავშირებულია პირსა და უფლებებს შორის არსებულ ურთიერთობასთან. მეორე თავში შეხვდებით წარმოებულ და მთავარ უფლებებს შორის არსებულ სხვაობას, რაზეც გვესაუბრება ჯოზეფ რასი. აგრეთვე აქ საუბარია სრულ და ცალმხრივ უფლებებზე,

რომლებიც ალტერნატიული ტერმინებით ნიშნავს ბილატერალურ და უნილატერალურ
უფლებებს. უფლებებზე დანესებული შებლუდვები,

როგორც არის აუცილებლობა, გარდაუვალობა და პროპორციონალობა მიჩნეულია თავდაცვითი უფლებების მთავარ შეზღუდვებად. მთავარი კითხვა აქ წარმოადგენს თუ რომელი უფლებები და სიკეთების დაცვა იქნებოდა თანაზომიერი სისიკვდილო ძალის გამოყენების შემთხვევაში?

მეშვიდე თავი ეხება პოლიტიკური გაერთიანებებს, ომს და საზოგადოებრივ ცხოვრებას. ეს თავი წარმოადგენს მონოგრაფიის მეორე ნაწილს და გვესაუბრება საელმწიფო თავდაცვით უფლებებზე.

მერვე თავი რომელიც ვთარგმნე ქართულად, ეხება პასუხისმგებლობასა და სამართალ იძულებას. ის სვამს კითხვას, არიან თუ არა ჯარისკაცები პასუხისმგებელი ომში მონაწილეობისთვის; თუ ისინი სახელმწიფო სამართლის წესით არიან იძულებული ომში მონაწილეობის მიღებაში.

Annotation

A monograph of David Rodin “War and Self-defense” is about war and peace. It consists of nine chapters, which as a whole is divided into two parts. In the first part, the author is talking about personal self-defense in terms of legitimacy. And in another one is about legally state defense by lethal forces. In both chapters, the main sense is to use lethal forces against aggressor agents or states so that not to be sentenced for using any gun against or kill somebody. In the USA not in all states, but in some states, you will not be sentenced for killing a person if that enters your own property and makes you any abuse. But it is not justice in all countries in the world. You should keep precise proportionality of force against others. You should not shoot a gun against who slaps in your face. It will be certainly charged with blame and there will not be any chance of justice in the terms of self-defense.

From the nine chapters of the monograph, I have translated the first, second, seventh and eighth chapters.

The first chapter is about the right of self-defense, the logical structure of rights it talks about differentiation of having a right and being in the right, and justification and excuse when using lethal force personally.

The second chapter presents a model of rights by the jurist Wesley Newcomb Hohfeld, who draws it like a three-legged stool, where all the constituent legs concern the relationship between a person and the rights. There in the second chapter, you will find differentiation between derivative and core rights by Joseph Raz. Defense in terms of Raz is a derivative right. Also, there is a talk about full liberty and half liberty, which in alternative terms means bilateral and unilateral rights. The limits on the rights, like a necessity, imminence and proportionality are considered to be the main limitations on defensive rights. And the last topic of the second chapter is the bounds of proportionality. The main question here is if which rights and goods would it be proportionate to defend with lethal force? [Rodin, D., War and Self-Defense, p. 43]

The seventh chapter is about the war of political associations and common life. This chapter of the book constitutes the second part of the monograph and there is a talk about state defensive rights.

The eighth chapter which I have translated into Georgian is the eighth is about responsibility and law enforcement. It questions if the soldiers are or not responsible for taking part in the war. Or they are just enforced to participate in the war by the law of the state?

სარჩევი

შესავალი	8
ნაწილი I თვითმოგერიება.....	15
თავი I	16
უფლებები	16
ჰოპფელდის სამშენებლო აგურები	16
უფლებათა თანმიმდევრული აგებულება	22
უფლების ქონა და მართლზომიერად ყოფნა	25
გამართლება და შეწყნარება	30
თავი II	41
თავდაცვითი უფლებების მოდელი	41
სამ მნიშვნელოვანი ელემენტი	41
თავდაცვა, როგორც წარმოებული უფლება	43
უფლებებზე დანესებული შეზღუდვები: აუცილებლობა, გარდაუვალობა, პროპორციულობა	47
პროპორციულობის საზღვრები	52
ნაწილი II სახელმწიფო თავდაცვა.....	61
თავი VII	62
ომი და საზოგადოებრივი ცხოვრება	62
პოლიტიკური ასოციაცია	66
საზოგადოებრივი ცხოვრების დახასიათება	73
საზოგადოებრივი ერთიანობა და თვითგანსაზღვრა	81
მითი ცალკეულ საზოგადოებებზე.....	86
თავი VIII	93

ომი, პასუხისმგებლობა და მართლწესრიგის უზრუნველყოფა	93
სამართლიანი ომის თეორიის პარადოქსი	93
ჯარისკაცების პასუხისმგებლობა	96
ომი და სამართალიძულება	108
უნივერსალური სახელმწიფოს არგუმენტი	116
თარგმანის ანალიზი	129
დასკვნა	157
გამოყენებული ლიტერატურა	161
ლექსიკონები	162
დანართი N1	163
დანართი N2	164

შესავალი

ყველაზე დიდი მიზანი რასაც კი კაცობრიობამ უნდა მიაღწიოს არის მართლწესრიგზე დაფუძნებული უნივერსალური საციალური საზოგადოება - ამბობს იმანუელ კანტი. [Rodin D., 2002, 7] ერთერთი იმ თითზე ჩამოსათვლელი იდეებისგან, რომლებიც საომარ მოქმედებებზე შეიარაღებული ძალის გამოყენების სამართლიანობის შესახებ გამოითქვა, არის სახელმწიფო თავდაცვის მიზნით გამოყენება. დევიდ როდინის 'სამართლიანი ომის' დოქტრინის იდეა საზოგადოებამ მიიღო, და ასევე იცავს საერთაშორისო სამართალი, გაერთიანებული ერების ქარტიის ჩათვლით. დევიდ როდინის შესანიშნავმა და ორიგინალურმა წიგნმა დიდი წინააღმდეგობა გადალახა სწორედ ამ მოსაზრების გამო. მისი მეთოდი გახლავთ სამეცნიერო კვლევის მეთოდი და შედარებითი მორალი. ტრადიცია სამართლიანად მიიჩნევს სახელმწიფო თავდაცვის უფლების გამოყენებას და პარალელს ავლებს თვითმოგერიების უფლებასთან, რომელსაც ფლობს ინდივიდუალური პირი. ეს უფლება გარკვეულ გარემოებაში ნებას რთავს პირს, გამოიყენოს სიცოცხლისთვის სახიფათო ძალა. თვითმოგერიების უფლება ვრცელდება სახელმწიფოებზეც.

ამ წიგნის პირველ ნაწილში ავტორი იკვლევს სწორედ თვითმოგერიების პერსონალურ უფლების საფუძვლებს, და განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რაშიც მისი გამოყენება იქნება მართლზომიერი. მეორე ნაწილში, ის ამტკიცებს, რომ ამ გარემოებებს არ აქვთ კავშირი სახელმწიფო შემთხვევასთან, რის შედეგადაც წარმოიშობა შეკითხვა, მართლწესრიგის თვალსაზრისით, როდის არის სახელმწიფო იმ მდგომარეობაში, როდესაც ინდივიდუალური პირი იყენებს თვითმოგერიების უფლებას. ინდივიდუალურ შემთხვევაში პირი იცავს საკუთარ სიცოცხლეს, ღირსებას, საკუთარ ქონებას ან სხვა პირს, რომელსაც გარკვეული თვალსაზრისით არ შეუძლია თავის დაცვა, ამ შემთხვევაში თავდამსხმელის მოგერიება, ან მისი მხრიდან მსგავსი მოქმედება იქნება საეკლესიო მართლმსაჯულებით გაკიცხული. რელიგიურ პირებს არ აქვთ ძალის გამოყენების უფლება. ჰიუგო გროტიუსი, ზოგადად მხარს

უჭერს მოსაზრებას: „იმის მკვლევლობაშიც კი, ვინც მზად არის, რომ მოგვლათ, მაინც ის კაცია საქებარი, ვინც უპირატესობას ანიჭებს მოკლან, ვიდრე მოკლას“.[Rodin D., 2002, 7]

სახელმწიფო თავდაცვის შემთხვევაში კი საკითხავია რას იცავს ქვეყანა სუვერენიტეტს, კულტურას, ტერიტორიულ ერთიანობას, თუ ადამიანთა სიცოცხლეს, რომლებიც ამ ომში აღმოჩნდებიან საფრთხის ქვეშ? დევიდ როდინი ერთის მხრივ ეთანხმება შეიარაღებული ძალების გამოყენებას სახელმწიფოთა შორის თავდასხმის შემთხვევაში, ვინაიდან ის ბრწყინვალედ იცნობს საერთაშორისო სამართალს და მსოფლიო ისტორიის ცოცხალ მაგალითებსაც - ბრძოლა სიცოცხლისთვის, ბრძოლა გადარჩენისთვის, და მეორეს მხრივ, მიდის უნივერსალური სახელმწიფოს უტოპიურ იდეამდე, სადაც იკვეთება მისი მაღალი ღირებულებითი წარმოდგენა საყოველთაო კეთილდღეობაზე. ის უნივერსალური სახელმწიფოს იდეამდე არ მისულა ერთი ნახტომით. მან წარმოგვიდგინა რიგი საფეხურები, თუმცა უშედეგოდ. მსგავსი მსოფლმხედველობის მემკვიდრე კაცობრიობა ვერ შეძლებს იმას, რაც მათ წინაპარს არ გაუკეთებია. ომი იყო და იქნება აქტუალური ყველა დროში, რადგან არსებობს ისეთი აბსოლუტური ძალა, როგორც არის ძალაუფლება. ძალაუფლება შობს ძალადობას, ძალმომრეობას, უფლება კი გარკვეულ თავისუფლებას.

კავშირი სამართალს, პოლიტიკასა და მორალს შორის აშკარაა, როდესაც ვსაუბრობთ ომის საკითხზე. მორალური თვალსაზრისიდან, როგორც იმანუელ კანტი ამბობს, ის რაც მორალურად შესასრულებლად სავალდებულოა, პოლიტიკურად შეზღუდულია, იმით თუ რა არის შესაძლებელი მოცემულ გარემოებაში. მეორეს მხრივ, ის რაც პოლიტიკურად შესაძლებელია არსებულ გარემოებაში შეიძლება შეზღუდული იყოს მორალური შეხედულებებით.[Rodin D., 2002, 7]

პოლიტიკური შესაძლებლობა გამიჯნულია სამხედრო შეიარაღებით, მაგალითად ერთი ქვეყანა თუ იყენებს ბირთვულ საომარ შეიარაღებას, მეორეს შეუძლია სათანადო ან უფრო ძლიერი, წყალბადური შეიარაღება გამოიყენოს ან უბრალოდ მიქარა. მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანა მოძველებულ საომარ შეიარაღებას იყენებს? და ფიზიკურად არ შეუძლია დააბალანსოს თავდამსხმელი ქვეყნის იერიშის სიმძიმე? სწორედ ამიტომ,

საერთაშორისო სამართალი ნებას რთავს რიგ ქვეყნებს შეიძინონ იარაღი, ინტელექტი, ააშენონ ქარხნები და თავად აწარმოონ საომარი შეოარაღება, რომ სულ მცირე ადვილად არაფინ არაფერი გაუბედოს. იმ ქვეყნებს, რომლებსაც არც რესურსი აქვს და არც სიმდიდრე, რომ შეიძინოს ეს იარაღი ან ინტელექტი და თავად გახდეს კონკურენტ უნარიანი მსგავსი ძალოვანი იერიშის მოგერიებისთვის, საჭიროებენ სხვა, უფრო დიდი ქვეყნების საომარ მდგომარეობაში გადასვლას და საფრთხეს უქმნიან, როგორც საკუთარ ერს, ასევე მთელ კაცობრიობას. დღეს საომარი იარაღის სიძლიერე ბევრად აღემატება იმ საბრძოლო შეიარაღებას, რასაც ერთი საუკუნის წინ და უფრო ასრე იყენებდნენ. ამიტომ, ისეთი პატარა ერიც კი, როგორიც ისრაელია და ისეთი დიდი და განვითარებული ქვეყანა, როგორც რუსეთია, ფლობს თითქმის თანაბარი სიძლიერის სამხედრო შეიარაღებას, (ბირთვული შეიარაღება) და მათი გამოყენების შემთხვევაში, თითოეული მათგანი მივა ისეთ კატასტროფულ შედეგამდე, როგორც თვით განადგურებაა. სწორედ ამიტომ, ახლო წარსულში რუსეთის ერთერთი სახელმწიფო პირის მიერ, საერთაშორისო შეხვედრაზე, გამოითქვა მოსაზრება, რომ ისეთი ქვეყნები, რომლებიც საკუთარი თავის გადარჩენისთვის შველას ითხოვენ და საომარ მდგომარეობაში რთავენ ისეთ ზე სახელმწიფოებს, როგორიც მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატებია, არ უნდა ფლობდნენ დამოუკიდებლობას. ერთი ზე სახელმწიფოს ომში ჩართვა ბუნებრივად მეორე ზე სახელმწიფოს ჩართვასაც მოითხოვს და ვერანაირად ვერ შეინარჩუნებს ერთერთი მათგანი მაინც იზოლირებულ მდგომარეობას, როგორც მოხდა პირველი მსოფლიო ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში.

აშშ-მ დამოუკიდებლობა მიიღო 1776 წლის 4 ივლისს და პირველი დღეებიდან ატარებდა იზოლაციონიზმის პოლიტიკას, რაც ნიშნავს სხვადასხვა ქვეყნებს შორის არსებული დაპირისპირებისა და კონფლიქტებში ჩარევისაგან თავის შეკავებას. ასე დაუბარა აშშ-ის პირველმა პრეზიდენტმა ჯორჯ ვოშინგტონმა (1789-1799) თავის ცნობილ გამოსათხოვარ სიტყვაში ამერიკულ პოლიტიკოსებს, და განსაკუთრებით აუკრძალა მონაწილეობა მიეღოთ ამერიკულ არმიას ევროპაში არსებულ კონფლიქტებში. თუ XIX საუკუნეში აშშ

იზოლაციონიზმის პოლიტიკას პოლიტიკური-იდეოლოგიური მემკვიდრეობის ერთგულად ატარებდა, XX საუკუნეში, როდესაც აშშ მსოფლიოს ერთერთი უძლიერესი სახელმწიფოთაგან უძლიერესი გახდა, შეუძლებელი იყო იზოლაციონიზმი. იზოლაციონიზმის დარღვევის გადამწყვეტი მიზეზი იყო გერმანიის მიერ, პირველი მსოფლიო ომის დროს, მექსიკისთვის მიწერილი საიდუმლო წერილი, სადაც გერმანია მექსიკას უბიძგებდა აშშ-სთვის შეეტია და სანაცვლოდ გერმანია ამერიკის მიერ მიტაცებულ ტექსასის და სხვა სამხრეთ შტატების დაბრუნებას პირდებოდა. მეორე დღეს, ამ წერილის გამოქვეყნება ნიუ-იორკის გაზეთებში კონგრესის არგუმენტირებული თანხმობის მიზეზი შეიქმნა, მოკავშირეთა სასარგებლოდ ჩართულიყო აშშ პირველ მსოფლიო ომში. [„ჩემი სამყარო“ ჟურნალი N3, 3]

მორალური შესაძლებლობა გამიჯნულია რელიგიით, კულტურით, პოლიტიკური კურსით, საერთაშორისო სამართლით. ასეთ შემთხვევაში პოლიტიკასა და მორალს შორის შეთანხმებას განსაზღვრავს სამართალი და განსაკუთრებით საერთაშორისო სამართალი. საერთაშორისო სამართალი ცდილობს პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში მოქმედებაში მოიყვანოს სამართლიანობის პრინციპები. საერთაშორისო სამართლის დოგმატიკა მოდის საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკიდან. მთავარი ამ საკითხიდან არის ის, თუ როგორ მუშაობს საერთაშორისო სამართალი მორალურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს შორის, რომლებიც ხშირად არიან განსხვავებული და კონფლიქტური. საერთაშორისო სამართალი არის ცოცხალი მაგალითი სასურველსა და შესაძლებელს შორის მოქმედი კომპრომისის ჩამოყალიბების, და როგორც ასეთი, ის არის აუცილებელი წყარო ნებისმიერისთვის ვინც დაინტერესებულია საერთაშორისო ურთიერთობებში მორალური საკითხებით. მისია, რაც საერთაშორისო სამართალს აკისრია მორალის და სამართლის ფილოსოფიის მიმართ არის არსობრივი და ზუსტად განსაზღვრული. ეს განსაკუთრებით რეალობას წარმოადგენდა განვითარების ადრეულ საფეხურებზე, როდესაც შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, დაადგინა, რომ იურისტების და კომენტატორების საქმიანობა სასამართლო ტრიბუნალების მიერ მიმართულია არა სპეკულაციების

ავტორებისკენ, რაც განსაზღვრავს სამართალს თუ როგორი უნდა იყოს, არამედ მიმართულია იმისკენ, თუ როგორი არის სამართალი სინამდვილეში. [Rodin D., 2002, 7]

ნაყოფიერი აღმოჩნდა სამართალსა და ფილოსოფიურ ანალიზს შორის ურთიერთ დამოკიდებულება შიდასახელმწიფოებრივ სფეროში. ფილოსოფოსები ქმნიან იურიდიული კონსტრუქციების ანალიზს, რისი განვითარებაც, განსაკუთრებით კი პრეცედენტულ სამართალში, ხშირად ნაწილობრივი და არასრულია. ერთხელ ჩამოყალიბებულ ზუსტ თეორიულ პრინციპებს შეუძლიათ მეგზურობა გაუწიონ, სისტემურ წესებს ან სამართალ შესწორებებსაც კი. ამ წიგნის პირველ ნაწილში, შეძლებისდაგვარად, წამოდგენილია სისხლის სამართლისთვის კარგად ცნობილი დამახასიათებელი თვისების - თვითმოერიების უფლების ზუსტი თეორიული ანგარიში. [Rodin D., 2002, 7]

შიდა კანონმდებლობის წვლილი მორალურ ფილოსოფიაში თანაბრად მნიშვნელოვანია. როგორც იურისტი, სანთორდ კადიში აკვირდებოდა, სამართალში გვაქვს რიგი ფორმულირებები, რომლებიც დროთა განმავლობაში მონაწილობდნენ იმ კვლევებში, სადაც განვსაზღვრავთ ღირებულების ფასეულობას და არაფასეულობას, სამართლიანობასა და უსამართლობას. ყოველი ამ მიზეზის გამო სისხლის და საერთაშორისო სამართალი დარჩება მნიშვნელოვანი ნაყოფიერი თანამგზავრი მთელი ამ განხილვის განმავლობაში. [Rodin D., 2002, 7]

ავტორი (დ. როდინი), აღნიშნავს თუ რამხელა დახმარება გაუწიეს ფილოსოფოსებმა ამ ტექსტზე მუშაობისას. საკვანძო კონცეფციების კრიტიკული ანალიზი დაეხმარა ზოგადი პრინციპების განსაზღვრაში, საერთო მორალური ინტუიციის გამოკვლევაში. მოგახსენებთ, რომ ფილოსოფიაში ინტუიციას და განსაკუთრებით კოლექტიურ ინტუიციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რამეთუ ფილოსოფია არამატერიალური მეცნიერებაა და ხელჩასაჭიდი ხშირად მხოლოდ ალლო, ინტუიცია და ჭვრეტაა. ინტუიცია, ალლო არის ის, რასაც ფენომენოლოგიური ხედვა ეწოდება, დაინახო სამყარო ისეთი როგორიც ერთი შეხედვით არ ჩანს, თუმცა გარკვეულ განზომილებაში, დროსა და სივრცეში ის სწორედ რომ ასეთია. ავტორი ყოველთვის იმ აზრს ინარჩუნებდა, რასაც სამართალი და პოლიტიკა

გვანჯღის ძალდატანებაზე, შებლუღვებზე და შეღდეგებზე. ის აგრეთვე ლიბერალურად იყენებს იურიდიულ და პოლიტიკურ რესურსებს, როგორც თეორიულ წყაროებს, არგუმენტებსა და კონტრასტებს. ამ გზით ავტორი შეეცადა შეეჭმნა ძლიერი და მაპროვოცირებელი ტექსტი, რომელსაც ზემოქმედება ექნებოდა და დააბალანსებდა ამ რთული თეორიული ხედვის გამჭვირვალობას. [Rodin D., 2002. 7]

მორალს, სამართალსა და პოლიტიკას შორის არსებულ ურთიერთ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ურთიერთობის რეალისტურ და იდეალისტურ თეორიებს შორის არსებობს განხვავება. ავტორის არგუმენტი, ამ საკითხთან დაკავშირებით, არის იდეალისტური იმ გაგებით, რომ ის ემხრობა ობიექტური, მორალური ნორმების არსებობას საერთაშორისო ურთიერთობებში და ასევე მათი მუშაობის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, ავტორს სჯერა, რომ საუკეთესო და იდეალიზმის ყველაზე მოქნილი სახე არის ის, რომელიც ცდება საერთაშორისო პოლიტიკის მუშაობის მყარ და რეალისტურ მოქმედების ჩარჩოებს. [Rodin D., 2002, 7]

ეს წიგნი გვთავაზობს ყოვლის მომცველ ახალ შეხედულებას თვითმოგერიების უფლებაზე, რომელიც პასუხს სცემს უამრავ რთულ შეკითხვას, რომელიც მომდინარეობს იურისტებისგანაც და ფილოსოფოსებისგანაც. ამ თეორიის საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით, როდინი ქმნის კანონიკური 'სამართლიანი ომის თეორიის' ყოვლის მომცველ კრიტიკას. [Rodin D., 2002, 7]

სახელმწიფო თავდაცვითი ომების ახსნა გამართლება არ შეიძლება 'კოლექტიური თვითმოგერიებით', ან პერსონალური თვითმოგერიების ანალოგიით, სახელმწიფოს უფლებაა დაიცვას საკუთარი თავი. რიგი არგუმენტებისა, რომლებიც დომინირებენ 1,500 წლის მანძილზე ომის შესახებ მორალურ და ლეგალურ საკითხთან დაკავშირებით, დღეს გამოუსადეგარია. ამ დასკვნას მივყავართ, XXI საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევამდე: საერთაშორისო ძალმომრეობის რეგულაციის ახალი დადგენილების განვითარება, რომელიც შესაბამისად დააბალანსებს სახელმწიფოთა, საზოგადოებების და ინდივიდუალური პირების ვალდებულებით სამართალს. [Rodin D., 2002, 7]

ამ წიგნის მიზანია ძალოვანი სტრუქტურების მიერ მართლზომიერი დასაბუთება ან ინდივიდუალური პირების მიერ თვითმოგერიების მიზნით სასიცოცხლო მნიშვნელობის ძალის გამოყენება, საკუთარი სიცოცხლის ან მესამე პირის სიცოცხლის გადასარჩენად; ასევე სახელმწიფო ერთიანობის, დამოუკიდებლობის და მატერიალური სახის სიკეთის გადასარჩენად. მატერიალურ სიკეთეში იგულისხმება ხელოვნების ისეთი შედეგები, რომელიც აღუდგენელია. მაგალითად ტრადიციარეის ვიოლინო ან ვან გოგის ნახატი.

[Rodin D., 2002, 7]

ეს წიგნი დაჯილდოებულია 'ამერიკელ ფილოსოფოსთა ასოციაციის' მიერ 'ფრანკ ჩეპმენ შარპის სამახსოვრო პრიზით', როგორც საუკეთესო ესეი ან მონოგრაფია ომსა და მშვიდობაზე.[Rodin D., 2002, 7]

ნაწილი I
თვითმოგერიება

I

უფლებები

თვითმოგერიება ეს არის უფლება. რატომ? რა სახის უფლებაა ის? რა არის მისი ნორმატიული საწყისი? და როგორ არის დაკავშირებული ის სხვა უფლებებთან? ამ თავში, უფლებათა თანმიმდევრული სტრუქტურის კვლევის საშუალებით, ვუპასუხებ ამ კითხვებს. ორი მიზეზის გამო ამგვარი გეგმა შექმნის კარგ საწყისს თვითმოგერიების შესწავლისთვის. პირველი, უფლების ცნება, რომლის სფეროსაც ეკუთვნის თვითმოგერიება, არ არის თვალსაჩინოდ გამოკვეთილი. მეორე, უფლებათა თანმიმდევრული სტრუქტურის შესწავლით, შეგვიძლია დავადგინოთ თავდაცვითი უფლებების სტრუქტურის ყველაზე ზოგადი ფორმა. ამგვარ ანგარიშს აქვს შესაძლებლობა, მოიპოვოს დიდი მნიშვნელობის მქონე ჯილდო.

ჰოპფელდის სამშემებლო აგურები

იურისტი უესლი ნიუქომ ჰოპველდი არის პიონერი უფლებათა თეორიის სფეროში.¹ მიუხედავად იმისა, რომ მისმა ანალიზმა განვითარება ჰპოვა იურიდიულ უფლებათა სფეროში, მისი სტრუქტურა, უამრავი თვალსაზრისით, ეხმიანება მორალურ უფლებებს და სასარგებლო ათვლის წერტილს ქმნის თვითმოგერიების მორალური ანალიზისთვის. ჰოპველდის მთავარი წვლილი მდგომარეობს ამ დასახელების პროფესიისთვის დამახასიათებელი საკმაოდ გამოკვეთილი მორალური ვალდებულებების კონცეფციებთან მიმართებაში ტერმინი „უფლების“ მრავალ მნიშვნელობის ჩვენება. ჰოპველდს სჯეროდა, რომ ეს 'იურიდიული კონცეფციები' იყვნენ ფუნდამენტალური მნიშვნელობის, და გარკვეული აზრით, შეუქცევადნი უამრავი ძირითადი ცნების მიმართ. მაგრამ ისინი შეიძლება, როგორც ის ფიქრობდა, ერთნაირად ყოფილიყვნენ განსაზღვრული და გამოხატული მათი ლოგიკური ურთიერთკავშირის დადგენით.

ყველაზე ადვილად გასაგები ცნება, რითიც უნდა დავიწყოთ, არის ვალდებულება. ვალდებულება, მარტივად რომ ვთქვათ, არის ერთ-ერთი მხარის გარკვეული ქმედების შესრულების, ან შესრულებისგან თავის შეკავების აუცილებლობა. ამგვარად, ჰოლფელდის დამოკიდებულება ვალდებულების მიმართ ჩვეულებრივ საუბარში, განსხვავდება ამ ტერმინისადმი დამოკიდებულებისგან. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ვალდებულებაზე მისი დამახასიათებელი ნაწილის, მისი ობიექტის განსაზღვრის გარეშე. ჰოპველდისეული ვალდებულება ამგვარად, უდაოდ თანაზომიერია, იმ თვალსაზრისით, რომ ის ყოველთვის მიუთითებს ერთი მხარის მიერ მეორე მხარის წინაშე შესასრულებლად აუცილებელ ვალდებულებაზე.

აქედან გამომდინარე, ჰოლფელდისთვის ვალდებულებას გამოკვეთილი აქვს სამი ელემენტი: სუბიექტი (მხარე, რომელსაც აკისრია ვალდებულება), შინაარსი (ის თუ რა უნდა შესასრულოს პირმა), და ობიექტი (მხარე, რომლის მიმართაც აკისრია ვალდებულება). ეს

¹უ.ნ. ჰოპველდის პირველი ტრაქტატი *ფუნდამენტალური იურიდიული კონცეფციების უფლებათალოგიკის შესახებ, როგორც თანდართული სასამართლო არგუმენტაცია*, კუკი უ.უ. (რედ.), ნიუ ჰევენ: იელის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1919.

სამხანაილიანი ურთიერთკავშირი სუბიექტს, ობიექტსა და შინაარს შორის, არის ჰოპფელდის ფუნდამენტალური კონცეფციის დამახასიათებელი ნიშანი.

მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის მიჩნეული ფუნდამენტალური ნორმატიული კონცეფციები თანაზომიერი, არის ის, რომ ის საშუალებას გვაძლევს მკაფიოდ წარმოვადგინოთ კარგად ჩამოყალიბებული ნორმატიული პოზიციები. მაგალითად, ვალდებულების მხოლოდ თანაზომიერი ცნებაა ის, რომ ვინმეს შეუძლია გამოხატოს ფაქტი, რომ მე შეიძლება მქონდეს გარკვეული ქმედების შესრულების ვალდებულება, და არ მეკისროს სხვის წინაშე იგივე მოქმედების შესრულების ვალდებულება. საყოველთაო ვალდებულების შედარებით ფართო ქეისში, განუსაზღვრელი ობიექტი, შეიძლება განისაზღვროს საკმაოდ მარტივად თანაზომიერი ვალდებულების მარტივი გავრცელებით ყველა მორალურ და იურიდიულ პირზე. მაშასადამე, თანაზომიერი, ნორმატიული კონცეფციები უფლებას გვაძლევს იგივე კონცეპტუალური იარაღებით შევექმნათ ორივე, რასაც იურისტები ეძახიან მოთხოვნები (*in personam*) და დავალდებულებები (*in rem*).²

ამჟამად, იმ საფეხურზე ვიმყოფებით, როცა უნდა წარმოვადგინოთ თანმიმდევრული კავშირი, რომელიც შეიძლება მივიღოთ სხვადასხვა ნორმატიულ კონცეფციებს შორის. ხსენებული კავშირი არის იურიდიულად თანაზომიერი და იურიდიულად დაპირისპირებული. იურიდიულად თანაზომიერი არის ლოგიკურად ეკვივალენტური სხვადასხვა საკითხის მიმართ. იურიდიული დაპირისპირებები ერთი და იგივე საკითხის მიმართ არის ლოგიკურად წინააღმდეგობრივი. თვალსაჩინოებისათვის: ვალდებულების თანაზომიერი არის მოთხოვნა. ამგვრად, თუ შენ ხარ დავალდებული და ვალდებული გადამხადოფულის განსაზღვრული ოდენობის თანხა, ამის თანაზომიერია ჩემი მოთხოვნა თქვენს მიმართ, რომ გადამხადოთ ფული. მოთხოვნას და ვალდებულებას ნორმატიული თანაზომიერების ლოგიკურად ეკვივალენტური ფორმა აქვთ. თვითოეული ვალდებულების სუბიექტისა და ობიექტის თანაზომიერებას აღწერს სხვადასხვა ხელიდან. ბიურიდიულად მოთხოვნის საწინააღმდეგო

² იხილეთ უოლდრონი, ჯ., *უფლებების თეორია*, ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984: 6.

არის არ-მოთხოვნა (მარტივად რომ ვთქვათ, მოცემულ ტექსტში კერძო მხარის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის არარსებობა). მოთხოვნის არარსებობის თანაფარდობითი ცნებაა თავისუფლება.³

მაგალითად, თუ თქვენ არ გაქვთ მოთხოვნა, რომ მე გავრეცხო ჭურჭელი, შესაბამისად მე მაქვს თავისუფლება არ შევასრულო ეს. ჩემი თავისუფლება მდგომარეობს მარტივად თქვენს წინაშე ვალდებულების არარსებობისა და სხვაგვარად მოქცევის ქმედებაში.

მოცემულ პირველ ოთხ ნორმატიულ კონცეფციას შორის თანაზომიერება, შეიძლება გამოვსახოთ დიაგრამით, რომლის რიგები არიან ერთმანეთთან თანაზომიერ კავშირში, ხოლო სვეტები და დიაგონალები საწინააღმდეგო კავშირში (იხ. ნახაზი 1.1)⁴. სადაო საკითხი, რომელიც შეიძლება რომ წარმოიშვას ამ ლოგიკურ სქემასთან მიმართებაში, სვამს შემდეგ კითხვას, რჩება თუ არა ნორმატიული კავშირები თანაზომიერებასა და დაპირისპირებაში მყოფ წყვილებს შორის უცვლელი. ეს ის შემთხვევაა, როგორც ჰოპფელდს შჯერა, როდესაც ვალდებულებები და მოთხოვნები არიან „მუდმივ თანაზომიერებაში“⁵ მაშინ, როდესაც ძნელია წარმოვიდგინოთ მოთხოვნა სათანადო ვალდებულების გარეშე, აუცილებლად გამოჩნდება გარემოება, სადაც ვალდებულებები იქნება თანხმლები მოთხოვნის გარეშე. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ასეთი შემთხვევა, ჩვენ ყველას გვაკისრია ვალდებულება გავცეთ მონყალეა გაჭირვებულებზე, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ არის, რომ გაჭირვებულებს აქვთ უფლება (კანონიერი უფლების მოთხოვნა) მიიღონ ეს – ქველმოქმედების სახელით კი ეს სწორედ რომ გრაციოზულობაა.⁶


ცხრილი 1.1. ჰოპფელდის პირველი რიგის იურიდიული კონცეფციები

³ ჰოპფელდის ტერმინი აქ ნიშნავს 'პრივილეგიას', მაგრამ მე მივყვები თანამედროვე იურიდიულ და ფილოსოფიურ პრაქტიკაში ტერმინი 'თავისუფლების' მნიშვნელობის გამოყენებას.

⁴ ცხრილი 1.1 და 1.2 აღებულია სამნერისგან, *უფლებების მორალური საფუძველი* 27 და 30.

⁵ *ფუნდამენტალური იურიდიული კონცეფციები*, 38.

⁶ გაიხსენეთ ძველი ხუმრობა ვაჭარზე, რომელიც უარს ამბობს სოფელში ღარიბებისთვის ქველმოქმედებაზე, იმ მიზეზით, რომ საქმეები იმ კვირაში ცუდად მიდიოდა. 'მერე?' ეკითხება მათხოვარი, თუ შენ ცუდი კვირა გქონდა მე რატომ უნდა დავიტანჯო!



←→
თანაზომიერი

⋯↔⋯
საპირისპირო

როგორ შეიძლება, რომ ქვეელმოქმედება იყოს ვალდებულება თუ ის ამავდროულად არის კეთილგანწყობილება?

ისეთი სადაო საკითხები, როგორიც მაგალითებში წამოიჭრა მთლად პირდაპირი არ არის, მაგრამ შესაძლებელი ჩანს გავიგოთ ისე, რომ ფატალური არ აღმოჩნდეს ჰოჭველდის სისტემისთვის. ამოცანა მდგომარეობს ერთის მხრივ ვალდებულების შინაარსის მიმღებს და მეორეს მხრივ ობიექტს შორის სხვაობის გაგებაში. მაგალითად, თუ მე ვალდებულებას ავიღებ, რომ ვიზრუნებ შენს ძმაზე, მაშინ ძირითადი ვალდებულება დამეკისრება შენს წინაშე და არა შენი ძმის წინაშე მაშინაც კი, როდესაც ჩემი ვალდებულების შინაარსის გათვალისწინებით მიმღები შენი ძმაა. ამ შემთხვევაში შენ გაქვს ჩემს მიმართ მოთხოვნის უფლება, ვიზრუნო მასზე, მაგრამ შენს ძმას მსგავსი მოთხოვნის უფლება არ გააჩნია. ასეთი

სხვაობის მოცემით, შესაძლებელია ზემოთ მოყვანილი მაგალითის განმარტება. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ მონყალების გაცემის ვალდებულების ობიექტი (და აქედან მოთხოვნის მფლობელიც) სულ არ იყოს ვალდებულების შინაარსით გათვალისწინებული მიმღები, არამედ მესამე მხარე, რომელიც შესაძლოა, უფრო მეტიც, წაროდგენდეს საზოგადოებას და ღმერთსაც კი. ამგვარად, შესაძლებელია მხარი დაუჭიროთ ჰოჭველდის სისტემას, მსგავს საკითხზე საკუთარ ინტუიციამზე ყოველგვარი ძალამომრეობის გარეშე.

ჰოჭველდის უფლების კონცეფციაში არის თავისუფლებასთან დაკავშირებით ერთი უჩვეულო საკითხი, რომელსაც უნდა შევხვით. ჩვეულებრივ სამეთქვეულო ენაში, როცა

ვამბობთ, რომ ვინმეს აქვს უფლება რაიმეს გასაკეთებლად, ჩვეულებრივ ნიშნავს, თავისუფლებას გააკეთო თუ არა, და ამის შესაბამისად აკეთებენ არჩევანსაც. მიუხედავად, ამისა, ეს არ არის ჰოჭველდისეული უფლების კონცეფცია. მაშინ, როდესაც ეს არის ცარიელი ნებართვა რაიმეს გასაკეთებლად ჰოჭველდისეული უფლება არის შეთავსებული (ნამდვილად გამონვეული) ამ საკითხის შესრულების ვალდებულებასთან. ამგვარად, პირს შეიძლება ჰქონდეს ჰოჭველდისეული თავისუფლება გარკვეული მხარის წინაშე, გარკვეული საკითხის შესრულების, და არ გააჩნდეს შეუსრულებლობის თავისუფლება. ამგვარი შეუსაბამობა, რაც არეობს ჰოჭველდისეულ თავისუფლების და საზოგადოდ გავრცელებულ თავისუფლების შესახებ არსებულ შეხედულებებს შორის გაგებაში დაგვეხმარება ჯოელ ფაინბერგის ტერმინოლოგიური შემოთავაზება. ის გვთავაზობს, რომ ჩვენ უფლებას ვიყენებთ გარკვეული ქმედების შესრულების, და გარკვეული ქმედების შესრულებისგან თავის შეკავების შემთხვევაში, და გვთავაზობს მათ კავშირს, როგორც სრულ უფლებას. ამგვარად, ნორმატიულად დაუკრბოლებელი არჩევანი, რასაც უფლების გავრცელებული გამოყენება გულისხმობს, შედგება ორი ლოგიკურად განსაზღვრული ჰოჭველდისეული (ცალმხრივი) უფლებებისგან.⁷


⁷ფაინბერი, ჯ., *უფლებები, სამართალი და თავისუფლების საზღვრები*, პრინსტონი: პრინსტონის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980: 157 და 237. ჰარტი სუბსტანციურად იგივე განმასხვავებელ ნიშანს იყენებს ტერმინების

მოთხოვნა, ვალდებულება, თავისუფლება და არ-მოთხოვნა აყალიბებენ ჰოჭველდის სისტემის პირველი რიგის მორალური ვალდებულებების კომპლექსებს. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად მნიშვნელოვანია ჩვენი მიზნებისათვის, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პირველი რიგის კონცეფციების მალა დგას ე.წ. მეორე რიგის კონცეფციათა ოთხეული, იმიტომ რომ, მათ საქმე აქვთ იურიდიულ და მორალურ უნარიანობასთან და უუნარიანობასთან, გავლენა იქონიონ პირველი რიგის ნორმატიულ თანაზომიერების ცვლილებაზე. მეორე რიგის თანაზომიერებას წარმოადგენს ძალაუფლება, (პირველი რიგის ნორმატიული თანაზომიერების შეცვლის უნარი, მაგალითად, დაპირების შესაძლებლობა არის უფლებამოსილება, დაავალდებულო ვინმე), პასუხისმგებლობა (მეორე მხარის მიერ გავლენის მოხდენა პირის პირველი რიგის ნორმატიულ თანაზომიერების შეცვლაზე, მაგალითად სისხლის სამართლის დამნაშავეს სასამართლოს მიერ შეიძლება დაეკისროს ფულადი ჯარიმის გადახდა), უუნარობა (ძალაუფლების ნაკლებობა, გავლენა იქონიო ან შეცვალო პირველი რიგის გარკვეული თანაზომიერება), და იმუნიტეტი (გარკვეული მხარის მიერ პირის პირველი რიგის თანაზომიერების შეცვლის გავლენის ქვეშ არ მოქცევა). იმის გათვალისწინებით, რომ პირველი რიგის თანაზომიერება დაკავშირებულია მორალურ ვალდებულებათა მოდალობასთან (მოთხოვნილი/აკრძალული/ნებადართული), მეორე რიგის თანაზომიერება, დაკავშირებულია ძალაუფლებასთან და საჭიროებს ჭეშმარიტ მოდალობას (აუცილებელი/შეუძლებელი/შესაძლებელი). მეორე რიგის კონცეფციები, აგრეთვე შეიძლება გამოისახოს დიაგრამის სახით ურთიერთ დაკავშირებული რიგებითა და ურთიერთ დაპირისპირებული სვეტებით და დიაგონალებით. (იხილეთ ცხრილი 1.2).

ცხრილი 1.2 ჰოჭველდის მეორე რიგის იურიდიული კონცეფციები

შენიშვნა: R დაკავშირებულია პირველი რიგის ნორმატიული თანაზომიერების პირთან.

‘ორმხრივი’ და ‘ცალმხრივის’ თავისუფლების აღსანიშნავად; ესეი ბენტემზე, ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982; 166-7.



უფლებათა თანმიმდევრული აგებულება

ახლა, როდესაც ხელთ გვიპყრია ძირითადი ნორმატიული კონცეფციები, შეგვიძლია დავსვათ შემდეგი კითხვა: რა სახის მიმართება არსებობს ამ განსხვავებულ ნორმატიულ კონცეფციებსა და უფლების ცნებას შორის? ჰოჭველდისეულ რვა კავშირიდან, ოთხი განსაკუთრებით გამოიყენება, როგორც უფლების ცნება. ეს ის კავშირებია, რომლის საგანიც მიეკუთვნება, რასაც ჩვენ ვუნოდებთ „ნორმატიულ უპირატესობას“, შედარებით მათ თანაზომიერი ტერმინებისა, სახელდობრ: მოთხოვნები, პრივილეგიები, შესაძლებლობა, და იმუნიტეტი. რაც არ უნდა იყოს ცხადია, რომ უფლებები არიან ნორმატიული უპირატესობები მათთვის, ვინც ფლობს მათ. მაგრამ, პასუხობს თუ არა უფლების ცნება მოცემული თანაზომიერებიდან ერთ-ერთს მაინც, არის თუ არა ამ ოთხი თანაზომიერების უფრო რთული კომბინაცია, ან იქნებ შეიცავენ ნორმატიული თანაზომიერების სხვადასხვა კომბინაციებს სხვადასხვა გარემოებებში?

თავად ჰოჭველდს სჯეროდა, რომ კანონი, ყველაზე რთული გაგებით, არის სხვა არაფერი თუ არა მოთხოვნა, ვალდებულების თანაზომიერი ცნება.⁸ ის სამართლიანად მიიჩნევს, რომ მოსამართლეები და იურისტები, ხშირად ტერმინს „უფლება“, იყენებენ პრივილეგიებთან, შესაძლებლობებთან და იმუნიტეტთან მიმართებაში, ამგვარად, მისი უფლებების, როგორც მოთხოვნების გარკვეული განსაზღვრება, ალბათ საუკეთესოა როგორც ტერმინოლოგიური თვალსაჩინოებისთვის, ვიდრე მოცემული კონცეფციის შედარებითი ანალიზის გაკეთების მცდელობა.

თომას ჰობსიც ასე ფიქრობდა, სათანადოდ გაგებისთვის უფლებები არიან ნორმატიულად მარტივი, მაგრამ განსხვავებით ჰოჭველდისაგან, ის ამტკიცებდა, რომ უფლებები არიან პრივილეგიები, ვიდრე მოთხოვნები: „უფლება ეს არის თავისუფალი ქცევა ან ქცევისგან თავის შეკავება; მაშინ, როდესაც სამართალი განსაზღვრავს და მოიცავს ერთ-ერთ მათგანს, ამგვარად, სამართალი და უფლება განსხვავდებიან იმდენად, რამდენადაც ვალდებულება და თავისუფლება, რომლებიც ერთი და იგივე საკითხთან მიმართებაში არიან შეუთავსებელი არსის“.⁹

მიუხედავად მოცემული შეხედულებების სიმარტივისა, უნდა ჩანდეს, რომ ყოველი უფლების ერთ ნორმატიულ თანაზომიერებამდე დაყვანის ნებისმიერი მცდელობა აუცილებლად დამკვიდრდებოდა. ეს იმიტომ, რომ არსებობს უამრავი ჭეშმარიტი უფლება, რომლებიც უცილობლად შედგება რთული და განსხვავებული ნორმატიული თანაზომიერებისგან. მაგალითად, უფლებების ნებისმიერი შესაძლებელი კონცეფცია აუცილებლად უნდა მოქმედებდეს საკუთრების უფლებებზე, როგორც ჭეშმარიტ უფლებათა კონცეფციები. და მაინც, საკუთრების უფლებები შედგება რიგი ნორმატიული უპირატესობებისგან სხვის საკუთრებაზე განკარგულების გაცემის თავისუფლების ჩათვლით, სხვების წინააღმდეგ სარჩელის წარდგენის უფლება შეუსაბამო ქმედების შემთხვევაში,

⁸ ფუნდამენტალური იურიდიული კონცეფციები, 36, 71-2

⁹ ჰობსი, თ., ლევიათანი, ტაკი, რ., (რედ.), კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991 თ. XIV: 91.

საკუთრების უფლების შეცვლის და მესამე მხარისათვის სარგებლობის უფლების აღკვეთის ან ნების დართვის უფლებამოსილება, და სხვა პირებისგან მსგავსი უფლებამოსილების უძრავი ქონების მესაკუთრის წინააღმდეგ გამოყენების საწინააღმდეგოდ მიმართული იმუნიტეტი. საკუთრების უფლების ფლობა ნიშნავს ამ რთული ნორმატიული თანაზომიერების ობიექტად ყოფნას.

ჰობსის პოზიცია, რომ უფლებები არიან ნამდვილი პრივილეგიები, ღრმა დისკუსიისთვის გაცილებით მტკივნეული საკითხია. მაშინაც კი თუ დავთანხმდებით, რომ „ქმედების და ქმედების შესრულებისგან თავის შეკავების“ თავისუფლება არის მნიშვნელოვანი საკითხი უამრავი უფლებისა, უფლებების თანაბრად მნიშვნელოვანი საკითხია დაბრკოლებისგან ან სხვების ცუდი მოპყრობისგან თავდაცვის უფლების მიცემა. ჰობსის დამოკიდებულებაში საყოველთაო პრივილეგიების, როგორც უფლებების მიმართ, რომლებსაც ფლობენ ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები, ნამდვილად არის რაღაც განსაკუთრებული. რომელი მნიშვნელოვანი აზრით უნდა გადმოვცეთ, რომ მე მაქვს სიცოცხლის უფლება თუ ეს არ შეიცავს სხვების წინააღმდეგ მიმართულ რაიმე მოთხოვნას მაგალითად, თავს რომ არ დამესხნენ ან არ მომკლან.

ამ სახის მსჯელობამ ისეთი მწერლები, როგორებიც არიან ლ.უ. სამნერი მიიყვანა იმ აზრამდე, რომ მხარი დაუჭირონ აზრს, რომ საერთოდ ჰოჭველდისეული უფლებათა თანაზომიერების უფლებები არის რთული სტრუქტურის, რომელიც აუცილებლად მოიცავს რაიმე მოთხოვნებს სხვების წინააღმდეგ.¹⁰ ასეთი შეხედულება მოტივირებულია იმ დამაჯერებელი ვარუდით, რომ იმისათვის, რომ იყოს ეფექტური, ის უფლებებიც კი, რომლებიც მიმართულია პრივილეგიების დასაცავად, საჭიროებენ უფრო მეტს, ვიდრე მთლიანად თავისუფლებაში ნაგულისხმევ მორალურ-ვალდებულების ნებაყოფლობითი არჩევანია. სხვა მხრივ ისინი ასევე საჭიროებენ ვალდებულებებს, სხვათა შორის, თავისუფლების გამოვლენის ხელშეწყობას და არა დაბრკოლებას. მაგალითად, ხმის მიცემის

¹⁰სამნერი, *უფლებათა მორალური საფუძველი*, 35-53.

უფლება, პირველ რიგში არის თავისუფლება, მაგრამ არ იქნებოდა ქმედითი უფლება რომ არ შეიცავდეს სხვების საწინააღმდეგოდ მიმართულ მოთხოვნებს, მაგალითად არ შებოჭონ ჩემი ხმის მიცემის უფლება და განსაზღვრულმა ოფიციალურმა პირებმა უნდა უზრუნველყონ ხმის მიცემის უფლების გამოყენება.

ეს ანალიზი, უდაოდ დამაჯერებელია უამრავი მორალურ-პოლიტიკური უფლებებისათვის. მიუხედავად ამისა, ქვემოთ ვიმსჯელებ, რომ ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც ყველა უფლება შეიცავს სხვების წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნებს. როგორც ვნახეთ, არსებობს გარკვეული მარტივი პრიორიტეტები, რომლებიც სათანადოდ აღწერილია უფლებებად. უნდა დავამტკიცო, რომ თვითმოგერიება და თავდაცვითი უფლებები უფრო ზოგადად თუ ვიმსჯელებთ არიან მარტივი ჰოპფელდისეული თანაზომიერები, რომლებიც არ მოიცავენ მოთხოვნებს, და მაინც, არსებობს კარგი მიზეზები იმისა, რომ ჩაითვალოს ნამდვილ უფლებებად.

უფლების ქონა და მართლზომიერად ყოფნა

სანამ ამ საკითხზე გადავიდოდეთ, ჰოპფელდის სისტემის, როგორც მორალურ უფლებათა ანალიზის განხილვასთან დაკავშირებით, ერთი მნიშვნელოვანი დამატებითი შენიშვნა უნდა აღინიშნოს. ზოგმა შეიძლება ჰოპფელდის უფლებათა თეორია მიიჩნიოს, როგორც ყოვლისმომცველი მორალურ-ვალდებულებათა თეორიის დამამტკიცებელი მექანიზამი. მაშასადამე, თუ ვინმე აწონიდა ყველა რელევანტურ ეთიკურ მოსაზრებას, კონკრეტულ გარემოებაში და განსაზღვრავდა რომ X, მორალური თვალსაზრისით, ვალდებულია Y-ის წინაშე შეასრულოს Z, შეიძლება ისიც დაამტკიცოს, რომ ეს ლოგიკურად ეკვივალენტურია ადამიანებთან დაკავშირებულ უფლებებთან, სხვასიტყვებით რომ ვთქვათ, Z-ს აქვს უფლება X-ს მოსთხოვოს, Y ვალდებულების შესრულება და X-ს აკისრია ვალდებულება Z-ის წინაშე შეასრულოს Y ვალდებულება. მიუხედავად მორალურ

უფლებათა ანალიზის ამგვარი განხილვისა, მსგავსი პროცესი იქნებოდა ძალიან ხარვეზული. ამის მიზეზი კი გახლავთ ის, რომ უფლებები არ წარმოადგენენ მთელ მორალს, და უფლებების მიკუთვნება მნიშვნელოვნად განსხვავდება ყოვლისმომცველი მორალური შეფასების მართლმსაჯულებისგან.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითები. თუ ვინმე შეამტვრევს თქვენი სახლის კარს, რათა გადაარჩინოს ბავშვი მომწამვლელი აირისგან, მაშინ ის არღვევს თქვენს კანონიერ მოთხოვნას, ზიანი არ მიაყენოს თქვენს საკუთრებას. ეს ის შემთხვევაა, როცა პირს აშკარად აქვს უფლება მოიქცეს ისე, როგორც მოცემულ სიტუაციაში მოიქცა. ამგვარად, უფლებები შეიძლება იყოს ძალადობრივი და უფლების მქონე პირი შეცდომაში შეყვანილი იმ ქმედებით, რომელიც, ყველა თვალსაზრისით, არის სწორი საქციელი. პირიქით, პირი შეიძლება მოქმედებდეს შეცდომით მაშინაც კი, როდესაც მას აქვს უღაო უფლება, იმოქმედოს ისე, როგორც მოქმედებს. მაგალითად, მდიდარი მევახშე, ვინც ზედმეტად აზარალებს ხელმოკლე ოჯახს სესხის გაცემაზე უარის თქმით, აქვს ასე მოქცევის უფლება, თუმცა მისი საქციელი, ყველა თვალსაზრისით, არის შეცდომა, რადგან არის უგულო და არაქველმოქმედებითი. აქედან გამოდინარე, X ქმედების შესრულების უფლება და X ქმედების შესრულების მართლზომიერად ყოფნა ლოგიკურად ეკვივალენტური არ არის.

როდესაც ვიყენებთ უფლებათა ტერმინოლოგიას, ჩვენ მივმართავთ მორალის სხვა საკითხების, როგორც არის კონსიკვენციალისტური შეხედულებებისგან გამოკვეთილი და პოტენციურად საწინააღმდეგო მორალური მოსაზრების ფორმისთვის (როგორც იყო ბავშვის გადასარჩენად სახლის კარის შემტვრევა) და სათნოებისთვის (როგორც გვქონდა ხელმომჭირნე მოვახშის შემთხვევაში). როგორ უნდა ვანვასხვავოთ უფლება მორალის სხვა მოსაზრებებისგან?

მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩახლართული და რთული საკითხია, არსებობს სამი მახასიათებელი, რომელთა იდენტიფიცირება ადვილად არის შესაძლებელი. პირველი, უფლებებს ახასიათებთ გამოკვეთილი იმპერატიულობა, ისეთი რომ ზოგადად უგულებელყოს დაპირისპირებული მორალური თვალსაზრისები. მეორე, მათ აკისრიათ

განსაკუთრებული როლი და აწესებენ შეზღუდვებს, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს 'მიზანზე დაფუძნებული' მწიგნობრივი ქცევა, როგორც არის კონსიკვენციალიზმი. მესამე, უფლებები არიან მორალური შეხედულებები, რომლებსაც ცალკეულ მორალურ საკითხებთან გააჩნიათ განსაკუთრებული კავშირი.

რონალდ დუორკინი, თავის კარგად ცნობილ უფლებათა დახასიათებაში, დამახასიათებელი თვისებებიდან გამოყოფს ორ თავისებურებას: უფლებების საუკეთესო განმარტება არის პოლიტიკური გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლის კომბინები, რომლებიც მთლიანი საზოგადოებისთვის აყალიბებენ მიზანს.¹¹ უფლებათა განსაკუთრებული სიმკაცრე საფუძვლიანად არის წარმოდგენილი დუორკინის მეტაფორული კომბინის ბარათებით. ეს მეტაფორა გვთავაზობს, რომ უფლებები არიან აბსოლუტური ეთიკური მოსაზრებები, რომლებიც ყოველთვის უგულებელყოფენ საპირისპირო მოსაზრებებს. ამგვარად, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს (და დუორკინიც აღიარებს),¹² უფლებები ყოველთვის ვერ უგულებელყოფენ საპირისპირო მოსაზრებებს. ხანდახან, ყველა თვალსაზრისით, იმის კეთებას კი შეცდომაა, რისი უფლებაც გვაქვს, და შეიძლება ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, რომელშიც მორალურად გამართლებული იყოს ვინმეს ჭეშმარიტი უფლებების დარღვევა. ამ მიზეზის გამო, მე ვფიქრობ უმჯობესია, ანალოგიის სახით უფლებები მივიჩნიო არა კომბინებად, არამედ ძლიერ ტალღ-სანინალმდეგო' საშუალებად. ამ ტალღ-სანინალმდეგო გადმოსახედიდან, უფლების ფუნქციაა აღმართოს ნორმატიული ბარიერი ინდივიდუალურ ინტერესთა და უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ. საპირისპირო მოთხოვნათა უმრავლესობის საფუძვლიანად დამარცხება თვითონ ამ ბარიერის ბუნებაში დევს. მიუხედავად ამისა, ყოველთვის დამატარებელია ის ფაქტი, რომ მაინც იქნება ისეთი შემთხვევები, როდესაც დაირღვევა მორალურ შეხედულებათა დიდი დაპირისპირებით ინდივიდთა უფლება.

¹¹დუორკინი, რ., 'უფლებები და კომბინები', უოლდრონი (რედ.), უფლებების თეორია, 153.

¹²იხილეთ დუორკინი, რ., *უფლებების სერიოზულად აღქმა*, ბრისტოლი: დაკუორთი, 1977: 90.

უფლებების აღწერაში დუორკინის მეორე იდეა გულისხმობს, რომ ისინი მოქმედებენ სპეციფიკურად შეზღუდვების დანერგვაში, რასაც თავად ავტორი 'მიზანზე-დაფუძნებულ' ზნეობრივ ქმედებას ეძახის. მიზანზე დაფუძნებული ზნეობრივი ქმედება, არის ისეთი საექციელი, რომელიც ემყარება არა ინდივიდების, არამედ სოციუმის ინტერესებს.¹³

მიზანზე დაფუძნებული მორალის ყველაზე ცნობილი ფორმა არის უტილიტარიზმი. დუორკინი მართალია, როდესაც ამას მიიჩნევს უფლებათა მორალის მნიშვნელოვან ნაწილად, და მართლაც დაძაბულობა უფლებებსა და საბოლოო შედეგებს შორის ერთერთი მნიშვნელოვანია მორალის თეორიაში.

ამგვარად, როგორც მეფასის მაგალითიდან ჩანს, უფლებები მხოლოდ მიზანზე დაფუძნებულ, მორალური ქცევებზე ზღვარის დასაწესებლად არ მოქმედებენ - მათ ასევე შეიძლება წინააღმდეგობა მოუვიდეთ მორალთან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან მიმართებაში, როგორც არის ღირსება.

მესამე გზა, რითიც უფლებები განსხვავდებიან მორალთან დაკავშირებული სხვა საკითხებისგან, არის კონკრეტული გზა, რითიც ისინი უკავშირდებიან გარკვეულ მორალურ საკითხებს. როგორც ჯერემი უოლდრონმა თქვა: 'როდესაც პირის უფლებები ირღვევა, ჩვენ მართო იმას არ ვამბობთ, რომ რაღაც შეცდომაა დაშვებული, არამედ იმას, რომ უფლების მქონე პირმა დაარღვია საკუთარი უფლება'.¹⁴

მათ შორის არსებობს აზრთა შეუთანხმებლობა თუ ზუსტად, როგორ უკავშირდებიან უფლებები ერთმანეთს და როგორ იცავენ ინდივიდებს. ერთი შეხედულების თანახმად, რომელიც ინგლისელი იურისტსა და ფილოსოფოსს ბენტამს უკავშირდება და წარმოდგენილია ჯოზეფ რასის და დევიდ ლიონსის ნაშრომში, იცავს იმ მოსაზრებას, რომ უფლება არსებობს იქ, სადაც განსაზღვრული მხარე რჩება მოგებული ან არსებული ნორმატიული კავშირი განსაზღვრავს მის მოგებას. უფლების ობიექტი, ამ მოსაზრების მიხედვით, არის ნებისმიერი მხარე, რომლის ინტერესებსაც მოიცავს არსებული ნორმატიული

¹³ იქვე. 169-73.

¹⁴ უოლდრონი, *უფლებების თეორია*, 8.

კავშირი.¹⁵ მთავარი აზრი, რაც უკავშირდება ჰ.ლ.ა. ჰარტს, გახლავთ ის, რომ ის მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ პირს აქვს უფლება მაშინ, როდესაც აკონტროლებს დასახელებულ ნორმატიულ კავშირს. მაგალითად, პირს, რომელსაც აქვს უფლება მეორე მხარის მიმართ, ჩვეულებრივ გააჩნია ჰოპფელდისეული ძალაუფლება დაუინებით მოსთხოვოს ან გაანთავისუფლოს მეორე მხარე ვალდებულების შესრულებისგან, და მოსთხოვოს, უარი თქვას ჯარიმაზე, რაც იქნება ჯეროვანი მათ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გათვალისწინებით. კონტროლის მხრივ, პირს აქვს უფლება მაშინ, როდესაც ამ სახის ძალაუფლება ვრცელდება განსაზღვრული ნორმატიული ურთიერთ კავშირზე. ჰარტის თანახმად, 'მთავარი იდეა, მდგომარეობს იმაში, რომ ინდივიდიფლობდეს მეტ ექსკლუზიურ კონტროლს, ან ნაკლებად ფართო კონტროლს მეორე პირის ვალდებულებაზე, ასე რომ, ასეთი კონტროლის შემთხვევაში, უფლების მქონე პირი ხდება მცირე სუვერენიზმის მფლობელი'.¹⁶

მიუხედავად მოცემულ ორ შეხედულებათა წყვილს შორის არსებული შეუთანხმებლობისა, ისინი არიან მაინც ფართო მოქმედების და მნიშვნელოვანი, ორივე ამტკიცებს უფლებების უდაო კავშირს ინდივიდიუალური სუბიექტების დასაცავად. ეს უფლების კონცეფციის დიდად მნიშვნელოვანი ნაწილია და მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს თვითმოგერიების საკითხთან დაკავშირებით, რის შესახებაც საუბარს შემდეგ გვერდებზე განვაგრძობ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მოსაზრებები თავდაცვით უფლებებზე სარგებლიანობასა და კონტროლის თეორიას შორის არის აგნოსტიკური, როგორც ირკვევა, მორალის ორ საკითხს შორის ასრებული ნორმატიული თანათვარდობის რთული კომპლექტიდან, ეს ქმნის თავდაცვითი უფლებების ანგარიშს.

¹⁵იხილეთ რასი ჯ., 'უფლებების ბუნების შესახებ', მაინდი, 93 (1984), 194-214.

¹⁶ჰარტი, *ესეი ბენტემზე*, 183,

გამართლება და შეწყნარება

წინასწარ კვლევებში, უფლებების ლოგიკურ აგებულებასთან დაკავშირებით, მოვამზადეთ საკმარისი აბსტრაქტული მექანიზმები იმისათვის, რომ განვავსოთ თავდაცვითი უფლებების კვლევა. ახლა უნდა განვმარტოთ უფრო ზოგადად როგორ შეიძლება ჰოპფელდისეული თანაზომიერების მიხედვით თვითმოგერიებისა და თავდაცვის უფლებების ანალიზის გაკეთება.

რა არის თვითმოგერიება? იურიდიულად თვითმოგერიების საწინაარმდეგო გამართლება არის მკვლელობისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების (ან ნაკლებად საშიში დანაშაულების, როგორც არის თავდასხმა) ტოლფასი, საუკეთესო შემთხვევაში სრული მართლება. მაშასადამე, თვითმოგერიება უპირველეს ყოვლისა არის გამამართლებელი გარემოების ფორმა. გამამართლებელი გარემოება არის

დამახასიათებელი ნიშანი ან გარემოებათა თანხვედრა, რაც განაპირობებს მოუხსნას ან შეუმსუბუქოს პირს აკრძალული ქმედების შესრულებისთვის მიკუთვნილი ბრალი.

არსებობს გამამართლებელი გარემოების ორი სხვადასხვა სახე: ისინი შეიძლება იყოს უკანონო ქმედების პატიების საფუძველი ან შექმნას სრული გამამართლებელი გარემოება. პატიება და გამართლება საკმაოდ განსხვავებული ნორმატიული ცნებაა და თვითოეული ემსახურება პირის უდანაშაულოდ ცნობის სხვადასხვა მეთოდს. განსხვავება გამართლებასა და პატიებას შორის სათავეს იღებს შუა საუკუნეებიდან, მაგრამ იურიდიულ თეორიაში დიდი ხნის მანძილზე იყო იურიდიულად ძალა დაკარგული. გამართლების და პატიების იურიდიულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით ინტერესი განახლდა ჯორჯ ფლეჩერის

ნაშრომის „სისხლის სამართლის ხელახალი გადახედვა“¹⁷ ფილოსოფოსის ჯ.ლ. ოსტინის თანხმად, 'პირის დაცვის [გამართლების] დროს, ჩვენ პასუხისმგებლობას ვიღებთ ჩვენს თავზე, და უარვყოფთ მის ბრალეულობას: სხვა შემთხვევაში [პატიება], ჩვენ ვუშვებთ ბრალეულობას, მაგრამ არ ვიღებთ მას სრულად, ან რაიმე პასუხისმგებლობას.'¹⁸ ჯორჯ ფლეჩერის იურიდიული განმარტება ამტკიცებს მოსაზრებას, რომ გამართლების სარჩელი 'ეთანხმება დანაშაულის შესრულების განმარტებას, მაგრამ სადაო არის ქმედების სამართლიანობის საკითხი, მაშინ, როდესაც პატიების სარჩელი კანონიერს ხდის ქმედების ბრალიანობას, მაგრამ ცდილობს თავიდან აიცილოს დანაშაულის შემსრულებლისთვის მიკუთვნება.¹⁹ წარმატებული პატიება გულისხმობს მტკიცებულებების გარეშე დასჯასა და ბრალის დადებისაგან განთავისუფლებას. თვით პატიება შეიძლება იყოს მრავალი სახის და თვითოეული მათგანი მოქმედებს მცირედი განსხვავებით. ზოგიერთი პატიება, ისეთი როგორიც არის ფიზიკური იძულება, უნებლიე მოქმედება, და შეცდომა სარჩელის დაყენებაში, რომ რწმუნებულს არ სურდა აკრძალული ქმედების შესრულება, ან ჰქონდა აკრძალული ქმედების შესრულების განზრახვა. სხვა სახის პატიებანი უშვებს ქმედების განზრახვას, მაგრამ უარყოფს მის ნებაყოფლობას. თავისუფლების აღკვეთის აუცილებლობა არის ამ სახის პატიების ნაირსახეობანი. მესამე ჯგუფის პატიება მოიცავს ისეთ საქმედებს, სადაც პირი არის ქმედუნარო სისხლის სამართლის განზრახვის შესასრულებლად, არის შეურაცხადი, ან იმყოფება არაფხიზელ მდგომარეობაში.²⁰

პატიება დანაშაული სიმძიმის მიხედვით შეიძლება იყოს სხვადასხვა ხარისხის: ისინი შეიძლება იყოს ნაწილობრივ შემამსუბუქებელი, ან საერთოდ სასამართლო დავის აღმკვეთი.

არც ერთი ამ საქმიდან, არის შესაძლებელი ჰოჰფელდისეული თანაზომიერების მიხედვით პატიების ცნების ანალიზის გაკეთება. პატიება არ არის საკითხში მოყვანილი

¹⁷ბოსტონი: 'პატარა ბრაუნი', 1978, იხილეთ თ. 10. ცნებებთან დაკავშირებულ ფილოსოფიური დისკუსიისთვის იხილეთ ოსტინი ჯ. ლ., 'პატიების არგუმენტი', *არისტოტელეს საზოგადოების სასამართლო პროცესი*, 57 (1956), 1-30; დ'არკი, ი., *ადამიანის ქმედებები*, ოქსფორდი: კლარენდონის გამომცემლობა, 1994; 23 და 137-8.

¹⁸ოსტინი, 'პატიების არგუმენტი', 1-30.

¹⁹ფლეჩერი, *სისხლის სამართლის გადახედვა*, 759.

²⁰პატიების სხვადასხვა ფორმები დეტალურად განხილულია ქვემოთ, გვ. 90

ქმედების შესრულების თავისუფლების ნების მინიჭება, არც (უდაოდ) მოთხოვნა, ძალაუფლება ან იმუნიტეტი. მიზეზი, თუ რატომაც არ შეიძლება პატიების ანალიზის გაკეთება ჰოჰფელდისეული თანაზომიერების მიხედვით, არის ის, რომ კონსტიტუციის მორალური შეფასების მეორე ფუნქციის გათვალისწინებით - ისინი წარმოადგენენ ვალდებულებების, უფლებების, მოთხოვნების ტერმინოლოგიურ განმარტებებს. მაგრამ, როგორც ერიკ დე არკი საუბრობს, 'საპატიო გარემოების შედეგი არის უკანონო ქმედების, საერთოდ მორალური ვერდიქტის სასამართლოს მიღმა დატოვება'.²¹ ამ მიზეზით, გვაქვს პატარა კავშირი ჰოჰფელდისეული თანაზომიერების სისტემას და პატიების იდეას შორის.

კანონზომიერებასთან მიმართებით, საქმე ძალიან სხვანაირად არის. მართლება გამამართლებელი გარემოების გაცილებით ძლიერი ფორმაა, ვიდრე სასჯელის სრული შემამსუბუქებელი პატიება, პატიებასთან დაპირისპირებით მას საქმე აქვს თვითონ საქციელის სამართლიან არსთან. საპატიო საქციელი, ჩვეულებრივ შეიძლება იყოს ბრალეული, მაგრამ არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ის არც სრულად საპატიო, და არც (positive good-აბსოლუტურად კანონიერი) აბსოლუტურად კანონიერი. ეს არ არის საპატიო ან მოსანანიებელი შეცდომა, რომელიც მიუხედავად ამისა, პირს ნამოქმედარი საპატიოდ ეთვლება; ეს უფრო არის რაღაც სხვა რამ, სადაც პირი არც უფლებამოსილია ამ ქმედების ჩადენაში ან აკრძალვაში.

გამამართლებელი გარემოებები ასევე შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, და ჰოჰფელდისეულ თანაზომიერების ანალიზის მიხედვით სხვაობა მათ შორის არის მატერიალური სახის. ბოლო ნაწილში განხილული დისკუსიის თანახმად, ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ სხვაობა გამამართლებელ გარემოებათა შორის განხილული საკითხებიდან და ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე. კონსიკვენციალისტური კანონზომიერების კლასიკური მაგალითი არის ფერმერის საქმე, რომელიც ცეცხლს უკიდებს მეზობლის მინდორს, რათა თავიდან ააცილოს ქალაქს საშინელი ცეცხლისგან შთანთქმა.

²¹დ'არკი *ადამიანის ქმედებები*, 81

მეზობელს არ აქვს მისი მინდორის განადგურების უფლება, მაგრამ მოსალოდნელი გარემოებების გათვალისწინებით, მისი ნამოქმედარი გამართლებულია, რადგან ის ბევრად ნაკლები სიბოროტის მომტანია. რა არის განსაკუთრებული ამ საქმესთან მიმართებაში, და მაინც ეს ის შემთხვევაა, როდესა ფერმერს ჰოპფელდისეული თავისუფლება კი არ გააჩნდა, რათა დაეწვა აღნიშნული მინდორი, ვინაიდან, მეზობლის კანონიერი მოთხოვნა არ განადურდეს მისი საკუთრება მართლმსაჯულების პირისპირ უკვალოდ არ რჩება. ეს ხაზს უსვამს იმას, რომ მიუხედავად ფერმერის ნამოქმედარის სამართლიანი ბუნებისა, მეზობელს კვლავაც ეკუთვნის კომპენსაცია, ფულადი ანაზღაურება ან ბოდიშის მოხდა. ის რასაც ეს გულისხმობს, კონსიკვენციალისტური საბოლოო ანგარიშით (კერძოდ ნაკლებად საშიში გარემოებები), ჰოპფელდისეული მარტივი თანაფარდობის მიხედვით არ წარმოადგენს შემამსუბუქებელ გარემოებას.

ამის საპირისპიროდ, განვიხილოთ საქმე, რომელიც შეეხება პირს, რომლის გამამართლებელი გარემოება ჩემი მანქანის წაყვანისთვის გახლავთ ჩემივე ნებართვა. არავითარი აზრი არ აქვს იმას, რომ მე მრჩება უფლება არ წავაყვანინო ჩემი მანქანა, და არც იმას, რომ მაკისრია ბოდიშის მოხდის ან კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულება. კანონზომიერების შეფასება, ფაქტიურად შეიძლება მთლიანად მოხდეს ჰოპფელდისეული მიდგომით, და ამის მიხედვით, მას სულ ცოტა აქვს თავისუფლება წაყვანოს ჩემი მანქანა იმ ვარაუდის საფუძველზე დაყრდნობით, რაც ამგვარი მოქმედებებისგან თავის შეკავებას გულისხმობს. უფრო ზოგადად, ამ სახის გამამართლებელი გარემოებები შეიძლება აიხსნას, როგორც კონკრეტული მოქმედების შესრულების თავისუფლება, როდესაც ეს მოქმედება, ჩვეულებრივ გარემოებაში არის აკრძალული. გამამართლებელი გარემოებები, რომლებიც სარჩელის უფლების შედეგად ჩნდება ხშირად ამ ფორმას იძენენ.

მამასადამე, თვითმოგერიება პატიებაა თუ მართლება, და თუ მართლებაა, არის თუ არა ისეთი სახის, რომ დავიყვანოთ სულ მცირე ჰოპფელდისეულ თავისუფლებამდე? ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ სიფრთხილე. სხვა ქმედებათა მსგავსად, რომლებიც რეგულირდება მორალური და იურიდიული ნორმებით, თვითმოგერიებას აქვს, რასაც ჩვენ შეგვიძლია

ვენოლოთ 'ძირითადი საქმე', რომელიც სრულად თუ სრულყოფილად სძენს ქმედებას რეგლამენტირებულ კატეგორიას, პერიფერიული საქმეები, რომლებსაც ძირითადი საქმეების საკმარისი მახასიათებელი ნიშნები აქვთ, შედიან რეგლამენტირებულ კატეგორიაში, ასევე კრიტიკული საქმეები და საეჭვო საქმეები, რომლებსაც გააჩნიათ რაიმე მსგავსება ძირითადი საქმეებისთან, მაგრამ ღია შეკითხვად რჩება მათი სათანადო წესით შესვლა რეგლამენტირებულ კატეგორიაში.

ქვემოთ მოცემული დამახასიათებელი ნიშნების გამო, თვითმოგერიებას ძირითად საქმედ ვიღებ: (1) თავდამსხმელი მსხვერპლზე წინასწარი განზრახვით ახორციელებს თავდასხმას, რომელიც გაგრძელდება მანამ, სანამ მსხვერპლი თავდამსხმელის საპირისპიროდ გამოიყენებს სასიკვდილო ძალას.(2) მიუკერძოებლად, თავდასხმა არის უსამართლო იმ გაგებით, რომ დანაშაულის თავდასხმის სუბიექტს არ გააჩნია თავდასხმის განხორციელების გამამართლებელი უფლება, მაგალითად, ის არ არის სამართალ დამცველი პირი, რომელიც ახორციელებს ამ ვალდებულებას; (3) დანაშაულის თავდასხმის სუბიექტი არის სრულიად დამნაშავე ამ თავდასხმის განხორციელებისთვის. (4) მსხვერპლი არის სავსებით უდანაშაულო თუ მხედველობაში მივიღებთ თავდასხმას (მაგალითად ის მას არ გაუღიზიანებია თავდასხმელი ამ დანაშაულის მოწყობისთვის) მე ამას თვითმოგერიების ცენტრალურ საკითხად მივიჩნევ, ვინაიდან ეს მიესადაგება ადამიანის მკვლელობის ქმედების რეაბილიტაციას თვითმოგერიების მიზნით. მე არ ვფიქრობ შემოგთავაზოთ, რომ ეს მახასიათებლები არიან აუცილებელი პირობები თვითმოგერიებისთვის, არამედ არიან აშკარად საკმარისი იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს სჯერა, რომ უფლება არის ძალის მქონე ასეთ ვითარებაში. როგორც ჩვენ განვაგრძობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ სხვა პერიფერიული და ორაზროვანი საქმეები, თუმცა 'ცენტრალური საქმე', რომელიც აქ განვმარტეთ დარჩება ჩვენი თვითმოგერიების გამამართლებელ სამეცნიერო ნიმუშად.

თუ ჩვენ საკუთარ თავს შევზღუდავთ ძირითადი საქმით, თვითმოგერიება უდაოდ გახდება მართლება და არა პატიება. ეს გარკვევით აღიარებულია უმეტეს სამართლებრივ

სისტემაში.²² მორალური გაგებით ასევე ნათელია, რომ თვითმოგერიება შესაბამისად მიეკუთვნება მართლებას და არა პატიებას. ეს იმიტომ, რომ თვითმოგერიება არის ძირითადი საქმე ადამიანის მკვლევლობის დანაშულისთვის. ის ვინც მკვლევლობას ჩაიდენს თვითმოგერიების მიზნით, არ სჩადის იმ სახის მკვლევლობის დანაშაულს, რისთვისაც ვანთავისუფლებთ პასუხისმგებლობისგან; არამედ, ამ ქმედების თავდაცვითი ბუნება, ხელს უშლის სასამართლოში მკვლევლობის კუთხით საქმის წარმოებას. ჩვენ არ ვთვლით თვითმოგერიებას ბრალისშემცველ ქმედებად, რისთვისაც დამცველმა არ უნდა იტვირთოს სრული პასუხისმგებლობა (რადგანაც, ვფიქრობთ, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც პირი სჩადის ძალადობრივ საქციელს მასზე განხორციელებული სასტიკი მოპყრობის შემდეგ). ეს უფრო არის მსხვერპლის საპასუხო დარტყმა - ეს მისი უფლებაა და მართებულია მისთვის ასე მოქცევა.

უფრო მეტი, როდესაც პირი იურიდიულად გამართლებულად კლავს თავდამსხმელს, თვით-მოგერიების გადმოსახედიდან ვამბობთ, რომ თავდამსხმელი დაზიანებულია, მაგრამ არა ის, რომ ეს უსამართლოდ გამხორციელდა მის მიმართ. თავდამსხმელი (ან მისი მდგომარეობა) არ იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომ ჩადენილი ქმედებისთვის მოითხოვოს, კომპენსაცია ან ბოდიში. ეს ძლიერი მოტივია იმისა, რომ თვითმოგერიება არის გამართლების ის ფორმა, რომელსაც მოიცავს აშკარა ჰოპფელდისეულ უფლებას. თუ ეს მართებულია, მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ თვითმოგერიება შეიძლება გავანალიზოთ ჰოპფელდისეულად. ფაქტიურად, ეს გახლავთ სასიკვდილო თავდაცვითი ძალის გამოყენების უფლება ამგვარი ქმედებისგან თავის შეკავების რაიმე სახის ვალდებულებების არსებობის გარეშე.

ეს მნიშვნელოვანი შედეგია, მაგრამ რა სახით წარმოადგენს თვითმოგერიების უფლება ნამდვილ უფლებას? ყველაფრის შემდეგ, ჩვენ ვართ უამრავი სახის ქმედების შესრულების

²²იხილეთ საიმესტერ, ა., და სალივანი, გ., *სისხლის სამართალი, თეორია და პრაქტიკა*, ოქსფორდი: გამომცემლობა ჰარტი, 2000: 619; უილიამსი, გ., „პატიების თეორია“, *სისხლის სამართლის მიმოხილვა* (1982), 732-242, გვ. 739.

უფლების სუბიექტები, რაც იქნებოდა საკმაოდ უცნაური, თუ მათ ყველას 'უფლების' წოდებას მიუიჩნდი. აი აქ, ვთავაზობთ რამოდენიმე მიზეზს იმისა, თუ რატომ არის თვითმოგერიების თავისუფლება სამართლიანად მიჩნეული უფლებად. ნაწილობრივ, მნიშვნელობა აღნიშნავს ამ პრივილეგიების განსაკუთრებულ ბუნებას, რაც წარმოადგენს კანონზომიერებას. კანონზომიერება მოქმედებს უსამართლობის თავიდან აცილების ფონზე; ქმედებისთვის, რომელიც უნდა იქნეს გამართლებული, უნდა იყოს ქმედება, რომელიც, როგორც ვამბობთ ხოლმე, 'საჭიროებს გამართლებას'. როდესაც გარკვეული კლასის ქმედებათა გამამართლებელი მახასიათებლები მკაფიოა და ადვილად გამოსაცნობი, და პრაქტიკაში უკვე არსებული, მაშინ მორალურ კანონზომიერებაში გამართლება აღწევს განსაკუთრებულ სტატუსს. ის ხშირად უერთდება მორალურ ჩვეულებით ან სტატუტორულ სამართალს, როგორც დამოუკიდებელი ნორმატიული ნაწილი. როდესაც ეს ხდება გამამართლებელი გარემოებანი მოქმედებენ, როგორც უფების მახასიათებლები.

პირველ რიგში, სხვა უფლებათა მსგავსად, დამკვიდრებული მართლმსაჯულება მუშაობს კონკრეტული სფეროს ინტერესთა და ინდივიდუალურ პირთა თავისუფლების დადგენისა და დაცვის საკითხში. მაგალითად, თვითმოგერიების გამამართლებელი გარემოება მიჯნავს იმ მართლზომიერ ინტერესს, რაც პირს გააჩნია საკუთარი არსებობისა და ფიზიკური მუდმივი ხელშეუხებლობის ფარგლებში. მეორე და ამ საკითხთან დაკავშირებით, გამამართლებელი გარემოებები მოქმედებს, როგორც პრეცედენტები იმ ქმედებისა, რომელსაც შეიძლება ხალხი, პრაქტიკაში არსებული მსგავსი საქმეებიდან გამომდინარე, დაეყრდნონ. ამგვარად, თუ ეს სამართალში და მორალში გადამწყვეტია, გარემოებათა გარკვეული თანმიმდევრობა აზუსტებს თავდაცვის ძალის გარკვეული დონის გამოყენებას, ამაზე დაყრდნობით მოქმედ ძალას, მსგავს გარემოებებში შეუძლია დაეყრდნოს და შეაფასოს საკუთარი ვალდებულება. ამის შესაბამისად, გამამართლებელი გარემოებები შესამჩნევად განსხვავდებიან პატიებისგან, რომლებიც, ასეთ შემთხვევათა განხილვის დროს ყოველთვის არ ფუნქციონირებენ როგორც პრეცედენტები. მაგალითად, თუ პირი სწავლობს სასამართლოთა მართველობას აუცილებლობის პატიებაზე (ხანდახან ეწოდება

გარემოებათა იძულება) და მისი ქმედება ჯდება ამ ჩარჩოებში, ამ შემთხვევაშიც არ არსებობს გამამართლებელი ვერდიქტის გარანტია. ნამდვილად, ამან შეიძლება შეამციროს გამართლების შანსი და წარმომადგენლის მიერ წინასწარ განზრახულმა აუცილებლობის პატიო საყრდენმა, ძირი გამოუთხაროს გარემოებათა უზარმაზარი იძულებით გამოწვეული მისი ამგვარი ქმედების უფლებრივ მოთხოვნას.²³ მესამე, თვითმოგერიების უფლება ეწინააღმდეგება კონსიკვენციალისტურ მოსაზრებებს, იმ შემთხვევაში, სადაც წარმომადგენლის უფლებაში წარმოიშობა წინააღმდეგობა დაიცვას საკუთარი თავი, და უფრო მეტიც (ამ საკითხს შევისწავლით უფრო ძირეულად მესამე თავში). როგორც დუორკინი მიიჩნევს ეს უფლების დამახასიათებელი ნიშანია.²⁴

ამიტომ, თვითმოგერიება შეიძლება გაანალიზებული იყოს, ჰოპვუელდისეულ თავისუფლების მქონე უფლებად. მაგრამ, შეიცავს თუ არა უფლება სხვების სანაღმდეგოდ მიმართულ მოთხოვნებს? ზოგიერთი ავტორი დაობს, რომ არათუ არაა შეუძლია წარმოადგენდეს უფლებას, სანამ ის სხვებს აკისრებს ვალდებულებებს. როგორც სამნერი ამბობს: მცირე ღირსების მატარებელი უნდა იყოს აზრი, რომ (bare liberty) ცარიელი თავისუფლება (სრული თავისუფლებაც კი) შეიძლება შეიცავდეს უფლებას, სანამ შეუძლია დააკისროს სხვებს არა ნორმატიული ძალდატანება.²⁵ ეს საქმე, როგორც ჩანს შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული მას შემდეგ, რაც შემოგთავაზეთ საკუთარი მოსაზრება, რომ კარგი მიზეზები არსებობს ნამდვილი თავისუფლების მხედველობაში მისაღებად, რომელიც მოქმედებს, როგორც კანონზომიერება, როგორც ნამდვილი უფლებები: ისინი მოქმედებენ, როგორც აკრძალვების საყოველთაოდ აღიარებული გამონაკლისები, და ამიტომ ფუნქციონირებენ თავისუფლებათა და ინდივიდუალურ პირთა ინტერესების დასაცავად და მიმართულია

²³კორტ ფლეჩერი თავის *სისხლის სამართლის გადახედვაში*, ამ საკითხს კარგად განიხილავს, 810-11.

²⁴იხილეთ დუორკინიმ 'უფლებები, როგორც პრივილეგიები', სიუზან უნიაკმა შემოგთავაზა, რომ სხვა მიზეზი იმისა თუ რატომ განიხილება თვითმოგერიების გამართლება როგორც უფლება, არის ის, რომთავდაამსხმელი, რომელიც კვდება თვითმოგერიების კანონის ფარგლებში, არ არის არაკანონიერი ქმედება და არ ექვემდებარება ბოდიშს ან კომპენსაციას. იხილეთ უნიაკი, *ნებადართული მკვლელობა*, 27.

²⁵სამნერი, *უფლებათა მორალური საფუძველი*, 38.

სამომავლო განხილვისათვის. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ თვითმოგერიების უფლება, სათანადო გაგებისთვის, თავის ნორმატიულ სტრუქტურაში, შეიცავდეს მოთხოვნებს, ისევე, როგორც თავისუფლებებს. ორ შესაძლებლობას უნდა ჰქონდეს ადგილი. პირველი, თვითმოგერიების უფლება, შეიძლება შეიცავდეს სხვების წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნებს თვითმოგერიების კანონის თანამოქმედებისთვის. მეორე, ის შეიძლება მოიცავდეს სხვების ჩარევის აღმკვეთ მოთხოვნებს. ჩემი აზრი შემდეგია, მიუხედავად იმისა, რომ, სახარბიელოა დავინახოთ სხვების წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნები, როგორც თვითმოგერიების უფლების ნაწილი, უფრო ხელსაყრელია და ნაკლებად შეცდომაში შემყვანი თვითმოგერიების უფლების გაანალიზება, როგორც ნამდვილი უფლება თანარსებული მოთხოვნის გარეშე.

პირველი შესაძლებლობის მხედველობაში მიღებით, შეიძლება ვიდაოთ, როდესაც მესამე მხარე შემოდის მსხვერპლის დასაცავად, მათი ქმედება გამართლებულია მსხვერპლის საკუთარი თვითმოგერიების უფლების მფლობელობით, ან იმით, რომ მათი უფლება უნდა წარმოიშვას მსხვერპლად ყოფნის დროს. ამ გადმოსახედიდან მსხვერპლის თავდაცვის უფლება დანახულია მესამე მხარის თავდაცვის ვალდებულება, რისი კომპონენტიც არის, ან მისგან წარმოშობილი თავდაცვითი უფლება, რომელიც პირველ რიგში ეკუთვნის მსხვერპლს.

მაგრამ, არ არის უშუალოდ გამოკვეთილი ის ფაქტი, რომ მსხვერპლს აქვს თავდამსხმელის მოკვლის უფლება და ეს ასევე გადაეცემა და ეპატიება მესამე მხარეს თუ ის ხელყოფს თავდამსხმელის სიცოცხლეს. ამგვარი განკარგვა, ზოგადად არ არის თავისუფლების დამახასიათებელი ნიშანი. მაგალითად, ფაქტი იმისა, რომ მე მაქვს თავისუფლება გავიტანო აქციები ჩემი საბანკო ანგარიშიდან, აშკარად არ გულისხმობს იმას, რომ ნებსმიერ სხვას აქვს იგივე უფლება. ეს საფუძველი შეიძლება მოდიოდეს ფაქტიდან, მესამე პირის დაცვაში, მხარე (საბანკო ანგარიშის მაგალითიდან განსხვავებით) თავისი უფლების გამოყენების დროს წარმოადგენს მსხვერპლს. მაგრამ, ეს არ არის მესამე მხარის აუცილებელი თავდაცვითი დამახასიათებელი თვისება. ვინმემ შეიძლება კანონიერად

დაიცვას მესამე მხარის მსხვერპლი მაშინაც კი, როდესაც არ იცის, რომ ის თავდასხმის მსხვერპლია და აქედან გამომდინარე საერთოდ არც იყენებს ან ეძებს გამოსაყენებლად რაიმე უფლებას.

უფრო მეტიც, შეიძლება არსებობდეს მესამე მხარე მაშინაც კი, როდესაც თვით ეს მხარე მთლიანობაში ნაკლებად იყენებს თავდაცვით უფლებას. წარმოიდგინეთ საზოგადოება, სადაც სამღვდლოება, უარს ამბობს თვითმოგერიების უფლების გამოყენებაზე. მაგრამ, უარს არ ამბობენ სიცოცხლის უფლებაზე (უმძიმესი დანაშაულიც კია თვითმკვლელობა), ისინი კატეგორიულად უარყოფენ ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვას და დასჯისა და სასჯელის საგანიც კი გახდებიან თუ ასე მოიქცევიან. ამგვარად, არ არსებობს საწინააღმდეგო აზრი იმ მოსაზრებაში, რომ საერო პირს აქვს უფლება, დაიცვას მღვდელი, როდესაც ის შეიქმნება თავდასხმის მსხვერპლი. ასეთ შემთხვევაში მსხვერპლის თავდაცვითი უფლებებიდან, ვერ გამოვიყვანთ და ვერც შედეგად მოგვცემს მესამე მხარის დამცველის უფლებებს, ამ გადმოსახედიდან მას არაფერი აქვს.

რაც შეეხება მეორე შესაძლებლობას, არსებობს აზრი, რომელიც სამართლიანად მიიჩნევს ჩემი უფლებით და ძალოვანი საშუალებით საკუთარი თავის დაცვას, რომელსაც თან ახლავს საყოველთაო მოთხოვნის უფლება, რათა არავინ შეათერხოს ჩემი ძალისხმევა, ეს მხოლოდ იმ მცირედი მოსაზრებით არის მართლზომიერი, რომ ნებისმიერი მოქმედება, რომლის შესრულების თავისუფლებაც გამაჩნია, სხვებს აკისრიათ ვალდებულება არ ჩაერივნენ ამაში. როგორც ჰარტი გვეუბნება, არსებობს საყოველთაო 'ვალდებულებათა დამცავი პერიფერია', რომელიც თავიდან გვაცხილებს სხვების მიერ კანონიერ ჩარევას.²⁶ რა საკვირველია, შეგვიძლია ეს დამცავი პერიმეტრი აღვწეროთ, როგორც თვითიული ჩვენთაგანის თავისუფლების ბუნებრივი ელემენტი, მაგრამ ეს საქმის წარმოებას შეიყვანს შეცდომაში. მთავარი არის იმის ჩვენება, რომ არჩარევას არ აქვს რაიმე დამახასიათებელი კავშირი თვითმოგერიების უფლებასთან, ვინაიდან ისინი მოთხოვნათა ერთ სისტემაში არიან,

²⁶ჰარტი, *ესეებენთემზე*, 171-3.

რომლებიც იცავენ მაგალითად, ჩემს თავისუფლებას დავრჩე ჩემს ადგილას, სანამ უკრავენ საფრანგეთის ჰიმნს. ('Marsellaise')²⁷

ამ მიზეზის გამო, თვითმოგერიება საუკეთესოდ არის გაანალიზებული, როგორც სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, მკვლევლობის ჩადენის ნამდვილი უფლება. ამით იმის თქმას არ ვცდილობთ, რომ თავდაცვით უფლებებს არ გააჩნიათ კონცეპტუალური თუ ნორმატიული ფესვები სხვა მოთხოვნებთან თუ ნორმატიულ კომბინაციებთან. როგორც მომდევნო თავში განვმარტავ, ყველა თავდაცვითი უფლება არის ნაწარმოები და მათი დიდი ნაწილი მოდის კანონიერი მოთხოვნის უფლებებიდან. მაშასადამე, ზოგისთვის შეიძლება არ იყოს დამაბნეველი მტკიცებულება მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომ ისინი შემადგენელი ელემენტის სახით შეიცავენ სხვების წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნებს.

ჰოპფელდის ცხრილმა, მოგვანოდა სასარგებლო ჩონჩხი თვითმოგერიების უფლების გასაანალიზებლად და შესაძლებელი გახდა საუკეთესოდ ჩაწვდომოდით მის ფესვებში არსებულ გონივრულ სტრუქტურას. თვითმოგერიება არის კანონზომიერება, საკითხი, რომელიც ხსნის, თუ რატომ არის ჩვეულებრივ აკრძალული ქმედება, გარკვეულ გარემოებაში არც დაუშვებელი და არც გონივრული. თვითმოგერიების კანონზომიერება შეიცავს მკვლევლობის ჩადენის (ან სულ ცოტა იერიშის მიტანის) ჰოპფელდისეულ ნამდვილ უფლებას. უფლების განსაკუთრებული ბუნება მჭიდრო და ადვილად ამოსაცნობ ბუნებასთან ერთად იურიდიულ და ნორმატიულ სისტემის ფარგლებში უფლებას ანიჭებს იმოქმედოს როგორც ნამდვილმა უფლებამ. ეს ამას აკეთებს ინდივიდუალურ პირთა მნიშვნელოვანი ინტერესების და თავისუფლებების გამიჯვნითა და დაცვით და ქმნის საფუძველს სამომავლო ნორმატიული განხილვებისთვის.

²⁷ ვინმე შეიძლება შემოგვედავოს ოფრო გამოკვეთილი და ერთადერთი აზრი, თავი შევიკავოთ სხვა პირის თვითმოგერიების ლეგიტიმური ქმედებაში ჩარევისგან, რომელიც განსხვავდება იმ ზოგადი ვალდებულებისგან, რაც გულისხმობს ადამიანების მიერ საკუთარი უფლებების გამოყენებაში ჩარევისგან თავის შეკავებას. ეს უდაოდ სიმართელია; მიუხედავად ამისა, ეს მოვალეობა მოდის იმ ფაქტიდან, რომ თვითმოგერიების გამოყენების აქტიური პრევენცია, ზოგადად ხდება ხელმისაწვდომი მკვლევლობის დანაშაულისთვის. მარამ რა თქმა უნდა მკვლევლობისგან თავის შეკავების ვალდებულება არ მომდინარეობს თვითმოგერიების უფლებიდან. თუ არსებობს რაიმე სახის დერივაცია, ის აუცილებლად სხვა მიმართულებით ივლის.

მიუხედავად ამისა, მორალური კონცეფციის გონივრული ანალიზი მორალის ასახსნელად, არის ძალიან განსხვავებული საკითხი. თვითმოგერიების სათანადო ახსნა საჭიროებს უფრო შორს წასვლას, ვიდრე აქამდე გაკეთებული მარტივი ანალიტიკური კვლევაა. ეს საჭიროებს პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს (მათ შორის სხვებს); რატომ ანიჭებს თვითმოგერიება მკვლელობის უფლებას? რა სახის შინაარსში ითვლება ეს უფლება კანონის ძალის მქონედ? რა არის მისი შეზღუდვებისა და ნებართვის გამოყენების სფერო? ნორმატიულ ახსნას საქმე აქვს არა მხოლოდ მორალური კონცეფციის სისტემასთან, არამედ მის საფუძველთანაც. ამით ვგულისხმობ, რომ ის ქმნის ანგარიშს, თუ როგორ გვამარაგებს და ქმნის ნორმატიულ ძალას ჩვენი მორალური სამყაროს სხვა საკითხებიდან. მეორე თავში, მსგავსი სახის მსჯელობის ძირითად საკითხებზე გვეყენება საუბარი.

2

თავდაცვითი უფლებების მოდელი

მკვლელობის ჩადენის უფლება თვითმოგერიების დროს არ ხდება თავისთავად (*sui generis*). ეს უფრო მორალურად და კანონიერად გამართლებული თავდაცვითი მოქმედებების ჩამონათვალში ცალკე მდგომი საქმეა. ეს არის ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება, შეიცავდეს პირის დაცვას და სხვის საქმეში არაკეთილსინდისიერად ჩამრევისთვის ერთი-ორი მახვილი სიტყვის თქმას, დაიცვან ღირებული ნივთი ქურდის დაკავებით, რომელიც ეს-ეს არის მოპარვას აპირებდა, ერთი პირის სიცოცხლის გადასარჩენად ესროლონ და მოკლან თავდამსხმელი, რომელიც ეს-ეს არის თქვენს მოკვლას აპირებდა. თუ ჩვენ შევძლებთ განვაფიქროთ მოდელი, რომელიც სრულად განგვიმარტავს სამართლიან თავდაცვით მოქმედებებს, ძირითადი მორალური სისტემის თვალსაზრისით,

ამას ექნება დიდი ღირებულება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადავალთ ომის თვითმოგერიების უფლებების შესახებ დისკუსიაზე. მსგავსი მოდელის მოთხოვნები ის იქნება, რომ მან ახსნას სამართლიანი თავდაცვითი მოქმედებების სრული ჯგუფი იმდენად სრულყოფილად, რამდენადაც შესაძლებელია, და ნათელყოს შეზღუდვები და კრიტერიუმები, რაც განმარტავს მათ იურიდიულ ძალას.

სამ მნიშვნელოვანი ელემენტი


წიგნის წინა თავიდან ჩვენ ვიცით, რომ თვითმოგერიება არის მკვლევლობის ჩადენის განსაკუთრებული უფლება, მსგავს მოქმედებათა თავიდან აცილების საფუძველით. ჰოპფელდი მსგავს პრივილეგიებს განიხილავს, როგორც ნორმატიულ თანაზომიერებას სამ ელემენტს შორის, სახელდობრ;

სუბიექტი (მხარე, რომელიც ფლობს უფლებას), შინაარსი (რისი გაკეთების უფლება აქვს სუბიექტს), და ობიექტი (მხარე, რომლის მიმართაც გამოიყენება ეს უფლება). იმისათვის, რომ ავანყოთ თავდაცვით უფლებათა მოქმედების ამსახველი მოდელი, მე გთავაზობთ დავამატოთ ამ სქემას შემდეგი ელემენტი, რომელსაც შეიძლება ვუნოლოთ უფლების მიზანი. მომდევნო დისკუსიაში თავდაცვითი უფლების მიზანი განმარტებული იქნება, პოზიტიურად ან ღირებულად, რისთვისაც თავდაცვითი მოქმედება მიზანმიმართულია გადასარჩენად ან დასაცავად.

თავდაცვითი უფლებების მორალური საფუძველი შეიძლება წარმოვაჩინოთ, როგორც სამ მნიშვნელოვანი ელემენტი, თვითოეული მნიშვნელის მნიშვნელობა კონცენტრირებულია კონკრეტულ ნორმატიულ ურთიერთმიმართებაზე იმ ელემენტებს შორის, რომლების ასოცირებულია კონკრეტულ უფლებასთან. პირველი მნიშვნელი დაკავშირებულია პირთან, რომელიც ფლობს უფლებას და იმ სიკეთესთან, რის გადასარჩენადაც და დასაცავადაც არის მიმართული თავდაცვითი უფლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მნიშვნელი დგას სუბიექტსა და უფლების მიზანს შორის. მეორე მნიშვნელი აწესრიგებს სიკეთეს, რის

დასაცავადაც გამიზნულია თავდაცვითი მოქმედება და თავად თავდაცვითი მოქმედების შინაარსობრივ-შემადგენელ ნაწილს შორის ურთიერთობა; ეს არის რისი თქმაც შეიძლებოდა მიზანსა და უფლების შინაარს შორის. საბოლოო მნიშვნელი ანესრიგებს ნორმატიულ ურთიერთობას პირს, რომელიც იყენებს თავდაცვით უფლებას და პირს შორის, ვის წინააღმდეგაც გამოიყენება; უფლების სუბიექტი და ობიექტი. როდესაც შესაბამისი გამამართლებელი ელემენტის თვითოეული მათგანის ამ მნიშვნელიან ელემენტში თავის ადილზეა განთავსებული, გვავს თავდაცვის კანონიერი უფლება. თავდაცვის უფლების ნორმატიული აგებულება შეიძლება წარმოვადინოთ დიაგრამის სახით. (იხ. ცხრილი 2.1).

პირველი ნაწილის გახსენება მიეძღვნება იმას, თუ რასაც უდრის ეს ურთიერთკავშირი, და როგორ შეუძლიათ გააკეთონ თავდაცვითი უფლებების მორალური ახსნა განმრტება.



თანაზომიერება



მიზანი
(ობიექტური)

ცხრილი 2.1 თავდაცვითი უფლებების სტრუქტურა

თავდაცვა როგორც წარმოებული უფლება

მოდით დავიწყოთ სუბიექტსა და თავდაცვითი უფლებების მიზანს შორის არსებული ურთიერთობით. ჯობიერ რასი განასხვავებს 'წარმოებულ უფლებებს' ერთმანეთისგან, რომელთა ნორმატიული ძალა წარმოიშვა რამოდენიმე წინამორბედი უფლებისგან ან ნორმატიული საწყისიდან, და 'ძირითადი უფლებები', რომლებსაც არ აქვთ ნორმატიული კანონზომიერება²⁸. თავდაცვითი უფლებების ძირითად უფლებებად მიჩნევის სულ მცირე მიზეზი გვაქვს. თავდაცვითი უფლების შინაარსობრივ-შემადგენელი ნაწილისთვის გვაქვს იმ მოქმედების შესრულება, რომელიც ხშირად არ არის პოზიტიური და ზოგჯერ მძიმე დანაშაულიც კი არის, როგორც არის თავდასხმა და მკვლელობა. თუ ესენი არ არიან ძირითადი უფლებები, მაშინ თავდაცვითი უფლებები უნდა წარმოიშვან თავიანთი ნორმატიული ძალის წინამორბედი უფლებებიდან, ან ნორმატიული თანაზომიერებიდან. სინამდვილეში, აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველ თავდაცვით უფლებას, სუბიექტსა და

²⁸წარმოებული აქ აღნიშნავს 'ნორმატიული კანონზომიერების მიღწევას' და არა 'ლოგიკურ მნიშვნელობას'. ჯ.რაცი, 'უფლებათა ბუნება', აზროვნება, 93 (1984), 194-214, 197 გვ.-ები.

თავდაცვითი მოქმედების მიზანს შორის, ძირეული ნაწილის სახით, აქვთ რალაც ნორმატიული დამოკიდებულება. არსებობს სამი სხვადასხვა დამოკიდებულება, რომლებიც წარმოადგენენ თავდაცვითი უფლების საფუძველს.

პირველი შემთხვევა არის როდესაც სუბიექტს სიკეთის დაცვის უფლება და მისი დაცვა წარმოადგენს თავდაცვითი უფლების მიზანს. თავდაცვითი უფლებები ქონების მიმართ უნდა მომდინარეობდეს უმთავრესი გზით. ამგვარად, თუ მე მაქვს უფლება X-ის მიმართ, ამის შედეგად, მაქვს უფლება მივიღო ზომები და ჩემი უფლების გამოყენებით თავიდან ავიცილო X-სგან ძალადობა. აქ იკვეთება სხვადასხვა გზა, სადაც ზოგს შეიძლება ჰქონდეს რალაცის მიმართ უფლება. ზოგს შეიძლება ჰქონდეს ობიექტის მიმართ გარკვეული უფლება თუ ის ამას ფლობს და მაშასადამე აქვს საკუთრების უფლება. შესაბამისად, შეიძლება სასიკეთოც იყოს რისუთისაც ის სარგებლობს თავისუფლების და ფლობის უფლებით მაგალითად, აზრის თავისუფლება, მიმოსვლის თავისუფლება, თუ შრომის თავისუფლება. დამახასიათებლად, რალაცის მიმართ უფლების ქონა, მოიცავს მოთხოვნების, უფლებების, ძალაუფლების და იმუნიტეტის ერთობლიობას, საკუთრებასთან და თავისუფლებასთან დაკავშირებულ სხვა უფლებებთან ერთად, რომლებიც არიან უფრო მნიშვნელოვანი ხელმისაწვდომობის უფლებებისთვის. ჩვენ ვამბობთ, რომ პირს აქვს სიცოცხლის უფლება და ეს უფლება გარკვეულად ანალოგია საკუთრების უფლებისა; მას ასევე გააჩნია ცენტრალური ელემენტი-მოთხოვნა ყველას და თვითთვეული პირის წინააღმდეგ, არ წავიდნენ სიცოცხლის საწინააღმდეგოდ, ან დაარღვიონ ფიზიკური ხელშეუხებლობა.

ყველა უფლება არ წარმოშობს თავდაცვით უფლებას, მაგალითად საკუთრების და უძრავი ქონების უფლება. განვიხილოთ მშობელი, რომლის შვილი თავდასხმის საფრთხის ქვეშ იმყოფება. რა საკვირველია მშობელი აქვს უფლებას დაიცვას თავისი შვილი და მაინც არავითარი შეკითხვა არ არსებობს იმასთან დაკავშირებით მშობელს აქვს თუ არა შვილზე მეურვეობის უფლება ან მშობლის თავდაცვითი უფლება შვილის მიმართ მომდინარეობს თუ არა რაიმე სხვა უფლებიდან. უფრო სწორად, მშობლის თავდაცვითი უფლება მომდინარეობს მეურვეობითი ვალდებულებიდან, რის მიმართაც ისინი დავალებულნი

არიან; მშობლები ვალდებული არიან დაიცვან შვილი და ამ მიზეზით, ისინი თავისუფლები არიან აიღონ თავდაცვითი ვალდებულება. ამგვარად, მეორე ნორმატიული თავდაცვითი საფუძველი უნდა იყოს გარკვეული პირის ან ობიექტის მიმართ ზრუნვის დადგენილი ვალდებულება. ანალოგიურად, ლიდერები ვალდებული არიან და ნება დართული დაიცვან დაქვემდებარებულ პირთა კეთილდღეობა, მუზეომის მცველები იცავენ მათი დაცვის ქვეშ არსებულ ხელოვნების ნიმუშებს, მეგობრები იცავენ ერთმანეთის ინტერესებს. თვითოეულ შემთხვევაში დაცვის უფლება შეიძლება წარმოიშვას მზრუნველობითი ვალდებულებისგან, რომელიც დაკავშირებულია დადგენილი მორალური ურთიერთობიდან, ასეთი ურთიერთობები არის მძლავრი წყარო თავდაცვითი უფლებებისათვის.

ხანდახან, მიუხედავად იმისა, რომ ვინმემ შეიძლება მოითხოვოს დაცვის ვალდებულება, ან პირის თუ საგნის დაცვა, ასეთ შემთხვევაშიც კი ამის მიმართ მას არ აქვს ნდობის და ზრუნვის დადგენილი ვალდებულება. ჩვენ შეიძლება ამას ვუწოდოთ 'გადარჩენის ვალდებულება', და ისინი სწორედ იმ რეალობიდან წარმოიშობა, რომ მიზანი (განსაკუთრებულ სიკეთედ ან ღირებულებად ყოფნა) საფრთხეშია, იმ რეალობასთან დაკავშირებით, რომ პირი საჭიროებს დახმარებას. ვინმემ შეიძლება საკმაოდ მოულოდნელად საკუთარი თავი ვალდებულებათა სუბიექტად ჩათვალოს და მიიჩნიოს მაშინაც კი როდესაც აღმოაჩენს დახრჩობის პირას მყოფ ადამიანს ან თვდასხმის მსხვერპლს, არავითარი საპასუხო რეაგირება საკუთარ თავზე არჩევანის გაკეთებით არ მოახდინოს. მსგავს ვალდებულებას შეუძლია წარმოშვას თავდაცვითი უფლებების საფუძველი. სწორედ ამ წყაროდან მოდის თავდაცვის ვალდებულება და უფლება მესამე მხარისთვის, ანუ უცხო პირებისთვის.

ბოლო თავში გამოვიყენე მოთხოვნა მესამე მხარის კანონის შესახებ, დაიცვას მსხვერპლი თავდასხმისგან, რაც წარმოიშობა მსხვერპლის თვითმოგერიების უფლებიდან, და შემოგთავაზეთ რამოდენიმე განსაზღვრული საწინააღმდეგო აზრი ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით. უცხო პირების და მესამე მხარის დასაცავი უფლება ყველაზე კარგად ვლინდება როგორც ნორმატიულ ურთიერთმიმართებაში მის ფესვებში დამოუკიდებელი

ფორმით ნორმატიულ ურთიერთ კავშირში. პირის საკუთარი სიცოცხლის დაცვის უფლება მომდინარეობს უფრო ზოგადი თვალსაზრისიდან, რაც უკავშირდება სიკეთესა და ღირებულების დამცავ ვალდებულებას. ტერმინი 'თვითმოგერიება', ხშირად გამოიყენება, როგორც საკუთარი თავის და ისე სხვის დასაცავად. მსგავსი საუბარი, ჩვეულებრივ არ არის ნაკლოვანი, ვინაიდან თავდაცვის ორივე ფორმას გააჩნია ბევრი საერთო თვისება. მიუხედავად ამისა, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ამ ორ თავდაცვით უფლებას შორის არის სულ მცირე ერთი მატერიალური სხვაობა.

განსხვავება შეეხება საკითხს, რაც სვამს კითხვას თავდაცვითი უფლებები სრულ თავისუფლებას მოიცავს თუ თავისუფლების ნაწილს.²⁹ ადვილად შესამჩნევი ხდება, რომ პასუხი ამ კითხვაზე, დამოკიდებული იქნება მის ნორმატიულ წყაროზე. თუ თავდაცვითი უფლება წარმოშობილია თავდაცვითი მოქმედების მიზნიდან მაშინ ის, ზოგადად იქნება სრული თავისუფლება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირი იქნება თავისუფალი მიზნის დაცვისგან და არა ისე, როგორც ამას სხვა ფიქრობს, რომ უნდა მომხდარიყო. ამის მიზეზი არის ის, რომ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული უფლებები, ზოგადი განხილვის საგანია. როგორც ჰარტი ხაზგასმით აღნიშნავს, უფლების ქონა, ჩვეულებრივ მოიცავს ძალაუფლებას უარი ათქმევინოს სხვას თავის უფლებაზე, როდესაც ამას სხვა ინებებს.³⁰

ამგვარად, სხვისი საკუთარი სიცოცხლის უფლების დაცვა, ზოგადად მიჩნეულია სადაო საკითხად, ვიდრე სავალდებულოდ. მეტი რა შემთხვევები შეიძლება დავასახელოთ, რომელშიც სხვისი სიცოცხლის უფლების დაცვისგან თავის შეკავების გადანწყვეტილება იქნება არა მარტო ნებართვა, არამედ, საქებარი ქმედება, რადგან ეს უფრე მეტის კეთებაა, ვიდრე ამას ვალდებულება მოითხოვდა. ნამდვილად, ჰიუგო გროტიუსი, ზოგადად მხარს უჭერს მოსაზრებას; 'მაშინ, როდესაც ნებადართულია იმის მკვლელობა, ვინც მზად არის, რომ

²⁹ დავიმახსოვროთ, რომ სრული უფლება (full liberty) ნიშნავს ქმედების სრულ თავისუფლებას ან ქმედებისგან თავის შეკავებას. ცალმხრივი უფლება (half liberty), ერთის მხრივ არის მხოლოდ პოპულარული ქმედების შესრულების უფლება, რომელიც გავს (რადგან გამონაკლისია) ქმედების შესრულების ვალდებულებას.

³⁰ ჰარტი, ჰ.ლ.ა., *ესეები ბენტემზე*, ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982, 183.

მოგვლათ, მაინც ის კაცია საქებარი, ვინც უპირატესობას მიანიჭებს მოკლან ვიდრე მოკლას'.³¹ ეს გარკვეულწილად ქრისტიანულისწავლების ნაწილია, რაც გულისხმობს, რომ ჩვენ ვალდებული ვართ გადავარჩინოთ საკუთარი სიცოცხლე (სწორედ ამიტომ თვით მკვლელობა ითვლება ცოდვად) და ამიტომ არის თვითმოგერიება სავალდებულო. მაშასადამე, ყველაზე ბუნებრივი ხედვა ამ შეხედულების არის საკუთარი სიცოცხლის დაცვის ვალდებულების დანახვა, როგორც გვაკისრია ღმერთისგან. სწორედ ამიტომ, ეს შემთხვევები ყველაზე კარგად განხილულია შემდეგნაირად, თავდაცვითი უფლებების მეორე წყაროს მეოხებით; განსაკუთრებული ვალდებულებები, რომლებიც მომდინარეობს ზრუნვის ნამდვილი ურთიერთ კავშირიდან, სწორედ ეს არის, ღმერთი მიერ დავალდებული, სიცოცხლეზე ზრუნვის ვალდებულება, რომელიც მან ჩვენ გვანდო.

თავდაცვის უფლებები, რომლებიც წარმოიშვა ზრუნვის განსაკუთრებული და ზოგადი ვალდებულებებისგან თავდაცვითი მოქმედებების მიზანთან მიმართებაში, მეორე მხრივ შეიცავს დაკავშირებულ თავდაცვითი ქმედების ვალდებულებასთან ცალმხივ-თავისუფლებას. საკითხში დასმულ ვალდებულებას სხვადასხვა ხარისხის ძალა აქვს, რაც დამოკიდებულია გარემოებებთან. ვალდებულებები, რომლებიც მოდიან ზრუნვის ნამდვილი ურთიერთკავშირიდან, როგორიც არის მშობლების, რომელიც არის ყოვლთვის უძლიერსი, მაგრამ ესეც კი არ არის აბსოლუტური. მაგალითად, თუ მშობელი აღმოჩნდება სიკვდილის მაღალი რისკის წინაშე, ბავშვის სიცოცხლის გადარჩენის გაურკვეული მცდელობა, ამ შემთხვევაში ნათელი აღარ იქნება, რომ ის ასეთი ქმედების ვალდებულების ქვეშ იმყოფებოდა. ამის შესაბამისად, სიკეთისა და ღირებულების დაცვის ზოგად ვალდებულებას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ძალიან ძლიერ ვალდებულებების შესრულებაზე, თუ საკითხის მიზანი არის განსაკუთრებით ღირებული (როგორიც არის ადამიანის სიცოცხლე) და ქმედების ღირებულება სუბიექტისათვის არის ძალიან დაბალი ღირებულების მატარებელი.

³¹გროტიუსი, ჰ., *De Jure Belli Ac Pacis*, კესლი, ფ., (თარგმნა), ნიუ იორკი: საერთაშორისო სამართლის კლასიკა, 1925, წიგნი II, თ., 1: 176.

ამგვარად, როდესაც სუბიექტისადმი განეული რისკები არის მაღალი, წარმატების შანი საეჭვო, და ურთიერთკავშირი სუბიექტსა და თავდაცვითი მოქმედების მიზანს შორის უმნიშვნელო, რეაგირების ვალდებულება შესაძლოა შემცირდეს, სანამ სრული თავისუფლებისგან არის ძნელი გასარჩევი.

უფლებებზე დანესებული შეზღუდვები: აუცილებლობა, გარდაუვალობა, პროპორციულობა

ამით სრულდება თავდაცვითი უფლებების განმარტების პირველი მნიშვნელოვანი უფლებები, რომლებიც თავად უფლებებიდან წარმოიშვნენ, და ვალდებულებები, რომლებიც ბრუნვას უკავშირდება, თავდაცვითი ქმედების მიზანია. ამგვარად, თავდაცვითი უფლებების გაგება ნიშნავს იმ უფლებებში, რომლებშიც ისინი მოიაზრებიან არ არიან აბსოლუტური, თუმცა არსებობენ განსაზღვრულ მორალურ და იურიდიულ დონეზე. თავდაცვითი ქმედების ძირითადი პრობლემა შეიძლება განიმარტოს შეკითხვით, თუ რამდენად შორს მიდის კონკრეტული სიკეთის დაცვის ნებართვა, როდის ხდება დაცვა საშიში, ან იქნებოდა თუ არა სხვანაირად დაუშვებელი. იურიდიული და ფილოსოფიური ლიტერატურა განმარტავს თვითმოგერიების უფლების სამ თანდაყოლილ შეზღუდვას. ეს შეზღუდვებია აუცილებლობა, იმუნიტეტი და პროპორციულობა.³² თვითოეული კონცეფცია შეიძლება განვმარტოთ ჩვენი თვითმოგერიების მოდელთან ურთიერთკავშირის დამოწმებით. შეზღუდვების ამგვარი გაგება აიხსნება, როგორც უფლებების ნიშანდობლივი ელემენტები, რომლებიც წარმოიშობა მის ძირითად, ნორმატიულ სტრუქტურაში. ეს ახსნა-განმარტება წარმოადგენს თავდაცვითი უფლებების ჩვენეული მეთოდის მეორე მნიშვნელს.

რას ნიშნავს ეს შეზღუდვები? აუცილებლობა ამ შინაარსით ნიშნავს სავალდებულოობასა და აუცილებლობას, ვიდრე გარდაუვალობას.³³ ეს გამოხატავს პირის

³²იხილეთ ფლეჩერი, .გ., *თვითმოგერიების დანაშაული*, ნიუ იორკი: თავისუფალი გამომცემლობა, 1988: 19.

³³უნიევი, ს., *ნებადართული მკვლელობა*, კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994: 32.

მიერ განეული საზიანო ღონისძიების ჩატარებისაუცილებლობას, იმისათვის რომ დაცული იქნეს პირის კანონიერი უფლება, თუ არ გვაქვს ნაკლებად ღირებული ქმედების სახის არსებობა, რომელიც იგივე შედეგს მოგვცემდა. ამგვარად, აუცილებლობა ზუსტად განსაზღვრავს გარკვეულ ურთიერთკავშირს ქმედების საბოლოო შედეგის წინააღმდეგ მიმართულ თავდაცვით ქმედებასა და მძიმე შექარას შორის: თავდაცვითი ქმედება ნებადართულია მხოლოდ იმ პირობით, თუ მისი შესრულების მანერა მოთხოვნილიაზიანის აღკვეთის მისაღწევად. მაგალითად, თუ პირს შეუძლია თავისი თავის დაცვა თავდამსხმელისგან მკლავში ტყვიის სროლით, მაშინ ის არ არის ნებადართული მას ესროლოს გულში, თუ მსგავსი ძალოვანი ქმედება არ არის აუცილებელი.

კანონით გათვალისწინებული აუცილებლობის საბოლოო შედეგი არის, ჩვეულებრივ, თავდამსხმელისგან უკან დახევის ვალდებულება, თუ ეს შესაძლებელია (ის, რაც ადვილად შესაძლებელია), რათა თავიდან ავიცილოთ ზიანი. უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებლობა არ მოითხოვს თავდაცვით ღონისძიებას, როგორც პირის უფლებების დარღვევის თავიდან აცილების ერთადერთ შესაძლებლობას, არამედ ნიშნავს იმას, რომ არ არის ნაკლებად საზიანო ალტერნატიული ღონისძიება, რომელიც მოგვცემდა იგივე შედეგს. აუცილებლობის მიღმა არსებული შეზღუდვების დასაბუთება ადვილად განსხვავებადია. თავდაცვითი ქმედების შესრულების თავისუფლება, დამკვიდრებულია ფაქტით, რომელიც გულისხმობს სიკეთის ან ღირებულის დაცვას. თუმცა, ზოგადი მოსაზრება ღირებულების შესახებ მოითხოვს დასაცავად არჩევანი გავაკეთოთ სულ მცირე ღირებულებაზე; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის რაც ყველაზე ნაკლებად არის საზიანო სიკეთისთვის. ეს რიგრიგობით საჭიროებს ზიანის მიყენებას საჭიროების შემთხვევაში.

მეორე აუცილებელი პირობა თავდაცვითი მოქმედებისთვის არის ის, რომ თავდაცვა მხოლოდ მაშინ არის სავალდებულო, როცა ზიანის მიყენების ქმედება არის წინასწარ მომზადებული დანაშაული. როგორც ჯორჯ ფლეჩერი ამბობს: 'წინასწარ გამიზნული დარტყმა საშინელ თავდამსხმელზე არის სწრაფად რეაგირებული უკანონო დარტყმა; და სამაგიეროს მიზღვა წარმატებულ თავდამსხმელზე, არის ძალიან გვიანი უკუ დარტყმა.

კანონიერი თვითმოგერიება არც ძალიან სწრაფად უნდა მოხდეს და არც ძალიან გვიან'.³⁴ იურიდიულ დისკუსიებში მოახლოებული საფრთხე ხშირად მოიაზრება, როგორც თვითმოგერიების სუვერენული საჭიროება; ამგვარად, მოთქმების შემდეგ შეიძლება გამოიკვეთოს, რომ მოახლოებული საფრთხე კონცეპტუალურად წარმოებულია აუცილებლობისგან. ზიანის მიყენების შემდეგ რეაგირების საჭიროების უარყოფას წარმატებით მიენიჭა აუცილებლობის პრინციპის ნამდვილი გამოყენება (მოქმედება აუცილებლობით თავიდან ვერ აირიდებს ზიანს, თუ ზიანის მიყენებას ადგილი უკვე ჰქონდა). მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნა, სანამ ზიანის მიყენება არ გახდება გარდაუვალი, მეორეს მხრივ, არის აუცილებლობის გამოყენების მოთხოვნა სუბიექტისადმი ეპისტემიური შეზღუდვა. საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ უეჭველობის აუცილებლობის ხარისხი, რომ თავდაცვითი ქმედება არის აუცილებელი, ვიდრე ზიანის მიყენება არ იქნება გარდაუვალი. თუ შეუძლებელია, ჩვენ შეგვეძლება ვიცოდეთ, რომ გარკვეული თავდაცვითი ქმედება იყო აუცილებელი თავიდან აგვეცილებინა გარკვეული ზიანი დიდი ხნით, სანამ ზიანი გახდებოდა მინიჭებული, ჩვენ კვლავ აუცილებლად უნდა მოგვეცადა, სანამ ზიანი მოქმედებამდე გახდებოდა გარდაუვალი? მე არ მეჩვენება რომ უნდა მოგვეცადა: აუცილებლობა საკმარისია. გარდაუვალობა, ისევე როგორც, უკან დახევის ვალდებულება, წარმოადგენს აუცილებლობის საჭიროების შემადგენელ აბსოლუტურ შემადგენელ ნაწილსა და შედეგს.

თუ აუცილებლობა და გარდაუვალობა მოითხოვს განსაკუთრებულ ურთიერთკავშირს თავდაცვის ქმედებასა და (უფლების შემადგენელი ნაწილი) და აგრესიის ან თავდასხმის ქმედებასთან, პროპორციულად, ჩვენგან მოითხოვს სიკეთის წინააღმდეგ განეული ზიანის მქონე თავდაცვითი მოქმედების შედეგების დაბალანსებას. კლასიკური იურიდიული ფორმულირება მოითხოვს შემდეგს: 'მიყენებული ზარალი, ან რაც შეიძლება გონივრულად

³⁴ფლეჩერი, გ., *სისხლის სამართლის ძირითადი კონცეფციები*, ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

განიჭვრიტოს, გამოყენებული ძალა არ არღვევს პროპორციას ზარალის მიერ მიყენებულ ზიანს, რომელიც მიჩნეულია თავიდან ასაცილებლად.³⁵ კომენტატორები ხანდახან პროპორციონალობას განმარტავენ, როგორც 'თანაზომიერი ძალაუფლება', რაც გულისხმობს იმას, რაც თვითმოგერიებაში უნდა დაბალანსდეს არის ძალაუფლება. თუმცა ეს შეცდომაში შეგვიყვანს, ის პროპორციულობა რაც არის მოთხოვნილი, დგას ზიანის მიყენებასა და სიკეთის დაცვას შორის, და არა გამოყენებულ ძალაუფლების ტიპს შორის. მაგალითად, თუ შენ აპირებ ჩემს მოკვლას დანით და რაც დამრჩენია არის თავი დავიცვა თოფით ან სხვა ტანკსანინააღმდეგო რეაქტიული იარაღით, ასეთ შემთხვევაში რეაქტიული იარაღის თანათარღობა ბევრად აღემატება დანას.

მიუხედავად იმისა, რომ თანაზომიერების მოთხოვნა და თანაზომიერება ერთმანეთს ეფარდება, რეალურად ისინი არიან იურიდიულად დამოუკიდებელი ერთმანეთისგან. ამგვარად, თუ მთის წვერიდან ვხედავ, რომ შენ არასამართლებრივად კითხულობ ჩემს ბიულეტენს და მე გესვრი ჩემს ძლიერ შაშხანას, ეს ქმედება აუცილებლობიდან ან გამომდინარე დაიცავს ჩემს კონფიდენციალობას, იმ გაგებით, რომ არ გამაჩნია ნაკლებად საშიში განზრახვა ჩემი უფლების მიმართ ძალადობის გამოყენების თავიდან ასაცილებლად, თუმცა ეს აშკარად იქნებოდა ძალის არაპროპორციული გამოყენება. მეორე მხრივ, თუ მე ვარ სირბილში ჩემპიონი და ადვილად დავაღწევ თავს თავდამსხმელს, რომელიც ცდილობს ჩემს მკვლელობას, ასეთ შემთხვევაში მის მიმართ სასროლი იარაღის გამოყენება იქნებოდა პროპორციული, მაგრამ არა აუცილებელი. აუცილებლობა, გარდაუვალობა და პროპორციონალობა არიან არა საფუძვლიანი პირობები თავდაცვითი ქმედების გასასამართლებლად, არამედ აუცილებელი პირობები. ორივე ზემოთ მოყვანილ მაგალითში თავდაცვითი ძალის გამოყენება იქნებოდა დაუშვებელი.

³⁵1879 წლის სისხლის სამართლის კოდექსის კანონპროექტი, ციტირებული სმიტი, ჯ., რ-ს და მაკკეის მიერ (1957) 560.

აუცილებლობის, გარდაუვალობის, და პროპორციონალობის საჭიროება არის თავდაცვით ქმედებაზე სამართლებრივად დანესებული შეზღუდვები. პრაქტიკაში, მაინც ეს შეზღუდვები ცნობილია რომ მოქმედებენ ნაკლებად ვიდრე იდეალურ გარემოებაში სიფრთხილისთვის. სამართალ დამცავები აუცილებლობასთან, გარდაუვალობასთან და პროპორციონალობასთან დაკავშირებით აღიარებენ, რომ ისინი შექმნილია ექსტრემალური სიტუაციისა და საფრთხის წინაშე მყოფი შეშინებული მსხვერპლის მიერ. როგორც მოსამართლე ოლივერ უენდელ ჰოულმსი შესანიშნავად აღნიშნავს, ცალკული რეფლექსები ვერ მოითხოვს აღმართული დანის გამოყენებას.³⁶ ამგვარად, აუცილებლობა და პროპორციონალობა სტანდარტული გაგებით უნდა იყოს განმარტებული შემწყნარებლობის ხარისხითა და გონოვრული შეცდომის ნებართვით. მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ ქმედების ნორმალურობა რჩება ობიექტურად და არა სუბიექტურად. სხვა სიტყვებით, მსხვერპლისთვის არ არის საკმარისი პათიოსნად სჯეროდეს თავისი ქმედების აუცილებლობა და პროპორციონალობა; მისი რწმენა აგრეთვე ზომიერად ობიექტური უნდა იყოს. რას წარმოადგენს ზომიერი რწმენა? მიუხედავად ამისა, უნდა იყოს სწრაფი რეაგირების მქონე არაკეთილსიერი ქმედების და სტრესის მიმართ ბუნდოვან კონფლიქტურ სიტუაციის გარემოებაში.

თანაზომიერების საზღვრები

ანგლო-ამერიკული იურიდიული ტრადიციისათვის ჩვეული პროპორციონალური მოთხოვნა თავდაცვითი უფლებებისათვის არის ღრმად ინტუიციური შეზღუდვები. აშკარაა, რომ გარკვეული შეზღუდვები უკნონო იერიშზე არის გამჭვირვალედ უნებართვო, ვინაიდან ისინი არ არიან პროპორციული ზიანის მიმართ, რომელიც აღმოფხვრას ისახავს მიზნად. მაშასადამე, პროპორციონალობის მოთხოვნა უფრო პრობლემატურია, ვიდრე

³⁶ციტირებულია ჯ., ე. სმიტთან *გამართლება და პატიება სისხლის სამართალში*, ლონდონი: სტივენსი, 1989: 108.

აუცილებლობა და გარდაუვალობა. პროპორციონალობა საჭიროებს ღირებულებისა და ზიანის შესახებ გაცილებით უფრო რთულ შედარებით შეფასებას. რაც უფრო საკამათო მოთხოვნაა, თუ ვისი საფუძველია უფრო შორს გამჭვირვალობისგან.³⁷ ვინაიდან, პროპორციონალობის კონცეფცია ისეთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობრივია თვითმოგერიების გამოყენების მიმართ, რომ უნდა დავხვეწო და დავიცვა თვითმოგერიების მოქმედების პროპორციონალობის შეზღუდვების სუბსტანციური კონცეფციები.

რომელი უფლებები და სიკეთეები იქნებოდა პროპორციული თავდაცვის სასიკვდილო ძალის გამოყენებისთვის? ჩვენი პირველი და ყველაზე გამჭვირვალე ინტუიცია გვკარნახობს მის პროპორციონალობას, სასიკვდილო ძალის გამოყენებას სიცოცხლის დასაცავად. 'სიცოცხლე სიცოცხლისთვის', არის ძალიან ნათელი და უდავო გამართლება³⁸ და ის გვიქმნის საფუძველს, პროპორციონალობის გასაგებად. ამის მიღმა, რაღაცეები უფრო ბუნდოვანი ხდება. სხვა რომელი უფლებები და სიკეთეები ამართლებს სასიკვდილო ძალის გამოყენებას თავდაცვის მიზნით? შესაძლოა, კანდიდატები დაიცვან ფიზიკური დასახიჩრების თავიდან აცილების მიზნით, გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის, თავისუფლების დაცვის და საკუთრების უფლების დაცვის მიზნით.

პირველი მოთხოვნა, რომელსაც მხარი უნდა დაუჭირო, არის ერთის მხრივ, დიდი მორალური განსხვავება პირის საწინააღმდეგოდ განხორციელებული სერიოზულ თავდასხმის, და საკუთრების უფლების წინააღმდეგ მიმართული იერიში, მეორეს მხრივ, როდესაც პირმა შეიძლება კანონიერად მოკლას პირველ შემთხვევაში, მაგრამ არა მეორე შემთხვევაში. აქ, რა საკვირვლია, გვექნება რთულად გამიჯნული შემთხვევები, იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მათგანი წარმოადგენს 'სერიოზულ' თავდასხმას პირის საწინააღმდეგოდ, მაგრამ სხვაობა, რომელიც მახსოვს მუდმივად განასხვავებს ერთმანეთისგან დაზიანებებს,

³⁷ ნამდვილად, ვარკვეული იურიდიული იურისდიქცია, როგორც არის გერმანული და საბჭოთა კავშირის, საერთოდ არ აწესებს პროპორციონალობის მოთხოვნას. ეს უნდა მოდიოდეს იმ დიდი სხვაობიდან, რაც უფლებებს ქმნის. იხილეთ ფლუჩერი, გ., „პროპორციონალობა და ფსიქოზური თავდამსხმელი: ვინიეტა შედარებით სისხლის სამართლის თეორიაში“, *ისრაელის სამართლის მიმოხილვა*, 8 (1973), 367-90.

³⁸ სულ ცოტა, როდრსაც არ განიხილება სადამსჯელოდ.

სისხლდენა და ასევე გაუპატიურება ჩამონათვალის ერთ მხარეს, ჩალურჯებები, ჭრილობები, და სხვა დანარჩენი ადვილად სამკურნალო სხეულის დაზიანებები მეორე მხარეს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი თვალთახედვით ნებადართულია მკვლელობის ჩადენა საკუთრების დაცვის მიზნით, რაზეც პირდაპირ არის დაკავშირებული პირის სიცოცხლე. მაშასადამე, პირს შეუძლია, თუ ეს აუცილებელია მოკლას ქურდი, თუ ის ცდილობს მოიპაროს ვინმეს ბოლო ლუკმა, ან საარსებო მნიშვნელობის ნივთი, რაც მექანიკურად უზრუნველყოფს პირის ცხოვრებას. ეს შემთხვევები უბრალოდ შესანიშნავი მაგალითებია კარგად ცნობილი უფლებებისა, რაც პირის სიცოცხლის დაცვის მიზნით სასიკვდილო ძალის გამოყენებას გულისხმობს.

პროპორციონალობის პრინციპი, როგორც წარმოგიდგინეთ, საჭიროება დაცვას ორი მიმართულებით: პირველ შემთხვევაში საკუთრების დაცვის გამოკლებით, ხოლო მეორე შემთხვევაში სხეულის არა-სასიკვდილო ზიანის მიყენების ჩათვლით. მოდით დავინწყით გამოკლებით. სამართლიანი დაცვისგან საკუთრების გამოკლება სასიკვდილო ძალის მეოხებით, ინლისური სამართლის³⁹ დამახასიათებელი ნიშანია და დაცულია ადამიანის უფლების ევროპულ კონვენციაში.⁴⁰ ამერიკულ სამართლს არ აქვს ერთპიროვნული დამოკიდებულება: უამრავ შტატში ნებადართულია სასიკვდილო ძალების გამოყენება ყაჩაღის წინააღმდეგ, მაშინაც კი თუ ის არ იყენებს სიცოცხლისათვის⁴¹ საშიშ მუქარას.

იმის გასაგრესობად, რომ ვინმე გონივრულ დამოკიდებულებას იჩენს საკუთრების სამართლიანი სასიკვდილო ძალის მოგერიებიდან, გონივრული პოზიცია, რომელიც ამ განხილვის მიღმა შეიძლება იდგეს შემდეგია: საკუთრების წინააღმდეგ მიმართული თავდასხმა განსხვავდება პირის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმისგან, რადგან არსებობს დამკვიდრებული და ქმედითი საკუთრებაზე თავდასხმის განხორციელების შემთხვევაში

³⁹ იხილეთ ჯ., ე. სმიტის და ბ., ჰოგანის *სისხლის სამართალი*, ლონდონი: ბათერუორთსი, 1992; 258: 'იშვიათად, რომ ვინმემ გამოიყენოს საკუთრების პროპორციული სასიკვდილო ძალა'.

⁴⁰ ფელჩერი, „პროპორციულობა და ფიზიკური თავდასხმევი“, 367-90, 381.

⁴¹ ფელჩერი, გ., *თვითმოგერიების დანაშაული*, ნიუ იორკი: თავისუფალი გამომცემლობა, 1988: 35.

მოვლენის შემდგომი ზარალის ანაზღაურების თანხები, რაც არ გვაქვს პირზე განხორციელებული თავდასხმის შემთხვევაში. საკუთრებათა უმეტესობა დაზღვეულია და სრულ ანაზღაურებას ექვემდებარება. შესაძლებელია ასევე ქურდების დაჭერა, სასამართლოში წარდგენა და მოპარული საკუთრების ანაზღაურება.

ამგვარად, სადაო უნდა იყოს რომ ამ მოსაზრებას არ შეუძლია ძირითადი სამართლებრივი პრინციპის დადგენა, რადგან სხვაობა მხოლოდ მაშინ არის ხილვადი, როდესაც საქმე გვაქვს მყარად დამკვიდრებულ იურიდიულ რეგლამენტთან. ქმედითი იურიდიული სისტემის მიერ მონოღებული უსაფრთხოების სფუქვლით, საშუალება გვეძლევა, დავადგინოთ მკვეთრი სხვაობა საკუთრებაზე თავდასხმებსა და ფიზიკურ თავდასხმებს შორის. ამგვარად, ბუნებივ მდგომარეობაში, გვექნებოდა თავდაცვის საოცრად ვრცელი უფლება ისეთი, რომ სამართლიანი იქნებოდა საკუთრების დაცვა, და შესაძლოა ასევე გვექნებოდა სასიკვდილო ძალის გამოყენების დაკანონებული უფლებაც.

მინდა შევეწინააღმდეგო ამ უფლებას, და მხარი დავუჭირო პროპორციონალობის პრინციპს, რომელიც გამოვკვეთე, იქნება მართებული იმ შემთხვევაშიც კი თუ არ არსებობს ქმედითი იურიდიული სისტემა. ეს ნიშნავს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იქნება მეორე ნაწილში ჩემი არგუმენტი, ვინაიდან ხშირად არის ნახსენები, რომ სახელმწიფოები, რეალურად ერთმანეთს ანგარიშს უწევენ, და მნიშვნელოვანია, ვიყოთ გარკვეულები იმაში, თუ რა გავლენას იქონიებს ეს პროპორციონალობის ჩვენეულ იდეებზე.

პირველ რიგში, სახელმწიფოს მდგომარეობის მიხედვით, არსებობს საკუთრებაზე განხორციელებული თავდასხმის ანაზღაურება და ფულადი კომპენსაცია, რაც არ ვრცელდება (ან იგივე სახით არ არსებობს) ფიზიკური ზიანის მიყენების შემთხვევაში. სახელმწიფოში ანაზღაურება არ არის იურიდიულად გარანტირებული, მაგრამ ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ მცირდება, კვლავ არსებობს იმ სახით, რა სახითაც არ გვაქვს იმ მსხვერპლთათვის, ვინც ფიზიკური შეურაცყოფის მსხვერპლი გახდა. მაგალითად, ქურდობის მსხვერპლს, თავისი ბუნებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლია აინაზღაუროს საკუთარი კუთვნილება გვიან ღამით ქურდის სახლში

შეპარვით. პირი, რომელიც დასახიჩრებულია ან დამახინჯებული თავდასხმისგან, არ აქვს მსგავსი შედეგის მქონე ქმედების რესურსი. ამ შემთხვევაში, მოვლენის შემდეგი ქმედება შეიძლება მხოლოდ სამაგიეროს გადახდით და დამსახურებული სასჯელის მიზლის მიზნით, თუმცა ეს უკან ვერ დააბრუნებს ფიზიკურ მთლიანობას. ასე რომ, ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობაზე დაფუძნებული სხვაობა ბუნებრივ მდგომარეობაში მაშინაც კი რჩება, თუმცა ამის გამოსახვის თვალსაზრისით ეს განსხვავება რა საკვირველია შემცირდება.

მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობა, რაც განასხვავებს საკუთრების ხელყოფისკენ მიმართულ თავდასხმებს პირის ფიზიკური ზიანის მიყენებისგან, ეს ასევე გახლავთ აღდგენის შესაძლებლობა. მაროდიორებისგან განადგურებული სახლი, შეიძლება უკეთესი იყოს აღდგენის შემდეგ ვიდრე მანამდე, და ასევე მოხდეს დაკარგული ავეჯის აღდგენა. ამდენად, თავდასხმა, რომელიც იწვევს მკვლელობას, დასახიჩრებას, ზიანის მიყენებას, ჯანმრთელობის თუ ფიზიკური მთლიანობის თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა შეიძლება აღარასდროს მოხდეს (ხელოვნური დეტალის აღდგენა საერთოდ არ წარმოადგენს იგივე საკითხს). ის, რასაც ეს გვთავაზობს წარმოადგენს თავდასხმებისგან მიყენებული ზიანის ფიზიკურ პირზე და საკუთრებაზე არ არის მხოლოდ სხვაობა მნიშვნელობაში; ისინი არიან განსხვავებული არსითაც. ეს მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ მკვლელობაზე უკეთესია გაგძარცვონ სრულიად, რაც გაგაჩნაია; ეს სხვა სახის დაზიანებაა, ერთის მხრივ ზიანის მიყენების შემთხვევაში სრულად შეიძლება ანაზღაურება, მაშინ, როდესაც მეორეს მხრივ ეს შესაძლებლობა მხოლოდ თეორიულად არსებობს. როგორცზარალის აღდგენის შესაძლებლობა, ასევე ეფექტური რეკონსტრუქციის შანსი ბუნებრივ მდგომარეობაში არის მცირე; ამგვარად, ეს უსაფუძვლოდ არ ამტკიცებს მორალური მნიშვნელობის განსხვავებას ამ ორი სახის ზიანს შორის, ამისთვის სხვაობა დაფუძნებულია თავად შესაძლებლობაზე.

ახლა განსაზღვრული პირები ამ მოსაზრებების შედეგად დარჩებიან იგივე პოზიციაზე. ყველაფრის შემდეგ, შეიძლება სადაო გახდეს ისეთი საკუთრება, როგორიც არის ტრადიციარეის ვიოლინო ან ვან გოგის ნახატი, შეუძლებელია მათი ჩანაცვლება ან

აღდგენა. მაშინ, როდესაც ისინი, ვინც ისე ფიქრობს, როგორც მე, რომ არსებობს მნიშვნელოვანი მორალური სხვაობა ფიზიკური პირის საწინააღმდეგოდ და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ თავდასხმას შორის, იძულებული იქნება იშვიათი ხელოვნების ნიმუშების და მუსიკალური ინსტრუმენტების მიმართ დათანხმდეს სასიკვდილო თავდაცვითი უფლების განვრცობას. ის, რასაც ვფიქრობ რომ აჩვენებს, არის ის, რომ მოსაზრებები, რომლებიც წამოვაცენ არ წარმოადგენენ იმ მიზეზებს თუ რატომ უნდა დავაფასოთ სიცოცხლე და საკუთრება განსაზღვრული მიმართულებით, ისინი არიან უფრო მინიშნებები იმ ფაქტზე, რომ ჩვენ სწორედ ამ გზით შევაფასოთ. ნებისმიერი პრინციპი პროპორციონალობაზე აუცილებლად უნდა დარჩეს ძალიან ძირეული, დიდი მნიშვნელობის და ღირებულების მქონე ნიშანდობლივი შეფასებების დონეზე. მაგალითად, ჩვენ გარკვევით ვმსჯელობთ თავდაპირველ დონეზე, რომ ადამიანის სიცოცხლის ნიშანდობლივი ღირებულება არის განსხვავებული თანმიმდევრობის, ვიდრე ერთი წყვილი სათვალე. ეს სწორედ ღირებულების ის შედარებითი შეფასებაა, რომელიც პასუხობს თუ რატომ არის ჩემთვის არათანაზომიერი და არასამართლიანი ესროლო ჯიბის ქურდს, რომელიც ცდილობს გაიქცეს ჩემგან მოპარული სათვალით. ასეთი შეფასებები მნიშვნელობის ძალას ინარჩუნებენ ბუნებრივი მდგომარეობის გზით, ბუნებრივი მდგომარეობის გზითაც კი სიცოცხლე ისევ სიცოცხლედ რჩება, და სათვალე ისევ სათვალედ. ძნელია იმის გაგება, თუ სხვა რომელი გზით შეიძლება შეხედულების ჩამოყალიბება. რა თქმა უნდა, საკუთრება სხვა ღირებულების მქონეა, და იმაზე მეტი ღირებულების საკუთრება არსებობს, ვიდრე სათვალე. ამგვარად, მე მჯერა შეფასების ის დონე, რომელსაც ვიზიარებ, ჩვენ აუცილებლად მივაკუთვნებთ სიცოცხლეს და მნიშვნელოვანი ფიზიკური სხეულის მთლიანობა არის ის განსხვავება, და მაღალი რიგითობის, ვიდრე ნებისმიერი დანარჩენი საკუთრება.

ამის თქმით, ვფიქრობ, რომ მივალწიეთ ეთიკური არსის ძირითად პრინციპს. ამას სიცოცხლის შედარებით ღირებულებად ვაფასებთ, და საკუთრება ამ მნიშვნელობით, ვფიქრობ არის რაღაც, რასაც დიდმნიშვნელოვნად გამოვარჩევთ შემთხვევაზე ღრმა ასახვით. ძნელია იცოდეთ რამდენად შორს შეუძლია ამ მოსაზრებას წაგვიყვანოს. მაგალითად,

ხანდახან გვთავაზობენ ხოლმე ამ სახის პროპორციონალობის შესახებ დასკვნებს, რომელსაც გთავაზობთ შეიძლება დამკვიდრდეს იმ გაგებით, რომ სიცოცხლე არის ძირითადი სიკეთე, მაშინ როდესაც საკუთრება არის მხოლოდ მატერიალური სიკეთე. ეს დასკვნა უდაოდ სწორია, მაგრამ არ არის ის, რაც სხვაობას აკეთებს ძირითად და მატერიალურ სიკეთეებს შორის, თუ მხარს არ დაუჭერთ ამგვარი ღირებულების ფუნდამენტალურ შეფასებას, რომელსაც გთავაზობდით? განსხვავება ძირითად და მატერიალურ სიკეთეებს შორის როგორც ჩანს გამოხატავენ ჩვენი ღირებულების შედარებითი დასკვნების წინამორბედ საფუძველს.

ვფიქრობ, რომ ეს წარმოადგენს შემთხვევას, რომელიც შეიძლება მომზადდეს სასიკვდილო ძალით საკუთრების სამართლიანად დაცვის გამონაკლისად. რატომ შეგვაქვს არა-სასიკვდილო დაზიანება, როგორც არის სხეულის დაზიანება ან გაუპატიურება? ჰიუგო გროტიუსი გვთავაზობს, რომ პირმა შეიძლება სამართლიანად მოკლას სხეულის ნაწილის დაკარგვის თავიდან აცილების მიზნით, მითუმეტეს თუ ეს ნაწილი მნიშვნელოვანია, რადგან არსებობს სერიოზული რისკი სიკვდილიანობის, რაც ასეთ დაზიანებას შეიძლება მოყვეს, მაგალითად, სისხლდენისგან გამონვეული სიკვდილი.⁴² თუმცა ის აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ეს შეიძლება არ იყოს გადამწყვეტი ფაქტორი, აქვს თუ არა ვინმეს უფლება სასიკვდილო ძალით დაიცვას სხეული ესა თუ ის ნაწილი, აუცილებლად ფლობს უფლებას ბოროტი განზრახვით განხორციელებულ ქირურგიული ჩარევის წინააღმდეგობის უფლებას ქირურგის წინააღმდეგ, ვინც უნდა ჩაატაროს ამპუტაცია განსაკუთრებულ ჰიგიენურ პირობებში.

არის თუ არა სხეულის ნაწილის დაკარგვა და დასახიჩრება ისეთივე ცუდი, როგორც სიცოცხლის დაკარგვა? ეს არ ჩანს სახარბიელოდ, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ პროპორციონალობა არ მოითხოვს თანაზომიერებას თავიდან აცილებულ ზიანსა და ტკივილის მიყენებას შორის. საკმარისია ტკივილი იყოს იგივე მნიშვნელობის (ეს

⁴²გროტიუსი, *De Jure Belli Ac Pacis*, 174.

შესაძლებელია იმიტომ, რო ზემოთ განხილული იურიდიული ფორმულირებაში გამოყენებულია ნეგატიური ფრაზა: რომ ზიანი 'არ უნდა იყოს არაპროპორციული...'). ამ თვალსაზრისით დასახიჩრება და სხეულის ნაწილის დაკარგვა იზიარებენ სასიცოცხლო მნიშვნელობის საერთო დამახასიათებელ ნიშნებს; ისინი, ორივე არის მძიმე ტკივილი, რომლის სინამდვილეში გამოსწორების ან აღდგენის შანსი არ არსებობს. თუმცა გაუპატიურება სხვა დაზიანებებთან ერთად პირის, ფიზიკური მთლიანობის მიმართ, განხორციელებული სასტიკი ძალადობაა, გაუპატიურების მიმართ საქმე მაინც რთულად არის. შეიძლება ეს არ ტოვებს აუნაზღაურებელ ფიზიკურ ზიანს, მაგრამ შეიძლება დატოვოს მუდმივი ფსიქოლოგიური იარები, რომლებიც საკმაოდ განსხვავდება ყაჩაღობის შედეგად მიყენებული მსხვერპლის იარებისგან.

რა სახის დაცვაა თავისუფლება? სიცოცხლე და თავისუფლება ხშირად ერთ ადამიანურ ძირითად სიკეთედ მოიხსენიება, და ხანდახან მოთხოვნილია იყოს სამართლიანი თავისუფლების დაცვის მიზნით ჩადენილი მკვლელობა. ეს მტკიცება სათავეს იღებს იმ დაკვირვების ალბათობიდან, რომლის თანახმად, თავისუფლება აუცილებელი პირობაა მრავალმნიშვნელოვანი სასიცოცხლო ფუნქციის შესასრულებლად. თავისუფლება, არის ორივე კომპონენტის შემცველი, და უამრავი სუბსტანციური ღირებულების სიკეთისაუცილებელი პირობა; ნაწილობრივ იმიტომ ვაფასებთ სიცოცხლეს, რომ ის თავისუფლების გამოყენების საშუალებას გვაძლევს. ამ მიზეზით, გასაგებია, ის ხანდახან პროპორციულია პირის თავისუფლების დასაცავად სასიკვდილო ძალის გამოყენებით, პირისთვის თავისუფლების ჩამორთმევა გარკვეული შინაარსით ნიშნავს მათთვის მრავალმნიშვნელოვანი სასიცოცხლო მნიშვნელობის წართმევა.

უკიდურესად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ამ მოთხოვნის შეზღუდვების ცოდნა. როგორც რიჩარდ ნორმანმა აღნიშნა, უამრავი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პირის თავისუფლებაზე ხდება თავდასხმა ან დარღვევა, და მათი უმეტესობა არ იყენებს სასიკვდილო ძალას პროპორციონალურად. მაგალითად, თუ ფერმერი დაარღვევს თქვენს თავისუფლებას, საზოგადოებრივი უფლების დარღვევით გზის გამოყენებაში ხელის

შეშლით, ეს არ იქნებანებადართული სხვისთვის სასიკვდილო სროლით საკუთარი თავისუფლების დაცვა. ასევე არათანაზომიერად მეჩვენება სასიკვდილო ძალის გამოყენება პირის წინააღმდეგ, ვინც ცდილობდა თქვენთვის პოლიტიკური თავისუფლების ჩამორთმევას, როგორც არის ხმის მიცემის უფლება ან აზრის გამოხატვის თავისუფლება. თუ არსებობს რაიმე კონტექსტი, რომელშიც თანაზომიერი იქნებოდა სასიკვდილო ძალის გამოყენებით თავისუფლების დაცვა, აიკრძალებოდა დამონების, უკანონოდ სიცოცხლის ხანგრძლივი ვადით ციხეში გატარება, ან მსგავსი თავისუფლების სერიოზული დარღვევის წინააღმდეგ დასაცავად. მხოლოდ თითოეული გარემოებისთვის დაკარგული თავისუფლების ღირებულება იქნებოდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ასეთ შემთხვევაში თავდაცვის უფლების გამოყენების სირთულე მიეკუთვნება აუცილებლობის მოთხოვნას, ვიდრე თანაზომიერებას, რამეთუ ხშირად რთულია განსაზღვრო არის თუ არა ან როდის არის აუცილებელი მოკლა, ან თავი დააღწიო დამონებას ან ციხეში ჩაჯდომას. მიუხედავად ამისა, ვერ გამოვრიცხავთ იმის ალბათობას რომ სამართლიანად ჩათვლიან დამონების ან სიცოცხლის ხანგრძლივი ვადით შეზღუდვისგან თავის დაღწევის მიზნით, სასიკვდილო ძალის გამოყენებას.

ვფიქრობ, რომ სასიკვდილო ძალის მნიშვნელოვანი არა-სასიკვდილო ფიზიკური ზიანის და მონად ჩავარდნის წინააღმდეგ გამოყენების შემთხვევები, მიჯნავს იმ უკიდურეს შეზღუდვებს, რაც აწესებს სასიკვდილო ძალის გამოყენების თანაზომიერებას. მე მათ მივაკუთვნებ თვითმოგერიების უფლებას ძირითად შემთხვევასთან ახლო კავშირის გამო. მიუხედავად, ამისა სასიკვდილო ძალის გამოყენება, საშიში თავდამსხმელის წინააღმდეგ, რჩება კვლავ თვითმოგერიების ძირითად შემთხვევად, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის რომ ეს უფლება ასევე შეიცავს სერიოზულ სხეულის არა-სასიკვდილო თავდასხმების და დამონების წინააღმდეგ მიმართულ მოგერიებას.

ამ თავში შევისწავლეთ იმ შეხედულების ტრიადის ორი მნიშვნელი, რომელიც წარმოადგენს თვითმოგერიების კანონზომიერებას: ის, რაც შეეხება სუბიექტსა და უფლების მიზანს შორის ურთიერთობას, და (თავდაცვითი ქმედების) და შინაარსობრივ-

შემადგენლობასა და უფლების მიზანს შორის არსებულ ურთიერთმიმართებას. ამ გზით, ჩვენ მრავალმნიშვნელოვნად გამოვსახეთ თავდაცვითი უფლებების ჯგუფის შეზღუდვები და იურიდიული მოქმედების საზღვრები. ამგვარად, ახსნა-განმარტების ყველაზე მნიშვნელოვან და რთულ ელემენტად რჩება მართებული დასკვნა; ეს დაკავშირებულია თავდაცვითი უფლების სუბიექტსა და ობიექტს შორის ურთიერთმიმართებას - რთული სიტუაციის მსხვერპლისა და თავდამსხმელს შორის. ეს ამოცანა იქნება ის ძირითადი საკითხები, რაზეც მოგვითხრობს მომდევნო ორი თავი.

ნაწილი II

სახელმწიფო თავდაცვა

7 თავი

ომი და საზოგადოებრივი ცხოვრება

თომას ჰობსის „ლევიათანის“ თავდაპირველი რედაქციის გარეკანს აქვს გასაოცარი ილუსტრაცია. მონარქი წარმოდგენილია, როგორც უზარმაზარი ფიგურა, გადაჰყურებს პეიზაჟს, და მის სხეულში გაერთიანებულია უამრავი ინდივიდუალური ფიგურა. ამის აზრი არის ის, რომ სახელმწიფო (რასაც დღეს ჩვენ ვეძახით სუვერენულ სახელმწიფოს), შეიძლება იყოს ინდივიდუალური, დიდი მასისთვისასარგებლო პირი.⁴³ ეს არის პოლიტიკურ აზროვნებაში გავრცელებული უძველესი იდეის საუკეთესო თვალსაჩინო მაგალითი. მაიკლ უოლცერი ამ იდეას ეძახის ‘შიდასახელმწიფოებრიობის ანალოგს’, და „სამართლიანი ომის თეორიაში“² ⁴⁴ წერს მის უდაო ჭეშმარიტებაზე. შიდასახელმწიფოებრიობის ანალოგის ძირითადი თემისი არის ის, რომ სახელმწიფოს უფლებების და მოვალეობების გაგება შეიძლება ინდივიდუალური პირების უფლება-მოვალეობების ანალოგზე.

⁴³ ჰობსი ამ იდეას დაწვრილებით გადმოსცემს თავისი ნაშრომის შესავალ ნაწილში: ‘ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს დიდებული ლევიათანი, რომელსაც ეწოდება მეგობრობა, ან სახელმწიფო (ლათინურად Civitas), რომელიც არის ხელოვნური ადამიანი; თუმცა უფრო დიდი მნიშვნელობის და სიძლიერის, ვიდრე ბუნებრივი, რისთვისაც მიმართულია დაცვა და მფარველობა; რისთვისაც სუვერენიზმი არის ‘ხელოვნური სული’, რაც სიცოცხლე და მთელი ორგანიზმი მოყავს მოძრაობაში...’ (ჰობსი, თ., *ლევიათანი*, ტაკ, რ., (რედ.), კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1991: 9).

⁴⁴ უოლცერი, მ., *სამართლიანი და უსამართლო ომები*, ნიუ-იორკი: Basic Books, 1977: 58-9.

ძნელია საერთაშორისო ეთიკის ისტორიაში, საერთაშორისო სამართალში, და პოლიტიკურ ფილოსოფიაში ამ იდეის მნიშვნელობის ზედმეტად გაზრდა. უამრავი განსხვავებული ანალოგი გვაქვს დროთაგანმავლობაში დაგროვილი ისეთი მოაზროვნეთაგან თეორიული კანონპროექტების სახით როგორებიც არიან აუგუსტინი, გროტიუსი, ჰობსი, მილი, და როულზი.

ბოლო თავში ეროვნული თავდაცვის საბოლოო ანგარიშისათვის, გამოვკვეთე ორი ძირეული სტრატეგია. პირველი არის ადამიანის უფლებების დონეზე ეროვნული თავდაცვის განმარტების მცდელობა. ეს იყო ბოლო თავში წარმოდგენილი მიახლოებული შესწავლა. მეორე არის, რასაც ვეძახით ‘ანალოგიურ სტრატეგიას’. ეს მიდგომა სერიოზულად იღებს ეროვნული თავდაცვის ცნებას, როგორც სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი უფლება და მცდელობები მინიჭებული ჰქონდეს ამ უფლებას მორალური შინაარსობრივი შემადგენლობა, როგორც ადამიანის თვით-მოგერიების უფლების ერთ-ერთი ანალოგი. ეს სწორედ ის იდეაა, რომელსაც განვიხილავ ამ თავში. კიდევ ერთხელ რა გაგებით ვეკიდები გამოწვევას, რომელიც ქმნის ქმედით ანგარიშს უფლების მოქმედების სფეროს საბოლოო წერტილამდე.⁴⁵

მიმართულება, რომლითაც ამ გამოწვევას უნდა მივუდგე არის გამიზნულად ფართო კონცეფცია, რასაც ხშირად ეძახიან საზოგადოების „ჩვეულებით ცხოვრებას“. ჩვეულებით ცხოვრებას ვსვამურთიერთ დაკავშირებულ სოციალური სისტემის ჩამონათვალში, რომელიც გამოჩნდა მაშინ, როდესაც ხალხმა ერთობლივად დაიწყეს ცხოვრება. ამგვარი გაგებით ჩვეულებითმა ცხოვრებამ დროთა განმავლობაში, შეიძინა ხასიათი და იდენტურობა, რაც განაგრძობს ზრდა-განვითარებას, შეგნებულად და შეუგნებლად ცხოვრება ისეთ ფორმას იძენს, როგორსაც მისცემს მას საზოგადოება, რომელიც ცხოვრობს მისი არსებობის განმავლობაში. ეს არის ის რაღაც, რასაც შეიძლება ძირი გამოეთხაროს, გამოუსწორებლად

⁴⁵ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი რთული კითხვა არსებობს, რომელთაგან, რამოდენიმეს განვიხილავთ შემდეგ თავში.

შეიცვალოს, ან განადგურდეს კიდევ. ყველა ამ მიზეზის გამო 'სიცოცხლის' კოლექტიური თუ ჩვეულებითი მნიშვნელობა, მეტაფორულიც კი (საზოგადოებისთვის სიტყვა-სიტყვით არ არის ორგანიზმი)სათანადოდ მეჩვენება. შემოთავაზებული წინადადება, რომელიც უნდა განვიხილო არის ის, რომ ეროვნული თავდაცვა არის უფლება, რომელსაც ფლობს სახელმწიფოები, და პრინციპულად წარმოიშვა იმ წერტილში, არა სიცოცხლის ან ინდივიდუალური მოქალაქეების დასაცავად, არამედ სადაც იწყება საზოგადოების ჩვეულებითი ცხოვრების დაცვა.

ახლა როგორ გვესმის ჩვეულებითი ცხოვრების იდეა ეროვნული თავდაცვის არგუმენტის ფონზე? ვფიქრობ შესაძლებელია ჩვეულებითი ცხოვრების სამი სიცოცხლისუნარიანი ინტერპრეტაციის გარჩევა, როგორც ეროვნული თავდაცვის უფლების პოტენციური მიზანი. პირველი ინტერპრეტაცია, ეძებს ჩვეულებითი ცხოვრების ღირებულების გაგებას სახელმწიფო კანონიერების ფარგლებში. მეორე ინტერპრეტაცია ჩვეულებით ცხოვრებას ხედავს, როგორც განსაკუთრებული კულტურის და ისტორიის მემკვიდრეობის სინთეზს. მესამე ინტერპრეტაციით, ჩვეულებითი ცხოვრება არის კოლექტიური თვით-გადანწყვეტილება და აუტონომია. ჩემი განზრახვა არის გამოკვლევა ერთ-ერთი ამ კონცეფციიდან თუ შეძლებს დაადგინოს საკმარისი ღირებულება რომ დაამკვიდროს ეროვნული თავდაცვის უფლება ისეთივე უფლების ანალოგიურად, როგორც თვით-მოგერიების უფლებაა.

ვიდრე ამას გავაკეთებდეთ, მინდა დავადგინო ორი შეზღუდვა იმისა, თუ რომელი მისაღები ანგარიში უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივ ცხოვრებას. პირველი აშკარად გასაგებია. რადგან ჩვენი გეგმა თავისი ბუნებით დასაცავია, საზოგადოებრივიცხოვების ანგარიში ისეთი უნდა იყოს, რომ დაამკვიდროს ეროვნული თავდაცვის სუბსტანციურად იმ გაგებით, როგორც არის უფლება ცნობილი თანამედროვე საერთაშორისო სამართალსა და „სამართლიანი ომის თეორიაში“. თეორია, რომელიც ადგენს სიღრმისეულად რედაქტირებულ ეროვნულ-თავდაცვით უფლების შესახებ დასკვნებს, არ არის ჩვენი ამჟამინდელი მოთხოვნის სასურველი დასასრული, თუმცა, შეიძლება საინტერესო და კანონიერი ვალდებულება იყოს თავისი უფლებით.

მეორე წინააღმდეგობა მოდის საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალური ინტერპრეტაციის თვალსაზრისიდან, რომელიც უნდა გადავითანო დასაწყისში. ეს ინტერპრეტაცია საზოგადოებრივ ცხოვრებას დამოუკიდებლობის წინ აწერს მორალურ ღირებულებას, ინდივიდუალების ღირებულებას, რომლებმაც შექმნეს. ასეთი ხედვა ზუსტი ანალოგიით არის შიდასახელმწიფოებრივი და ეწინააღმდეგება სამართლიანი ომის თეორიას. ამით იმის თქმა შეიძლება, რომ ინდივიდუალიზმის უფლებები და ღირებულებები დანახულია, როგორც მათი ურთიერთმიმართების შედეგით თუ ანალოგიით იმ საზოგადოებასთან, რისი ნაწილიც არიან. რთულია ამ შეხედულების სერიოზული ფილოსოფიური განმარტებლის პოვნა, მაგრამ რთული ორგანული ხედვა იყო ძირითადი დამახასიათებელი ფაშისტური შეხედულების სახელმწიფოსთან დაკავშირებით და ასევე გვთავაზობს ჰეგელის გარკვეულ გზებს.⁴⁶ ამგვარი ხედვით უკიდურესად მარტივია მოკვლე ვალდებულებისთვის, და უფლება მოკლა დაცვის მიზნით, საზოგადოებრივი ცხოვრება უკანასკნელად ხსენებულია, როგორც ობიექტი, რომლის ღირებულება ცდება და წინ უსწრებს ინდივიდუალური სიცოცხლის ღირებულებას.

ეს ხედვა ამისუარყოფის მიზნით წარმოვადგინე, და ამით ვაძგენ თუ რა არის აუცილებელი პირობა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი დასაშვები ანგარიშისთვის. ძლიერი ორგანული ხედვა მოდის თუ რამდენია ალბათობა იმ დაკვირვებებიდან საზოგადოების არსებითი როლი ცალკეული პიროვნების სწორი ბუნების განსაზღვრისა და ფორმირებისთვის. ამ მოსაზრების მომხრეები მართლები არიან, როდესაც ასკვნიან, რომ მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი თავისი რაციონალური და ყოველმხრივი ინდივიდების გამოხატულებით არსებობდნენ საზოგადოების ყველა ფორმის არსებობამდე და რომლიდანაც საზოგადოებამ მიიღო სახე, არის თავისებულები და არათავისებური. ხალხი ისეთი არის, როგორც არის საზოგადოება, და მათი აბსტრქციით ისინი, როგორც

⁴⁶ იხილეთ მაგ.: *კანონის ფილოსოფია*, მუხლები: 257 და 258: 156-6. ჰეგელი აცხადებს, რომ სახელმწიფო არის „თავის თავში აბსოლუტურად უმოძრაო მიზანი“, რომელსაც „აქვს უზენაესი ინდივიდების წინააღმდეგ მიმართული უფლება“, რომელთა უზენაესი მოვალეობაა იყვნენ ამ სახელმწიფოს წევრები“ (ციტირებულია ბრაუნი, ე., *საერთაშორისო ურთიერთობის თეორიაში*, ნიუ-იორკი ჰარვესტერ უითმენი, 1992: 64.

მორალურიარსებები გახდებოდნენ ძნელად საცნობი. როგორც არისტოტელემ თქვა, 'ადამიანი პოლიტიკური ცხოველია', და საზოგადოების მიღმა არიან მხოლოდ მხეცები და ღმერთები.⁴⁷

ის, რასაც ვერ მივიღებთ არის პრეტენზია იმისა, რომ ცხოვრება არის ღირებულებათა წყარო, დამოუკიდებელი თავისი ღირებულებით ინდივიდუალური პირებისთვის. იმისი თქმა, რომ ეს არის შეზღუდული მორალური ახსნის მიღება, რასაც შეიძლება ეწოდოს 'ჰუმანური პრინციპი', რაზეც ჯოზეფ რასმა გააკეთა განმარტება: 'რაიმეს კეთილი ან აბოროტი სანყისის განმარტებისა და გამართლების მოთხოვნა საბოლოოდ ადამიანის ცხოვრებისთვის მომდინარეობს თავისი მოქმედი თუ შესაძლებელი, და ხარისხიანიწვლილიდან.⁴⁸ როგორც რასმა დაასკვნა, ასეთი პრინციპი ჩვენ არ გვაკეთებინებს სახელმწიფოს და საზოგადოებრივ სიკეთეებზე ინსტრუმენტალისტურ ხედვას. ამ სიკეთეებზე ინსტრუმენტალისტური შეხედულების ქონა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი აუცილებელი შემადგენელი ნაწილები არიან იმ სიკეთეების, რომლებიც ადამიანის ცხოვრებას შინაგანად ამდიდრებენ.⁴⁹

მაგრამ ეს პრინციპი ემსახურება იმის შესენებას, რომ ყოველი სიკეთე და ღირებულებაადამინურ საქმეებში საბოლოოდ მოდის პირებიდან და შეფასებებს ისინი ინდივიდუალურად და კოლექტიურად აკეთებენ. საზოგადოებრივი ცხოვრების ადეკვატური კონცეფცია ამ საკითხს ხედავს, როგორც ის რაღაც, რომლის ღირებულება არის გამოყოფილი, შეუქცევადი, ცალკეულ ინდივიდთა ღირებულება რომელიც კომპენსაციას აკეთებს, და მაინც მისი ფასი უნდა დავინახოთ, როგორც იმ ღირებულების წარმოშობა, რომელსაც აქვს მათთვის. მომდევნო კონცეფცია, რაზეც ვფიქრობ, რომ არის დამაჯერებელი ინტერპრეტაცია საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის ყველა ხედება ამ მოთხოვნებს და მათის ეს არის, ის რაც არის შესაძლებლობა.

⁴⁷არისტოტელე, პოლიტიკა, სინკლერი, ჯ. ა., ჰარმონდსუორთი: პინგვინი 1962: 1253^a.

⁴⁸რასი, ჯ., 'კანონზე დაფუძნებული მორალი', უელდრომ ჯ.-სთან, (რედ.), *უფლებების თეორია*, ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984: 183

⁴⁹იქვე. 188

პოლიტიკური ასოციაცია

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნიშანდობლივი მორალური ღირებულების პრობლემის დადგენის ნათელი გზა არის პოლიტიკურ თეორიაში, სახელმწიფოს ანალიზში ძალასა და გავლენას შორის არსებულ ცნობილ განსხვავებაზე შეჩერება.⁵⁰ ძალა არის ძალაუფლების მობილიზების უნარი, და კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში იძულებითი დამორჩილება. გავლენა, სხვანაირად არის სამართლიანი და კანონიერი ძალა, რომელსაც შეუძლია ნორმატიული მოთხოვნებით დამორჩილოს სუბიექტები ვისზეც გათვლილია. მანამ, სანამ ძალა პოლიტიკის რეალისტური ანალიზის საგანია, გავლენა ნორმატიული პოლიტიკური თეორიისთვის აყალიბებს სუბიექტებს. პასუხი ჩვენს საკვანძო საკითხზე იქნებოდა სახელმწიფოებრივი სამართლის ანგარიში. ახსნა იმისა, თუ როგორ იყენებს სახელმწიფო ძალაუფლებას დაკანონებულია, როგორც გავლენა, ჩვენ ვამზადებთ ანგარიშს თუ როგორ არის თავად სახელმწიფო მორალური ღირებულების მნიშვნელოვანი ცენტრი. გონივრულია ის მოლოდინი, რომ ასეთმა ღირებულებამ, სათანადოდ დადგენილმა და განმარტებულმა, შეიძლება განაგოს ეროვნული თავდაცვის სათანადო მიზანი.

სახელმწიფო სამართლიანობის უამრავი ანგარიში არსებობს, მაგრამ ერთი განსაკუთრებულად ძლიერი და ყურადსაღები რეჟიმი არის თომას ჰობსის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორია.⁵¹ ჰობსისეული საზოგადოების ხელშეკრულება არის განსაკუთრებულად მჭიდროდ დაკავშირებული ჩვენს მიზნებთან, რადგან ის ადგენს სახელმწიფოებრივი სამართლიანობის განსაკუთრებულად მინიმალურ რეჟიმს. მაშასადამე, ეს გვაძლევს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიერ კონკრეტული პოლიტიკური კონსტიტუციისგან თავისუფალი ეროვნული თავდაცვის, როგორც უფლების

⁵⁰ იხილეთ მაგ., დ'ენტრევეს, ა. პ., *სახელმწიფოს ცნება, შესავალი პოლიტიკურ თეორიაში*. ოქსფორდი: კლარენდონის გამომცემლობა, 1967, თ.1.

⁵¹ ჰობსი, *ლეგიათანი*.

უნივერსალურად დამკვიდრების კარგ იმედს. ეს გახლავთ საერთაშორისო სამართლისა და სამართლიანი ომის თეორიის ძირითადი წინაპირობა.

ჰობსის არგუმენტის არსი არის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მორალური გავლენა, რაც მომდინარეობს სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივ საკითხებში წესრიგის უზრუნველყოფის შესაძლებლობიდან. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ჰობსის ანგარიშსწორების მიმართ არსებული საყოველთაო ნდობა, მისი ადამიანური ფსიქოლოგიის მიმართ გადაჭარბებული პესიმისტური ხედვის არასრული მიმდევრობით. ამგვარად, თუ ჩვენ არ გავითავისებთ ბუნების მდგომარეობის მის შეხედულებას, როგორც აშკარა სასტიკი ომი ყველა, ყველას წინააღმდეგ, შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ პოლიტიკური გაერთიანების მიერ, დამოუკიდებელი ძალაუფლების თავჯდომარეობით წარმოებული წესრიგის გარეშე, ადამიანთა ცხოვრება იქნებოდა უზომოდ დეგრადირებული და საბრალო, ვიდრე დღეს არის.

ჩვენი პრობლემა ეროვნულ თავდაცვაში იყო იმ სახელმწიფოში გაერთიანებული ღირებულების პოვნა, რომელიც ინდივიდუალური პირების უბრალო ღირებულება არ არის, რომლის დასაცავადაც ღირებული იქნებოდა სასიკვდილო ძალის გამოყენება. პოლიტიკური გაერთიანების ცნების განმარტება ჰობსისეული საზოგადოებრივი ხელშეკრულების იდეის განმარტებით, წესრიგი, რომელსაც ქმნის პოლიტიკური გაერთიანება, არის ძირითადი ადამიანური სიკეთე, რის გარეშეც იმ ღირებულებათა უმედტესობა, რასაც ღირებულად ვთვლით, იქნებოდა მიუწვდომელი. შეგვიძლია თუ არა ეროვნული თავდაცვა, როგორც სასიკვდილო ძალის გამოყენების უფლება, არ განვმარტოთ, პოლიტიკურ გაერთიანების, როგორც სიკეთის დასაცავად გამოსაყენებელი უფლებად?

წინადადებას, რომელიც უნდა გამოვიკვლიო აქვს ორი სირთულე. პირველი გახლავთ ჰობსის მიერ შემუშავებულ საზოგადოებრივი ხელშეკრულების იდეის საკვირველი, თითქმის პარადოქსული არასრულყოფილება. მისი ანგარიშის მთავარი გასაღები არის სახელმწიფოს სუვერენული ძალაუფლების მართლება, რადგან ბუნებრივი მდგომარეობა, რომლის ადგილსაც იკავებს, არის ძალიან საშინელი; ცხოვრება ამ სინამდვილის მიღმა

სავსეა საფრთხით და უიმედობით. სახელმწიფო გვაძლევს უსარგებლო და ანარქიული ქაოსის თანაზომიერებითა და თანამართველობით ჩანაცვლების საშუალებას.

მაგრამ, ბუნებრივი მდგომარეობიდან თავის დაღწევის თანაპროდუქტი ინდივიდებს შორის არის ბუნებრივი მდგომარეობის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, ვინაიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა განმარტებით არაზემდგომი ძალის ქვეშევრდომს შეუძია სისტემატურად გადაჭრას მათ შორის არსებული დავები და წარმოადგინოს ისინი სამართლიანი დადგენილების სახით. პოლიტიკურ გაერთიანებასთან გაერთიანებით, ინდივიდი თავს აღწევს ერთ ბუნებრივ მდგომარეობას, მხოლოდ იმიტომ, რომ ამის სანაცვლოდ შეუერთდეს თავის მეორე სახელმწიფოებრივ წევრთა ერთობას. საბოლოოდ, იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც პოლიტიკური ერთობა იქნება სახელმწიფო ეროვნულ ღონებზე, საზოგადოებრივი ხელშეკრულების დასასრული დარჩება არასრულყოფილი, რადგან ინდივიდები რჩებიან დაუცველი, და მათი სიცოცხლე და გეგმები დანგრევის პირას, ნებისმიერ დროს, როგორც კი დაიწყება საომარი მოქმედება სახელმწიფოებს შორის.

ის რასაც ჰობსისეული საზოგადოებრივი ხელშეკრულების ლოგიკა გვთავაზობს, არისუფრო ეროვნული თავდაცვის უფლების მხარდაჭერა, რაც შეიძლება ძალიან ანტაგონისტურიც კი იყოს რეალობაში. თუ შევთანხმდებით, რომ უსაფრთხოების მიღწევა არის ძირითადი ადამიანური მნიშვნელობის მქონე საკითხი (ან ბუნების კანონი, როგორც ჰობსი ეძახის), და სწორედ ეს სამართლიანად მართული პოლიტიკური გაერთიანება არის ამის მიღწევის პრინციპული მნიშვნელობა, და არა ის დასაბუთებული წინადადებები, რომლებიც ერთი შეხედვით გვთავაზობენ უნივერსალურ თუ საყოველთაო პოლიტიკური გაერთიანების ჩამოყალიბებას, რომელიც არ არის გაუარესებული ერთ, რომელიმე საფეხურზე მაინც ბუნებრივი მდგომარეობის არსებობით.

მაგრამ ეროვნული თავდაცვის უფლება ეწინააღმდეგება მსოფლიო პოლიტიკურ გაერთიანებას ძალიან მნიშვნელოვან ასპექტში, ის უზრუნველყოფს სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებებს 'პოლიტიკური სუვერენიტეტით' და მაშასადამე, გარე ძალის დაქვემდებარებისგან თავისუფლებით. ამიტომ, ეროვნული თავდაცვის უფლება არის

მთავარი მორალური იარაღი, რაც სახელმწიფოებს შორის კონსტიტუციურად აღიარებს ბუნებრივ მდგომარეობას. როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა თეორეტიკოსი მარტინ უაითი აკვირდებოდა, ინდივიდის უფლება [ეროვნულ-თავდაცვითი] არის საერთაშორისო ანარქიის მთავარი პრინციპი.⁵² უფრო მეტის თქმას საჭიროებს მსოფლიო პოლიტიკური გაერთიანებების კონცეფცია, და დეტალურად უნდა განვიხილო ორივე შესაძლებლობა და სასურველობა მერვე თავში. ამ წუთისთვის ჩვენ უბრალოდ უნდა აღვნიშნოთ, უპირველეს ყოვლისა, უნივერსალური დამამტკიცებელი საბუთი, ნაგულისხმები ჰობსისეულ ანგარიშში, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული თავდაცვის ცნებასთან, ცალკეულ ეროვან სახელმწიფოებთან მიმართებაში.

მეორე დაკვირვებებია, რომელიც უნდა გავაკეთო, უფრო მეტ ძირეულ გამოწვევას გვთავაზობს ეროვნული თავდაცვის უფლების განმარტების მცდელობისთვის, სახელმწიფო ლეგიტიმაციის ანგარიშით. თუ ჩვენ მივიღებთ იმ მოსაზრებას, რომ პოლიტიკური გაერთიანება დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან ერთად ნამდვილად კარგია, და უფრო მეტიც საფუძვლიანად კარგი ღირებულების, რომ გამოიყენოს სასიკვდილო თავდაცვითანაზომიერად, ისევ იქნება წინააღმდეგობა ამ ღირებულებაზე დაყრდნობა, როგორც საფუძველი ეროვნული თავდაცვის.

სირთულე მომდინარეობს ფაქტიდან, პოლიტიკური გაერთიანების ღირებულება, როგორც გავიგეთ ჰობსისეული სოციალური ხელშეკრულების თეორიიდან, მარტივად, არის ბუნებრივი მდგომარეობის უბედურებებისა და დაუცველობის ღირებულება. ამიტომ, არის ღირებულება, რომელიც თანაბრად ზრდის ყველა მინიმალურად წარმატებულ პოლიტიკურ გაერთიანებას. სანამ ზოგიერთპოლიტიკურგაერთიანებას უკეთესად შეუძლება, რომ მიაღწიოს სამოქალაქო წესრიგს, ვიდრე სხვებმა, კანონზომიერება, რომელსაც ჰობსის სოციალური ხელშეკრულება გვთავაზობს არის (თითქმის) ნებისმიერი პოლიტიკური გაერთიანების ღირებულება ანარქიაზე. ამასთან, დგას პრობლემა ეროვნული

⁵²უაითი, მ., *ძალაუფლების პოლიტიკა*, ჰარმონდსლორთი: Pelican Books, 1970: 218

თვითმოგერიების უფლების პრობლემა. საერთაშორისო აგრესია, როგორც წესი არ ეძებს გაანადგუროს პოლიტიკური სიცოცხლე, როგორც დაპრეობილ სახელმწიფოთა შეემცირებას, როგორც გვაქვს ბუნებრივ მდგომარეობაში. უფრო სწორად, აგრესორთა უმეტესობა ცდილობს, იდეოლოგიური ან ძალაუფლების მიზნით, არსებული პოლიტიკური წესრიგი ჩაანაცვლოს თავისი საკუთარით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ეძებენ დამორჩილებასა და გამგებლობას.

მაგრამ, თუ ეროვნული თავდაცვა დამკვიდრდა სიკეთის და პოლიტიკურ გაერთიანებასთან დაკავშირებული წესრიგის დაცვის მიზნით, ძნელია იმ უფლების არსებობა, რომელიც დაგვიცავდა დამპყრობელი და ხელისუფალი თავდამსხმელისგან. მათი მოპყრობა არ არის პოლიტიკური გაერთიანებისკენ, როგორც ასეთი, არამედ მიმართულია მოცემული პოლიტიკური გაერთიანების პოლიტიკური ფორმისკენ, და ჩვენ ჯერ რომ კიდევ არ გვაქვს ანგარიში, თუ რატომ უნდა დომინირებდეს მყარი პოლიტიკური ცხოვრების ერთი ფორმა მეორეზე. ნამდვილად, ჰობსის თანახმად, არავითარი არასაზიანომხარდაჭერა დაპყრობილ მოსახლეობაზე, რომლებიც არიან ახალი სუვერენიტეტის ქვეშევრდომნი.⁵³

უდაოდ, დაპყრობის პერიოდი, უფრო არის მოუწესრიგებელი და სახიფათო, თუმცა თუ ეს წარმოშობდა სწრაფი კაპიტულაციის ვალდებულებას, და შედეგად სწრაფად და უმტკივნეულოდ შეიყვანდა ახალ წესრიგს. ეს განხილვები გასაკუთრებით დაკავშირებულია ნებისმიერ საზოგადოებასთან, რომელიც ორგანიზაციონალურად მასზე აღმატებული თავდამსხმელის შემოჭრის პირისპირ იმყოფება, როგორც, მაგალითად, რომის იმპერიის მიერ შეერთებულ ტერიტორიებზე მოსახლე ტომების შემთხვევაში მოხდა. ძნელია დავინახოთ თუ როგორ შეძლებდა ასეთი საზოგადოება დამპყრობლის საწინააღმდეგო თავდაცვითი უფლების დამტკიცებას სახელმწიფო ლეგიტიმაციის ჰობსისეული თეორიაზე დაფუძნებულ ეროვნულ თავდაცვას.

⁵³ იხილეთ ვარაკონ, თ., 'ვეშაპის სითეთრე: თომას ჰობსი და ომის და მშვიდობის პარადოქსი', ბერტმენ მ., ა.-სთან, (რედ.), *ჰობსი: ერებს შორისი ომი*, ალდერშოტი: გამომცემლობა ეივბერი, 1989, 63.

ერთ-ერთი პასუხს ამ არგუმენტთან დაკავშირებით, ექნებოდა პრეტენზია, რომ ჰობსისეული სახელმწიფო ლეგიტიმაციის ანგარიში უბრალოდ არის ძალიან მინიმალური და შედეგად ძალიან ფაკულტატიური. ყველა ძირითადი დონის წესრიგისა და სტაბილურობის შემქმნელ აღიარებულ სუვერენულ ძალა როდი გვევლინება ღირებულებათა გამათანაბრებელ ცენტრად. შეიძლება, მაგალითად, სახელმწიფო ლეგიტიმაციამ მოითხოვოს სამიზნე პოლიტიკურ სიკეთეთა უფრო მატერიალურ-სამართლებრივი ჩამონათვალი, და ამ ფონზე, აღმოვაჩინოთ, რომ მსოფლიო სახელმწიფოთა უმრავლესი ნაწილი (შეილება, მაგალითად, ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოები) გახდნენ კანონიერი. ამ ინტერპრეტაციით, ის სახელმწიფოები, რომლებიც არიან კანონიერი, ამ ძლიერი მოსაზრების ფონზე, ექნებათ სრული თავდაცვითი უფლებები და მათი დაცვის კანონიერება დამკვიდრდება თავიანთი პოლიტიკური ერთობის ფორმის მიხედვით.⁵⁴

მაგრამ ამ შემოთავაზებასთან დაკავშირებით არსებობს ორი პრობლემა. პირველი არის ის, რომ ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ანგარიში იმ ხედვასთან დაკავშირებით, თუ რატომ უნდა ჰქონდეთ ლეგიტიმურ ქვეყნებს თავდაცვითი უფლებები სხვა თანაბარი ლეგიტიმაციის მქონე სახელმწიფოების წინააღმდეგ, მაგალითად, რატომ არის უსამართლო ერთი ლებერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს მიერ, მეორის დაპყრობა და მართველობა? ეს უდაოდ საშუალებას გვაძლევს დავამტკიცოთ, რომ სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო თავდასხმაში მონაწილეობის მიღება, ფაქტიურად (*ipso facto*) არაკანონიერია. ამგვარად, არა მარტო ეს ჩანს კონკრეტულ შემთხვევაში აუტანლად, თუმცა იმის ახსნა თუ როგორ შეიძლება აგრესიის ქვეშ მყოფ ქვეყნებს ჰქონდეთ თავდაცვითი უფლებები თუ თავად არიან უსამართლო თავდასხმის მსხვერპლნი.

⁵⁴არგუმენტი, რომელიც ამას უდევს საფუძვლად, ეკუთვნის დევიდ ლიუბანს და ფერნანდო ტესონს. იხილეთ ლიუბან, დ., „სამართლიანი ომი და ადამიანის უფლებები“, *ფილოსოფია და საზოგადოებრივისაქმეები*, 9/4 (1980), 160-81; ტესონი, ფ., „საერთაშორისო სამართლის კანტისეული თეორია“, *კოლუმბიის სამართლის მიმოხილვა*, 92 (1996), 53-102.

მეორე პრობლემა არის, ის რომ ასეთი ანგარიში არ შეხვდება ჩვენს პირველ წინაპირობას საზოგადოებრივი ცხოვრების განსამართლავად: ამდენად ეს მხარს უჭერს სახელმწიფო თავდაცვის გონიერულობას, რომელსაც შეთანხმების აზრამდე მიყავს საომარი კანონები. სახელმწიფო თავდაცვის ტრადიციული ნიმუშის დაცვის დაფუძნებას შორს, როგორც დაცულია საერთაშორისო სამართალში, ასეთი ხედვა იქნებოდა ძალიან რადიკალურად განდგომილი. საერთაშორისო სამართალში, სახელმწიფოებს აქვთ უფლებები აგრესიის წინააღმდეგ სუვერენული სახელმწიფოების როლში, არა იმიტომ, რომ ისინი აერთიანებენ პოლიტიკური წყობის განსაკუთრებულ ფორმას. კანონი სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის ნეიტრალურია. ნამდვილად, მე შევჩერდი ჰობსის ხელშეკრულების თეორიაზე, სწორედ იმიტომ, რომ მისი მინიმალური ანგარიში სახელმწიფო ლეგიტიმაციაზე შეიცავს ლეგიტიმაციის ანგარიშის შესაძლებლობას, და ამის შესაბამისად ყველა სუვერენული სახელმწიფოს თავდაცვით უფლებებს. თუმცა, მიუხედავად მოცემული მიზეზებისა, როგორც ჩანს, ლეგიტიმაციის მინიმალურ ანგარიშს, რომელიც ხვდება ამ მოთხოვნას, არ შეუძლია დაამკვიდროს ის კანონი, რომელიც დაიცავს კონკრეტულ პოლიტიკურ გაერთიანებას. სახელმწიფო დაცვის გასასამართლებლად ჩვენ მოვითხოვთ არა მარტო წესრიგის უზრუნველყოფის მორალურ მიზეზს, არამედ კონკრეტული წესრიგის, ჩვენი წესრიგის დაცვას. ეს ჩვენგან მოითხოვს სახელმწიფო თავდაცვის ჩვენეული ანგარიშისთვის სხვადასხვა მიმართულებით გამოკვლევას.

საზოგადოებრივი ცხოვრების დახასიათება

რომელი წინამორბედი არგუმენტიც (პოლიტიკური ერთობის ის ღირებულება, რაც შინაგანად უზრუნველყოფს უპირობოდ კონკრეტულ საზოგადოებრივ ცხოვრებას), თარავს, რა თქმა უნდა, არის განსაკუთრებული კავშირი, რაც თითოეულ პირს აკისრია საზოგადოებრივ ცხოვრების მიმართ თავის საკუთარ საზოგადოებაში. ხალხის რა ღირებულება არის თავიანთ

საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც არ არის მხოლოდ არსობრივი წინაპირობა სტაბილური და ტოლერანტული ცხოვრებისთვის, არამედ სინამდვილე, რომ ის არის საზოგადოება დამახასიათებელი ხასიათით. ისინი, ვინც მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გაერთიანებული ღირებულებები და კანონები, ენა და ლიტერატურა, ისტორია და ტრადიციები, ისევე, როგორც ნაკლებად ხელშესახები მოლოდინები და გულისხმიერება, რაც ერთად განაგებს და კულტურულ იდენტობას ანიჭებს ჯგუფის განსაკუთრებულ და სათუთად მოვლილ საკუთრებებს. მოკლედ, რომ ვთქვათ, ხალხი ღირებულებას რომელსაც ისინი ეკუთვნიან ნიჭებს განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ხარისხს.

რატომ ვაფასებთ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას განსაკუთრებულ ხარისხს? ნებისმიერმა პასუხმა ამ კითხვაზე უნდა მიუთითოს საზოგადოებრივი გამოცდილების ორ საკმაოდ მთავარ დამახასიათებელ ნიშანს. პირველი არის იმ სიკეთეთა უმეტესობა, რაც ჩვენს ცხოვრებას მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებაში ჩვენი მონაწილეობაზე დაყრდნობით. ასეთ გარეგნული პერსონალური აქტივობაც კი, ისევე როგორც ღირებულების სამართლიანობის ფორმირება, საქმეზე და ხელოვნებაზე შემოქმედება და გავლენა, და ადამიანის ურთიერთობის დამახასიათებელი ფორმები, როგორც არის სიყვარული და მეგობრობა, შესაძლებელს ხდის მხოლოდ ენობრივი და შემეცნებითი საფუძველი გაერთიანებული საზოგადოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრების წესში.

ყურადღება მხოლოდ იმაზე არ არის გამახვილებული, რომ ასეთი სიკეთეები საჭიროებს საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთ სფეროში მონაწილეობის მიღებას, ამისათვის მოვიშველიებ ჩემი ბოლო არგუმენტის სულის ჩამდგმელ პასუხს, სახელდობრ, ნებისმიერი საზოგადოებრივი ცხოვრება ძირითადად აკმაყოფილებს ამ ფუნქციას. რატომ უნდა ვგრძნობდეთ თავს სამართლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული ფორმის დაცვაში, როდესაც ადამიანებს აშკარად შეუძლიათ საცხოვრებლად დასახლდნენ ახალ კულტურულ საზოგადოებაში, როგორც იმიგრანტები აკეთებენ ამას ხშირად? მაგრამ მინიშნება გაცილებით ღრმად ვიდრე ეს. ვიდრე ჩვენი პირადი ცხოვრებისთვის ვანესრიგებთ კულტურულ და ლინგვისტურ ფონს, საზოგადოებრივი ცხოვრება ხდება ჩვენი იდენტობის

ნაწილი. ჩვენ საზოგადოებრივი ცხოვრების იმ განსაკუთრებულ ფორმას ვანხორციელებთ, რაშიც მონაწილეობას ვიღებთ, ვინაიდან მისი დამახასიათებელი ნიშნები ჩაქსოვილია ჩვენი საკუთარით. ჩვენ ის ვართ, ვინც ვართ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ჩვენი საზიარო საზოგადოება, არის ის რაც არის. სწორედ, ამიტომ გვაქვს ვალდებულება, არა მხოლოდ, საზიარო ღირებულებათა და გამოცდილების არსებული სისტემა, არამედ საზიარო გამოცდილების განსაკუთრებული ფორმის მიმართ, რომელშიც ჩვენი ცხოვრება მიდის და ყალიბდება.

მეორე მიზეზი, იმისა, თუ რატომ ვცხოვრობთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული სტილით, მომდინარეობს ჩვენი, როგორ ადამიანების საჭიროებებიდან მიმდინარე ისტორიისა და 'ამბისთვის', რომელშიც შეგვიძლია დავსახლდეთ და საიდანაც იძენს მნიშვნელობას. საზოგადოებრივ ცხოვრებას შეუძლია ეს დანაკლისი შეავსოს, ვინაიდან ის არის მიმდინარე ისტორიული ობიექტი, რომლის ერთიანობა დროთა განმავლობაში, და რომელიც არსებობდა, მაშინ, როდესაც დაბადებულები ჯერ არ ვიყავით, და გაგრძელდება, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით.⁵⁵

საზოგადოებრივი ცხოვრების ორი ფუნქცია_ის რაც არის საერთო ენის, ღირებულებების და გამოცდილების მატარებელი, რაც შესაძლებლობას აძლევს და გვაცნობს ბევრ მატერიალურ-სამართლებრივ ღირებულებებს, რომლებიც ქმნიან იმ ქრონიკას, რაშიც შეგვიძლია ვიცხოვროთ და მივცეთ მას საზრისი-არის ორივე რამ, რასაც ჩვენ ერთმანეთთან ვაკავშირებთ, როგორც პირველი რიგის ღირებულებებს. უფრო მეტი, ეს ღირებულებები დაკავშირებულია სახელმწიფოს ერთიანობასთან ორი გზით. პირველი არის ის, რასაც სახელმწიფო გულისხმობს დაცვასა და სათუთად მოვლაში ის ერთადერთი დამახასიათებელი თვისება საზოგადოებრივი ცხოვრების, რაც არსებობს მის საზღვრებს შიგნით. მეორე არის ის, რასაც სახელმწიფო გულისხმობს არსებულისაზოგადოების საერთო

⁵⁵სტენლი ჰაუერვოზი ხაზს უსვამს ამ საკითხს თავის საოცარ ესეიში *უნდა აღმოიფხვრას ომის გამომწვევი მიზეზები?* მილქოუკი: მარქვიტის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984

ღირებულებებისა და ვალდებულებების თავიანთი პოლიტიკურ ფორმასა და სამართლებრივი სტრუქტურის გამაგრებით. ამ გზით, შეიძლება შევექმნათ ანგარიში, თუ როგორ შეუძლია საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებულ დამახასიათებელ თვისებას სათანადოდ იფუნქციონიროს, როგორც სახელმწიფო თავდაცვის უფლების მიზანმა.

უდაოდ, აქ არის სახელმწიფო თავდაცვის ინტუიციური მოთხოვნა, მაგრამ უნდა გვესმოდეს მისი საფრთხე, სადაც მთავარი არის ის რელატივიზმთან რისკის ფასად ახლოს მდგომი ღირებულები. ეს რომ ვიცოდეთ, უნდა განვასხვავოთ სუბიექტური და ნამდვილი ღირებულებები ერთმანეთისგან. სუბიექტური ღირებულება არის ის, რასაც შეუძლია იყოს აღიარებული, მხოლოდ კონკრეტულ საზოგადოებაში ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ობიექტური ღირებულება, არის ის, რაც აღიარებულია ყველა პირის მიერ მთელს სამყაროში, საზოგადოებისგან დამოუკიდებლად. ბოლო დროს, იდეა ობიექტური ღირებულების არსებობისა გახდა ძალიან მოძველებული, მაგრამ არსებობს კარგი მიზეზი ვირწმუნოთ ტრანს-კულტურული ძალის ღირებულებებს, ნამდვილად შეუძლია არსებობა. საზოგადოებრივი წესრიგის და პოლიტიკური გაერთიანების ჰობსისეული ღირებულებები, რომელზეც ჩვენ ვიმსჯელებთ წინა ნაწილში, ზუსტად ამ სახის ღირებულებას წამოადგენს- ისინი მეტყველებენ საკაცობრიო საჭიროებებზე და ძალუძთ იყვნენ ხალხის მიერ აღიარებული როგორც სიკეთეებად კულტურულ საზღვრებს მიღმა.

რატომ არის ობიექტური ღირებულების იდეა მნიშვნელოვანი სახელმწიფო თავდაცვისთვის? ის მნიშვნელოვანია ორი მიზეზის გამო. პირველი არის, რომ თავდაცვით უფლებებში, თანაზომიერების აუცილებელი პირობის ხელშეუვალობა, თავად არის ობიექტური პირობა. დამცველისთვის არ არის საკამარისი იმის რწმენა, რომ კონკრეტული სიკეთე არის საკამარისი ღირებულება იმისათვის, რომ გამართლებულად ჩაითვალოს გარკვეული სახის თავდაცვითი ძალის გამოყენება: ეს აუცილებლად ასე უნდა იყოს. ეს გამოწვეულია, სულ ცოტა, იმით, რომ სიკეთე ისეთია, რომ მისი ღირებულება აღიარებულია ნეიტრალური დამოუკიდებელი მეთვალყურის მიერ და აგრეთვე თავად თავდამსხმელის მიერ, რომელიც სიტუაციას სამართლიანად და ობიექტურად უყურებს. მეორე, სახელმწიფო

თავდაცვა არის უფლება, რომელიც თავისი ჭეშმარიტი ბუნებით არის დამტკიცებული სახელმწიფო საზღვრების გასწვრივ ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეს საწინააღმდეგოდ. ამიტომ, თანაზომიერების პირობის აუცილებლობის ობიექტური ბუნების ნათელსაყოფად, თავდაცვითი უფლებების დამტკიცების საფუძველი უნდა იყოს ისეთი ღირებულების, რომელსაც შეუძლია იყოს აღიარებული საზოგადოებრივი საზღვრებს გასწვრივ.

პრობლემა არის ის, რომ ღირებულება, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ ნიშანთან, ძირითადად არის სუბიექტური, არა ობიექტური, ზემოთ გამოკვეთილი ღირებულების მნიშვნელობით. საკითხში დასმული საზოგადოებრივი ცხოვრების განმვლობაში არსებული პერსპექტივებიდან თავდაპირველად მისაღებია საღი აზრი, ვიდრე ის, რაც საყოველთაოდ აღიარების შესაძლებლობის მქონეა. ჩვენ ყველა მომხრე ვართ საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ღირებულებისა, რომელშიც ვმონაწილეობთ, ვინაიდან, როგორც ვთქვი, ეს ჩვენი საკუთრებაა. თუმცა არ არის ნათელი, ის ვინც მონაწილეობას არ იღებს საზოგადოებრივი ცხოვრებაში გარკვეული კუთხით, რატომ უნდა ცნოს მისი განმასხვავებელი ფორმა, როგორც სიკეთე და ღირებულება.⁵⁶

სირთულე ყველაზე კარგად ჩანს, როდესაც განვიხილავთ იმ საზოგადოებრივ ცხოვრებას ან პოლიტიკურ საზოგადოებას, რომელიც ობიექტური ხედვიდან, არის ამორალური, მჩაგვრელი და უსამართლო. აქ იმისთვის არ ვარ ურთიერთობა დავამყარო საზოგადოებებთან, რომელთა ქცევა არის ისეთი საზარელი, რომ პოტენციურად ითვლებიან ჰუმანიტარული ინტერვენციის კანდიდატებად. შესაძლებელია სადაო გახდეს ის შეზღუდული დოქტრინა, ჰუმანიტარული ინტერვენციის განვითარების საკითხი, ან იმყოფება განვითარების პროცესში, რომელიც შეიძლება შესაძლებლობას აძლევდეს ინტერვენციას სახელმწიფოებში, რომლებიც ვალდებული არიან ფართოდგავრცელებული ადამიანის

⁵⁶სხვა რამ ვიდრე ფართოდ დამკვიდრებული და რაღაც გაურკვეველი ობიექტური ღირებულება, რომელსაც ვათავსებთ სამყაროში კულტურული ნიშნით.

უფლებების დარღვევაში საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ.⁵⁷ ამგვარად, ასეთი ნავარაუდები უფლების გამოყენების პირობები, მკაცრად შეზღუდულია ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ გამოყენებაში,⁵⁸ რაც არის ისეთი მკაცრი, რომ ისინი ადამიანის მოდემის ცნობიერებას შოკურ მდგომარეობაში აყენებს, მსგავსად გენოციდისა, მასობრივი გამოდევნისა, თუ შიმშილისა. ასეთი შემთხვევების საპირისპიროდ, არსებობენ უამრავი სახელმწიფოები, რომლებიც დგას პოტენციურ ადამიანური ინტერვენციის ზღუდებზე, ამას გარდა აჩვენებს სისტემური და ყოვლის მომცველი კორუფციის დონეს, სისასტიკეს, ადამიანის უფლებების უგულებელყოფას, ისეთი ქვეყნები, როგორც არის ნიგერია, ბურმა, ჩრდილოეთ კორეა, ჩინეთი, და კიდევ უამრავი ქვეყანა, სადაც თქმულია მუდმივად წამება, დაშინება, არასამართლიანად მკვლელობა, დაპატიმრება, საკუთრების ხელყოფა, და დისკრიმინაცია ეთნიკურ, სექსუალურ და პოლიტიკურ ფონზე.⁵⁹ ამჟამინდელი საერთაშორისო სამართლის და სამართლიანი ომის თეორიის უმეტესი განმარტებების თანახმად, ასეთ ქვეყნებს, როგორც სუვერენულ ორგანიზაციებს, უცილობლად ეკუთვნის სახელმწიფო თავდაცვის უფლება.

მაგრამ ეს შემთხვევები წინ წევს სახელმწიფო თავდაცვის დოქტრინის რთულ შეკითხვას. თუ ასეთ სახელმწიფოებს ექნებათ სახელმწიფო თავდაცვის უფლება, მაშინ ჩვენ უნდა განვმარტოთ ამ უფლების საფუძველი. როგორც ვამტკიცებდი, ჩვენ უნდა დავადგინოთ ობიექტური ღირებულება, რომელსაც ეს ქვეყნები მისდევენ, რაც იქნება მათი თავდაცვითი ქმედების მართებული მიზანი. ეს გადამწყვეტი მომენტი არის ის თუ მსგავს შემთხვევებში სახელმწიფო თავდაცვის უფლებას ასეთი ობიექტური ღირებულება უდევს საფუძვლად, მაშინ

⁵⁷იხილეთ კასესი, ა., *‘Ex iniuria ius oritur*. მზად ვართ „ადამიანის ძალადობის საწინააღმდეგო საერთაშორისო ლეგიტიმაციისთვის“ მსოფლიო საზოგადოებაში? *საერთაშორისო სამართლის ევროპული ჟურნალი*, 10/1 (1999), 22-30; ბრაუნი, ბ.ს., ‘ჰუმანიტარული ინტერვენცია გზავარდინებზე’, *უილიამ და მერის სამართლის მიმოხილვა*, 41 (2000), 1683-741.

⁵⁸ეს კლასიკური ფორმულაცია არის ოპენჰაიმის საერთაშორისო სამართალი ტ. 1 ლოთიერპახტი, 3. (რედ.), მე-8, ლონდონი: ლონგსმენი, მწვანე და კორ., 1955: 312.

⁵⁹ბრწყინვალე, მაგრამ შემაშფოთებელი შეჯამება თუ როგორი სისწრაფით ვრცელდება მსგავსი შეურაცყოფები ადამიანის უფლებათა ზედამხედველობაში, *ადამიანის უფლებათა საზედამხედველო მსოფლიო მიმოხილვა*, ნიუ-იორკი, 2001.

ის ვერ იქნებოდა ყოფილიყო საზოგადოების კონკრეტული ხარისხის ღირებულება, ასეთი პოლიტიკური საზოგადოებებისთვის არის (*ex hypothesi*) სავარაუდოდ წამბილწველი, სასტიკი და ამორალური. თუ მათ ექნებათ თავდაცვითი უფლებები, ასე არ მოხდებოდა, რადგან ჩვენ გვჯერა, რომ არსებობს რამოდენიმე პოლიტიკური კულტურის თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი გამოკვეთილი ფორმა, რომელიც არის ობიექტური ღირებულება და იმსახურებს დაცვასა და გადარჩენას.

რა თქმა უნდა შესაძლებელია და (ბუნებრივიც კი) რომ რიგი მჩაგვრელი საზოგადოების წევრები ღირებულებას და ცალკეულ დამახასიათებელ თვისებას მიაკუთვნებენ თავიანთ საზოგადოებას. როგორც მარქსმა აჩვენა თავის ცრუ-ცნობიერების თეორიაში, საკუთარ თავზე მჩაგვრელი დამოკიდებულების მსხვეპლმაც კი შეიძლება ხანდახან შეცდომით შეათვასონ სოციალური სტრუქტურა, რომელიც ემსახურება მათ შევიწროებას. მაგრამ აშკარად, როგორც მე ზემოთ განვმარტე ეს არის სუბიექტური ან შინაგანი ღირებულების საღი აზრი. ეს განპირობებულია, და შესაძლებელია მხოლოდ განხილული საზოგადოების შიგნიდან. თავდაცვის ობიექტური უფლების დამკვიდრების ძიება (რაც კულტურულ საზღვრებს მიღმა ანიჭებს ნორმატიულ ძალას) ასეთი სუბიექტური ღირებულების განსჯა (რაც ძალის მქონეა გარკვეული კულტურის ან საზოგადოებრივი ცხოვრების შიგნით) არის არგუმენტის რელატივისტური და არაკანონიერი ფორმა. საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ დამახასიათებელ ნიშნის ძიება, ვერ შექმნის აუცილებელ ფონს სახელმწიფო თავდაცვისთვის, ვინაიდან არ ქმნის საკმარის ობიექტურ ანგარიშს თავდაცვითი მოქმედების საფუძველში არსებული ღირებულებისათვის.

აქ გახლავთ პასუხი იმასთან დაკავშირებით, რაზეც განვაცხადე, რომ ღირებულების რელატივიზმის იდეას ეპყრობა არა, როგორც დაბრკოლება სახელმწიფო თავდაცვის ნორმის გაგებაში არამედ, როგორც ამ ნორმის ერთ-ერთი ფუნდამენტალურ საფუძველთაგან ერთ-ერთი. ეს ხედვა ამტკიცებს, რომ ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ რაიმე ობიექტური ღირებულების სამართლებრივი გადანყვეტილებები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ყველა სამართალსა და ღირებულებაზე. ყოველი

ღირებული სამართლებრივი გადანყვეტილება იმისთვის მიიღება, რომ იქნენ რადიკალურად განპირობებული იმ კულტურული და ენობრივი კონტექსტით, რომელშიც ისინი იქნებიან. ამგვარად, არაკანონიერად ითვლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ღირებულებათა გამოყენება (ადამიანის უფლებებთან, ერთობლივ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, და ამის მსგავსებთან შეთანხმებით), როგორც კრიტიკის საფუძველი, ან ჩართვა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში. ამ შეხედულებიდან თუ ვიმსჯელებთ, ეს ზუსტად ჩვენი უუნარობაა, ობიექტური ფასეულობების სამართლებრივი გადანყვეტილებები, რომლებიც ქმნის ვალდებულებას არ ჩაერივნენ სხვა საზოგადოებების აქტივობებში ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სახელმწიფო თავდაცვის უფლება დანახულია, როგორც შედეგი ამ არევისგან თავის შეკავების ფუნდამენტალური ნორმის, რაც თავად წამოსულია ზემოთმითითებული ღირებულების რელატივიზმიდან.

შედეგად, სახელმწიფო თავდაცვის ანგარიშში, გვაქვს კარგად ცნობილი წინააღმდეგობები, რომელიც დაფუძნებულია ასეთ შეხედულებაზე. როგორც აღვნიშნე, სახელმწიფო თავდაცვის ნორმა მოითხოვს ობიექტური ღირებულებების სამართლებრივ გადანყვეტილებების შესაძლებლობებს ძალიან მთავარი მიმართულებით. იმისი თქმა, რომ სახელმწიფოს აქვს სახელმწიფო თავდაცვის უფლების ვალდებულება, არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს ქმედება არის, ან უნდა იყოს თავისუფალი, დაკისრებული მორალური ვალდებულებისგან გარეშე პირთა. უკეთესია ასეთი ობიექტური მორალური ვალდებულებების ამოკვეთა იმისი მტკიცებით, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგობრივი ქმედებები არის კანონი და სამართალიანი, და აქვს მოთხოვნის უფლება, იყოს აღიარებული ორივეს მიერ, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის, ასევე თავად თავდამსხმელის მიერ.

ეს მხოლოდ ობიექტური მოთხოვნის ფონზე არის, რომ არა-ინტერვენციის ნორმა თუ სახელმწიფო თავდაცვის უფლებას შეუძლია შექმნას საფუძველი საერთაშორისო სამართლისა ან საერთაშორისო ნორმებისმარეგულირებელი სისტემა, საერთაშორისო ეთიკის ნებისმიერი რელატივისტური ანგარიში, რომელიც მოაგვარებს უნამუსო და ინტერვენციის განმახორციელებელ საზოგადოებასთან ურთიერთობის პრობლემას. თუ

რელატივისტური თეზისი სწორია, მაშინ არაკანონიერი უნდა იყოს ასეთი საზოგადოების გამართლება ან აკრძალვა ამ კულტურისთვის გარე ნორმების საფუძველზე. ამგვარად, არა-ინტერვენციის ნორმა განმარტებულია იმ გზით, რომ იგი ემსახურება არსებითად დაუქვემდებარებას და ძალდაუტანებლობას. ამ შედეგების თავიდან ასაცილებლად, დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს, იმისათვის, რომ არ არსებობდეს ობიექტური მორალური სამართლებრივი დასკვნა, გარდა იმ ერთადერთი

მორალური სამართლებრივი დასკვნისა, რომელიც ხაზს უსვამს არა-ინტერვენციას. არამკაცრი, არათანაბარი მიმიდევრულობით კონკრეტული შემთხვევისთვის ასეთი დამოკიდებულება არის აბსურდის საკითხი. ზოგადად, ყველა მცდელობა არა-ინტერვენციის ობიექტური ვალდებულების წარმოშობის მეტა-ეთიკური რელატივიზმის პოზიციიდან დამნაშავე უნდა იყოს მნიშვნელოვანი ღირებულების განსხვავების დაცვაში და ფარულად მისი საყოველთაო ნორმად მტკიცებაში, მაშინ, როდესაც იმავე დროს ნებისმიერი მსგავსი სამართლებრივი დასკვნების შესაძლებლობის უარყოფაში.

სახელმწიფო თავდაცვის ანგარიში, რომელიც დამკვიდრდა საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშნის დაცვის მიზნით, შეუძლია წარმატებას მიაღწიოს მხოლოდ არაკანონიერად ღირებულების ობიექტური და სუბიექტური სამართლებრივი დასკვნების დაკავშირებით. ეს იმას უნდა მოასწავებდეს, რომ შიდა და სუბიექტური ღირებულება, რომელსაც თითოეული საზოგადოება ადგილს უჩენს საკუთარი საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით, ამავე დროს არის თავდაცვითი ძალის გამოყენების ობიექტური ნორმის ლეგიტიმაციის შესაძლებლობის მქონე. ეს არის ამჟამად შეუძლებელი.

საზოგადოებრივი ერთიანობა და თვითგანსაზღვრა

ბოლო ორმა ნაწილმა შექმნა ის, რასაც მივიჩნევ ძირითად პრობლემად იმის ასახსნელად, როგორ შეუძლია საზოგადოებრივ ცხოვრებას იმუშაოს, როგორც

სახელმწიფო თავდაცვის შესაბამისმა მიზანმა. ღირებულება, რომელიც ქმნის სახელმწიფო თავდაცვას უნდა იყოს განსაკუთრებული მიზეზი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთადერთი ფორმის მეორის წინააღმდეგობისგან დასაცავად, მაგრამ მისი ღირებულება ვერ იქნება ისეთი განსაკუთრებული, რომ იყოს აბსოლუტურად სუბიექტური. საზოგადოებრივი ცხოვრების ღირებულების ჩვენი პირველი ინტერპრეტაცია, ეძებდა განმარტებას სახელმწიფოს ლეგიტიმაციის თვალსაზრისით, თუმცა პოლიტიკური გაერთიანების ღირებულება, ჰობსის საზოგადოებრივი ხელშეკრულების ან აგრეთვე ლეგიტიმაციის მინიმალური თეორიის მეშვეობით შეეძლო უმიზეზოდ დაეცვა კონკრეტული წესრიგი სხვების წინააღმდეგობისგან. ჩვენი მეორე მცდელობა ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებრივი გაერთიანებების განსაკუთრებულ დამახასიათებელ ნიშანზე, მაგრამ ამან მოგვცა საფუძველი კონკრეტული საზოგადოებრივი დაცვის მხოლოდ ამ საფუძვლების თავისთავად რელატივიზაციის თასად. რასაც ჩვენ მოვითხოვთ არის ღირებულება, რომელიც არის ორივე, ობიექტურიც და განსაკუთრებულიც-ის უნდა იყოს ობიექტური და ფასეულად აღიარებული კულტურებს შორის, ამას გარდა ისევ უნდა უზრუნველყოფდეს კონკრეტული სახელმწიფოს ან საზოგადოების დამცავ საფუძველს.

თავისუფლება, თვითმართველობა, და თვითგადანყვეტა ამ კუთხით, არის ობიექტური ტრანსკულტურული სიკეთეები. ამით იმას არ გველისხმობ, რომ ყველა საზოგადოების წარმომადგენლებს შუძლიათ შეთანხმდნენ თავისუფლების და თვითგანსაზღვრის ზოგიერთ თვითმყოფად პოლიტიკურ კონცეფციებზე. უფრო სწორად ვგულისხმობ, რომ აღნიშნულ დრომდე, როგორც თითოეულიპირი განდევნის პროექტებს, რომლებიც მიჩნეულნი არიან სიკეთეებად, ისინი ასევე მიიჩნევენ თავისუფლების აუცილებლობას ამ პროექტების სიკეთედ ცნობის მისაღწევად. კაცობრიობას არ შეუძლია სრულყოფილი კეთილიდღეობის აყვავება ან მიღწევა საკუთარ ცნობიერებაში არსებული სიკეთის შეხედულებასთან ჰარმონიის გაცნობიერების გარეშე.

მაკლ უოლცერმა, ჯონ სტიუარტ მილერის ესეს კვლევა-ძიების შედეგა შექმნა სახელმწიფო სუვერენიტეტის მორალური მნიშვნელობის ძლიერი დაცვის მოდელი.⁶⁰ ორივე ავტორმა დაიწყო იმ პრეამბულით, რომელიც წანამძღვარები აქვს კარგად ცნობილი პერსონალურ ან პიროვნულ აუტონომიის ფორმას, სადაც გვაქვს თვით-განსაზღვრის მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც არის უცილებლად კოლექტიური. როდესაც საზოგადოება აყალიბებს საკუთარ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს, ის იყენებს აუტონომიის ფასეულ ფორმას, რომელიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივ სფეროს მიღმა. როგორც უოლცერი ამბობს: 'ინდივიდუალურ შემთხვევაში ჩვენ ცალკე გამოვყოფთ ინდივიდუალური არჩევანის გარკვეულ სფეროს; საზოგადოების შემთხვევაში, ჩვენ გარკვეულ სფეროს ვაკუთვნებთ პოლიტიკურ არჩევანს. სანამ ეს სფეროები გარკვევით მონიშნულია და დაცული, ორივე სახის არჩევანი შესაძლოა გახდეს პრობლემატური.'⁶¹ ეს არის კოლექტიური თვით-განსაზღვრის პროცესი, რომელიც საგარეო ინტერვენციას ხელს უშლის და ანგრევს. ინტერვენცია ყოველთვის უსამართლოა, მაშინაც კი, როდესაც მიმართულია დაჩაგრული მოქალაქეების დახმარების ან გათავისუფლებისკენ. ინტერვენცია ყოველთვის მიიჩნევა შეცდომად, მაშინაც კი როდესაც ის მიმართულია მჩაგვრელი ქვეყნის მოქალაქეთა დასახმარებლად ან გასათავისუფლებლად, ვინაიდან ის არღვევს ადამიანთა უფლებებს, კოლექტიურად განსაზღვრონ თვიანთი საკუთარი ცხოვრების ფორმა და ბუნება. უოლცერის თანახმად, ეს კოლექტიური თვით-განსაზღვრა, არის საკმარისი ღირებულება იმისა, რომ თავდაცვაში თანაზომიერად იქნეს გამოყენებული სასიკვდილო ძალები.

ამ იდეას შეუძლია გადალახოს ის დილემა, რაც წარმოიშვა ბოლო ორ თავში. განსხვავებით იმ წესრიგის ღირებულებისა, რომელიც გაერთიანებულია ჰობსის პოლიტიკურ გაერთიანებაში, კოლექტიურ თვითგანსაზღვრას შეუძლია მოგვანოდოს საზოგადოებრივი

⁶⁰ იხილეთ მილი, ჯ. ს., 'რამოდენიმე სიტყვა არა-ინტერვენციის შესახებ', *დისერტაციისა და დისკუსიის მე-3 ტომში*, ლონდონი: Longman Green Reader and Dyer, 1875. უოლცერი, სამართლიანი და უსამართლო ომები, თ.6. განსაკუთრებისთ იგივე 'სახელმწიფოს მორალური საყრდენები: პასუხი ოთხ კრიტიკაზე', *ფილოსოფია და საზოგადოებრივი საქმეები* (1980), 209-29.

⁶¹ იქვე. 224

ცხოვების განსაზღვრული ფორმის დასაცავი საფუძველი. საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი, დადასტურებული ღირებულებისგან განსხვავებით, ეს არ გვაყალიბებინებს რელატივიზმის ფორმას, რითვისაც ჩვენ შეგვიძლია ვაღიაროთ საზოგადოების იმ უფლების ობიექტური ღირებულება, რომელიც უნდა ავირჩიოთ, მაშინაც კი, თუ ეს ჩვენგან მოითხოვს ომის დაშვებას, რომ ხანდახან საკითხში დასმულ სამიზნეებს ცუდად ვირჩევთ. ამგვარად, სადაო შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა, რომელსაც ჩვენ უცნაურად, ან მორალურად არასასიამოვნოდ ვთვლით, აქვს ის სიფაქიზე, რაც შეიძლება დანახულ იქნეს ღირებულად. ის რაც პატივისცემასა და დაცვას იმსახურებს არ არის ისეთი დამახასიათებელი ფორმის, როგორც ასეთი, მაგრამ კოლექტიური არჩევანის უკან მდგარი პროცესი იყოს. უფრო მეტიც, ამ იდეას აქვს საერთო თვისებები ადამიანის ხოვრების ღირებულების მნიშვნელოვანი ანგარიშთან. რიჩარდ ნორმანი დასაბუთებული აქვს, რომ რაც გვანჯდის სავარაუდო ინფორმაციას სიკვდილის პირას მყოფი ხალხის სანინაალმდეგოდ, მოლოდ იმის ცნობა არ არის, რომ ისინი ცოცხლები არიან, არამედ იმის, რომ მათ აქვთ სიცოცხლე. ამით ის გულისხმობს, რომ ადამიანებს აქვთ უნარი ჩამოაყალიბონ საზრიანი ცხოვება, როგორც განსაკუთრებულ მიმდინარე პროექტს.⁶² ის რაც უოლცერმა და მილერმა ორივემ ერთად ივარაუდეს, რომ საზოგადოებები ერთმანეთის მსგავსად შეუძლიათ თვითონვე მისცენ საკუთარ თავს ფორმა, როგორც მიმდინარე მნიშვნელოვან პროექტს, და ეს ის ღირებულებაა, რომელიც წარმოადგინა ამ პროცესმა, რაც საფუძვლად უდევს მათ სამართალს სახელმწიფო თავდაცვითი მოქმედებების მიმზიდველობას.

იმისათვის, რომ შევაფასოთ ეს შეხედულება, საზოგადოებრივი თვითგანსაზღვრის ცნება უფრო ფართოდ უნდა გამოვიკვლიოთ. ერთი სანინაალმდეგო აზრი ამ არგუმენტთან დაკავშირებით არის მოთხვნა, მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიური თვით-განსაზღვრა

⁶²იხილეთ ნორმან, რ., ეთიკა, მკვლევლობა და ომი, კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995, თ., 2

ნამდვილად მნიშვნელოვანი სიკეთეა, ხანდახან ხდება ისე, რომ ეს რეალიზებულია მხოლოდ დემოკრატიული უფლებების დამტკიცებაში. მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში შეუძლიათ პირებს უთხრან, რომ თავისუფლად განსაზღვრონ თავიანთი საზოგადოებრივი ცხოვრება და ისიამოვნოს კოლექტიური თვით-განსაზღვრის სიკეთით. თუ ამ შემთხვევას ექნება ადგილი, მაშინ თავს ამოვყოფთ გაუგონარ სიტუაციაში, სადაც (მსოფლიო სახელმწიფოთა არსობრივი თანაზომიერება) სახელმწიფო თავდაცვის უფლების სარგებლობიდან ფონზე გვექნება არა-დემოკრატიული რეჟიმის უქონლობის სამარცხვინო მდგომარეობა. ნამდვილად, ასეთი ხედვით ვერ შევქმნით სახელმწიფო თავდაცვის უფლების გასასამართლებელ საფუძველს, მაშინ როდესაც ამჯამად დანერგილია სამართლიანი ომის თეორიაში და ინახება საერთაშორისო სამართალში.

ეს წინააღმდეგობა მაინც განზე ტოვებს უოლცერის დებულების მთავარ აზრს. კოლექტიური თვითგანსაზღვრის ფორმა, რომელიც მას აზრად აქვს დემოკრატიული უფლებები პრაქტიკაში მთლიანად არ მოიცავს; 'თვითგანსაზღვრა და პოლიტიკური თავისუფლება არ არიან ერთმნიშვნელოვანი ტერმინები', ამბობს უოლცერი.⁶³ როგორც ის ხედავს, კოლექტიური თვით-განსაზღვრის მნიშვნელოვან ნაწილს აქვს უნარი, გააკეთოს არჩევანი რომელიმე ნაციონალური კულტურის თანაზომიერ პოლიტიკურ სისტემაზე, მაშინაც კი, როდესაც ამას შედეგად არალიბერალური და ავტორიტარული რეჟიმი მოყვება. კოლექტიური თვითგანსაზღვრა არის ხალხის უფლება გამოხატონ თავიანთი მემკვიდრეობით მიღებული კულტურა, მათ შორის მომუშავე პოლიტიკური ფორმის მეშვეობით.⁶⁴

მაგრამ ეს ანგარიში მახინჯდება: რას მოიცავს თვითონ ეს პროცესი, რასაც მუშაობა ქვია, თუ არ გამოვიყენებთ დემოკრატიულ პროცესებს? უოლცერის პასუხი არის შემდეგი: ეს შესამცნევი პოლიტიკური პროცესია. ის მოიცავს დინტერესებული ჯგუფების მანევრირებას,

⁶³უოლცერი, სამართლიანი და უსამართლო ომები, 87.

⁶⁴უოლცერი, 'სახელმწიფოთა მორალური საყრდენი'. 211.

სოციალური და ეკონომიკური ძალების მობილიზაციას, და ყველაზე უკიდურესი გამოხატვის ფორმით, სამოქალაქო ომს. თვითგანსაზღვრის იმ ფორმის გადამწყვეტი თვალსაზრისი, რომელიც უოლცერს აქვს აზრად, არის მოქალაქეების უფლება წინააღმდეგობა გაუწიონ მთავრობას, თუ სახელმწიფო არ წარმოადგენს და არ იცავს მათ საზოგადოებრივ ცხოვრებას – თუ აქ არ არის შესაბამისობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სახელმწიფოს შორის.⁶⁵ უოლცერი ამბობს, რომ სამოქალაქო ომი არის ნათელი მაგალითი ფენომენის, რომელიც მას აზრად აქვს, როდესაც საუბრობს კოლექტიურ თვითგანსაზღვრაზე. სწორედ ამიტომ მოითხოვს დაუინებით, რომ ყოველთვის არაკანონიერია საგარეო ძალებისთვის ჩაერივნენ ერთი განხეთქილებისთვის სამოქალაქო ომში.⁶⁶

ამგვარად, თავს იყრის დიდი პრობლემები, უოლცერისთვის საბოლოოდ კოლექტიური თვითგანსაზღვრასქვეითდება ძალის შებოჭვისა და დაბალანსების მიზნით.⁶⁷ უოლცერი ეძებს თავიდან აიცილოს ეს შედეგი იმ ვარადით, რომ სამოქალაქო ომში უთანხმოება ყველაზე დიდ ნორმატიულ სამართლიანობასთან (ე.ი. ყველაზე დიდი შესაბამისობა მოსახლეობის შინაგან საზოგადოებრივ ცხოვრებასთან) საზოგადოდ იქნება გამარჯვებული. ამის მიზეზი, როგორც ის ამბობს, არის ის, რომ გამარჯვება სამოქალაქო ომში გავლენას ახდენს ადამიანთა უმრავლესობის მხარდაჭერაზე: 'საარმიო და საპოლიციო ძალები არის სოციალური ინსტიტუტები; ჯარისკაცები და პოლიციელები მოდიან იჯახებიდან, სოფლებიდან, სამეზობლოდან, კლასებიდან. ისინი არ იბრძობენ ერთად დისციპლინურად, ან იმდენ ხანს, სანამ რეჟიმს რისთვისაც იბრძვიან ექნებასოციალური მხარდაჭერის რაიმე ხარისხი.'⁶⁸

⁶⁵ იქვე. 214.

⁶⁶ ერთადერთი გამონაკლისი არის ინტერვენცია, რომელიც აბალანსებს, მაგრამ იმაზე მეტს არა ვიდრე ბალანსია, სხვა, მეორე ძალის წინასწარ ინტერვენციას.

⁶⁷ ჯერად დოულეტი მიუთითებს 'უოლცერის საერთაშორისო ურთიერთობათა მორალი', *ფილოსოფია და საზოგადოებრივი საქმეები*, 8 (1978), 3-26, 13-ზე.

⁶⁸ უოლცერი, 'სახელმწიფოთა მორალური საყრდენი', 221.

მაგრამ ეს პოზიცია აშკარად მიუღებელია. სამოქალაქო ომის შედეგები აირეკლება უფრო შორს, ვიდრე მოსახლეობის უმრავლესობათა მხარდაჭერაა. ის კიდევ ბევრ სხვა რამესთან ერთად აისახება შეიარაღების ხელმისაწვდომობაზე და სამხედრო მომზადებაზე, კონფლიქტის დასაწყისში და სისასტიკისა და ტერიტორიის გამოყენების მზადყოფნაზე, ყველა ძალიან ხშირად მოსახლეობის სამოქალაქო წევრების წინააღმდეგ. ადვილი ჩანს იმისი ვარაუდი, რომ სამხედრო გამოსვლას შეუძლია ნამდვილი რწმუნებულის სამსახური გაგვინოს ისეთი ნორმატიული პროცესში, როგორც არის თვით-განსაზღვრა და ნორმატიული გადანყვეტილება, როგორც არის სამართლიანობა. უოლცერის ანგარიში რჩება ღრმად პრობლემატურად იმდენად, რომ დამოკიდებული ასეთ არადმაჯერებელ არაუდზე

მითი ცალკეულ საზოგადოებებზე


უფლებამოსილების ჩვენეული პირველი შეხედულება შეიძლება აიხსნას საზოგადოებრივი ხელშეკრულების ძალიან მარტივი მოდელის ფორმის დახმარებით. წარმოიდგინეთ ორი პირი, რომელთა შორის არსებობს შეუთანხმებლობა (მათ ულება აქვთ, მაგრამ არ სჭირდებათ ბუნებრივ მდგომარეობაში ყოფნა). პირველი აცხადებს, რომ

⁹⁸იხილეთ ჰონდერიჩი, თ., *საეჭვო მართლების სასჯელი*, კემბრიჯი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1989.

⁹⁹ა.ჯ. საიმონსი აკეთებს მსგავს აღნიშვნას, 'ლოკი და დასჯის უფლებაში', *ფილოსოფია და საზოგადოებრივი საქმეები*, 1991: 311-49, 314.

შეცდომაში მეორემ შეიყვანა. თუ პირველი პირი არტყამს მაგრად მეორეს, ჩვენ ველარ დაუუძახებთ ამას დასჯას, ზუსტად იმიტომ, რომ ჩვენ ვხედავთ, რომ დასჯის უფლებამოსილება არ გვაქვს. მაგრამ წარმოვიდგინოთ ეხლა, რომ აქ არის მესამე პირი, რომელიც იყო ნეიტრალურ მდგომარეობაში ამ ორს შორის, და რომლის გადაწყვეტილებას ჩხუბის თითოეულ მონაწილე თავისუფლად დათანხმდა დამორჩილებოდნენ თვითონვე. ნათელია, რომ მესამე პირს ჰქონდა გავლენა მოეგვარებინა კამათი და მოეგვარებინა დასჯის საკითხი. ეს გვთავაზობს ძალაუფლების მოდელს ორი ძირითადი ელემენტით, ორი დამახასიათებელი თვისებით, რისი დახმარებითაც პირს შეუძლია პირადი სივრციდან წამოვიდეს და გახდეს უფლებამოსილი მართლმსაჯულების გამოყენებასა და სასჯელის აღსრულებაში; სახელდობრ, მიუკერძოებლად და შეთანხმების თანახმად. ამ იდეებისგან თითოეული გაცილებით ფართო განმარტებას საჭიროებს.

მართლმსაჯულების მოხელის აუცილებლობა ნაწილობრივ მომდიანრეობს პირდაპირ თვითონ სამართლის ბუნებიდან. ნამდვილად, სამართალი ხშირად განსაზღვრულია მიმდევარისა და მოხალისის წინააღმდეგოდ. ისინი, ვინც სამართალს აღავლენენ უნდა იყვნენ ნეიტრალურნი, რაც ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, არ აქვთ მიზეზი იმოქმედონ საქმეში ვიდრე როგორც თავად სამართლის მიზეზებით. აი ამიტომ არის ყოველთვის უსამართლო კამათის მონაწილეებისთვის თავიანთი საქმის ხელმძღვანელობა ან სასჯელის განსაზღვრა, და რატომ უნდა მოვითხოვოთ სასამართლოს ან კომიტეტის წევრებმა დათმონ საქმე, თუ მათი პირადი ინტერესებია ჩართული. სანამ დაუჯერებელი იქნება ამ წევრების მიუკერძოებლობა, იქამდე იქნება ეს არასაიმედო. უფრო არსებითად, მათი მონაწილეობა კამათში, უფრო ანიჭებს შურისძიების ხარისხს ანრეპრესიას, ვიდრე სასჯელს.¹⁰⁰

¹⁰⁰არსებობს დასჯის თეორიები, სადაც შურისძიება დანახულია შესაბამის სადამსჯელო ქმედებად. მაგრამ ასეთი კონცეფციის თანახმადაც ისევ არის შესაძლებელი სხვაობის გაკეთება პირად შურისძიებასა და კანონიერ დასჯას შორის.

ამიტომ არის მიუკერძოებლობის იდეა თავად დასჯის იდეისთვის შინაგანი (თუ გავითვალისწინებთ როგორც სამართლის თვალსაზრის). ის, რაც ამან შეიძლება შემოგვთავაზოს არის ის, რომ ხდება კერძო პირების მიერ ბუნებრივ მდგომარეობაში სამართალ დამრღვევთა დასჯა არ არის უბრალოდ 'შეუფერებელი', როგორც ლოკი და ნოზიკი ამტკიცებენ-უფრო სწორადის საერთოდ არ უნდა ჩაითვალოს დასჯად, მიუკერძოებლობის აუცილებელი მოთხოვნისთვის იქნებოდა არმყოფი.

იდეა შეთანხმებითი დამორჩილების შესახებ უფლებამოსილი პირებისთვის არის დასჯის მოთხოვნა, შეიძლება ნაკლებად დამაჯერებლად ჩანდეს, ამისთვის შეიძლება ჩანდეს, რომ დასჯა ზუსტად არის დამნაშავის სურვილის საწინააღმდეგო სადამსჯელო ღონისძიება. მარამ სამართლის სიტემა, თუ ლეგიტიმური არის უნდა გამოხატავდეს სამართლის საზოგადოებრივ შეხედულებას და ამ საზოგადოების წევრები უნდა აღიარებდნენ წესების კანონიერებას და იმ პროცესებს, რომლებსაც განეკუთვნებიან. თანხმობის მოთხოვნა, ამიტომ დაკავშირებულია მიუკერძოებლობის მოთხოვნასთან. საზოგადოების თანხმობა ძალაში შედის იმ სამართლის სისტემის სამართლიანობის აღიარებით, რომელსაც განეკუთვნება. დაკვირვება აგრეთვე გვეხმარება სადამსჯელო სისტემის შეთანხმების შეზღუდვაში და თუროდის შეიძლება თანხმობის სამართლიანი შეწყვეტა. თუ პირს აქვს სურვილი იცხოვროს საზოგადოებაში, მაშინ ის უნდა დათანხმდეს მის წესებს, და დასჯას, რომელიც იქნება დაუინებოთ მოთხოვნილი, თუ ის დაარღვევს მათ. ამიტომ დანაშაულისთვის არ არის ღია, უარი განაცხადოს სასამართლოს უფლებაზე, ვინაიდან ის შეზღუდულია წინააღმდეგობის განწვეიდან (ზოიერთი ნამდვილი პროცედურული არარსებობით). მაგრამ თუ ინდივიდი, უმცირესობა, ან ჯგუფი დაიწყებს სისტემის წესებზე თანხმობის გაუქმებას იმ მიზეზით, რომ მათ სათანადო საფუძველზე, სჯერათ სამართლის ადმინისტრატორის და კანონთა სისტემის, როგორც ერთი მთლიანობის პარტიზანულობა მაშინ ეს სასამართლო გადაწყვეტილებები აღარ ექვემდებარებიან სასჯელს და იქცევიან ნამდვილ ხელისუფლებად. მნიშვნელოვანი აზრი დევს იმაში, ვრომლის მიხედვითაც ასეთი ხალხი არ ისჯება, იბრძვიან მათ წინააღმდეგ.

ვინმეს დასჯასა და მათთან ბრძოლას შორის არსებული კონტრასტი, განსაზღვრავს არსებით მორალურ სხვაობას, რომელსაც ჩვენ ქვეყნით ისევ მივუბრუნდებით.

ეს მარტივი სახელშეკრულებო კონცეფცია, როგორც ჩანს ადგენს ერთ ძალიან მნიშვნელოვან წესს, რატომაც ვფიქრობთ დასჯის კანონზე. მაგრამ ჩვენ გვაქვს მეორე, საკმაოდ განსხვავებული მოდელი ხელისუფლების, რომელიც დაფუძნებულია მშობლის მიერ ბავშვის დასჯის უფლების ქონაზე.¹⁰¹ მშობლების უფლება დასაჯონ ბავშვები არ მოდის ბავშვის თანხმობიდან, მაგრამ როგორც ჩანს მოდის მშობელსა და ბავშვის ურთიერთობის სამი დამახასიათებელი თვისებიდან, რომელთაგან ორი არის ჩვეულებითი და ერთი ნორმატიული. ურთიერთობის პირველი დამახასიათებელი თვისება არის ის ფაქტი, რომ მშობელი ბავშვზე აღმატებულია ცოდნით, სიბრძნით და გავლენით. მეორე არის ის, რომ მშობელს აქვს სიყვარულის და ზრუნვის ბუნებრივი ურთიერთ დამოკიდებულება ბავშვის მიმართ. მესამე ნიშანი, რომელიც ამ ნაწილში შედის, მოდის პირველი ორიდან და ნიშნავს, რომ ურთიერთობას ახასიათებს ორმხრივი ვალდებულება: მორჩილება ბავშვის მხრიდან, ზრუნვა და დაცვა მშობლის მხრიდან. ხელისუფლების ეს კონცეფცია არის ძალიან განსხვავებული ხელშეკრულების მოდელიდან. ორმხრივობის ცნება, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ამ მოდელისთვის, პერიფერიული მნიშვნელობის არის მშობლის მოდელისთვის. მშობლების პრინციპული პასუხისმგებლობა გარანტიას არ იძლევა, რომ მათი სადამსჯელო ქმედების შესრულება იქნება მიუკერძოებელი ან სამართლიანი, არამედ ის უფრო სასარგებლოა ბავშვის საყოველთაო კეთილდღეობისა და განვითარებისთვის; მიუკერძოებლობა ამ ფართო მიზნის მხოლოდ დამხმარე ღირებულებითი ნაწილია. ამ მიზეზით დასჯის ცნება, რომელიც განვითარდა მშობლისეული მოდელით, შეიძლება საერთოდ არ ითვლებოდეს სამართლის ნაწილად. ამასთან შედარებით, საპირისპირო ხელშეკრულების მოდელში ხაზი გასმულია სამართალზე და ჩანს რომ ნაკლებად კრიტიკულია დასჯის სარგებელი სამართალ დამრღვევისთვის.

¹⁰¹ლოკი, სახელმწიფოს მეორე ტრაქტატი, თავი VI, და VII, პარაგრ. 86

ძალაუფლების ეს ორი მოდელი, ხელშეკრულება და მშობლისეული მოდელები, საკმაოდ ბუნებრივად მოდის ფამილიარული მორალის გამოცდილებიდან და დასჯის და ძალაუფლების პრობლემებთან დაკავშირებულ პრობლემებისთვის ქმნის აზროვნების ორ ძირითად სისტემას. როგორ უკავშირდება ეს შეხედულებები სადამსჯელო ომის შესაძლებლობებს? თუ ჯარისკაცი იბრძვის ომებში, რომელიც მხოლოდ სადამსჯელო მიზნით დაიწყო, საჭირო გახდება დასჯის სათანადო უფლებამოსილება. ჩვენ ვნახეთ, რომ ეს მოდის ორი გზით, ან დამნაშავეს

მიუკერძოებლობითა და მორჩილებაზე წინასწარი თანხმობით, ან დამნაშავესთან ურთიერთობიდან, რომელიც არის მშობლის მსგავსი. აკმაყოფილებს ომის სახელმწიფო ერთ-ერთ მახასიათებელს მაინც?

დავინყოთ მშობლის მოდელით. ძალაუფლების შეხედულებასთან დაკავშირებული სიძნელეები არის, როგორც უკვე ვნახეთ, დამყარებული ბუნებით და ნორმატიული უთანასწორობის საკითხზე. სადამსჯელო ძალაუფლებას აქვს ბუნებრივი პრიორიტეტი მეცნიერებაში, სიბრძნეში და ზალაუფლებაში ისევე, როგორც დასჯის არსის დიდი ინტერესი. ახლა აღბათ ეს არის თუ როგორ გამოხატავენ ზოგიერთი წამყვანი სახელმწიფო თავისთავს საგარეო პოლიტიკაში. მაგრამ ეს აშკარად არ არის დამაჯერებელი დახასიათება ნებისმიერი სახელმწიფოს საომარი ქმედებისთვის. უფრო ძირეულად ეს მოდელი ვერ გააკეთებს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს დასჯის უფლების განმარტებას, ვინაიდან პასუხისმგებლობის ფუნდამენტალური საერთაშორისო იურიდიული წესრიგი და სამართლიანი ომის თეორია სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის თანასწორია. მშობლის მოდელი არ უნდა იყოს არა-დამწყები საერთაშორისო ურთიერთობებში, ვინაიდან მას კონფლიქტი აქვს სამართლიანი ომის თეორიის ძირითად ვარაუდთან. უფრო მეტიც, ძნელია იმის დანახვა, თუ როგორ შეიძლება ამ მოდელით გასამართლდეს სასიკვდილო საჯელი რომელიც, როგორც ვიხილეთ, ძირითადად პირდაპირ დაკავშირებულია პირის დასჯის სარგებელსა და განვითარებაზე.

რაც შეეხება თანხმობის მოდელს: ის უკეთ უმკლავდება ამ საკითხს. სახელმწიფო ომში არც ნეიტრალუ პოზიციაშია და მიუკერძოებლობის დავის საპატივცემულოდ, არც სახელმწიფოს კონსენსუალურ მორჩილების დასჯას ადასტურებს. როგორც ზემოთ შემოგთავაზებთ, ვინმეს დასჯასა და წინააღმდეგ ბრძოლას შორის დიდი მორალური სხვაობა უნდა იყოს. სახელმწიფოებს ვერეტყვიან დასაჯონ ისინი, ვის წინააღმდეგაც იბრძვიან, რადგანაც ისინი მონაწილეობენ იმ დავაში, რომელშიც სამართლის საკითხი ზუსტად მათ შორის არსებულ სადაო საკითხთაგან ერთერთია. კანტი, თავის ტრაქტატში *სამარადისო მშვიდობაში*, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ დეტალურად დაბლა, ამ საკითხში არის განსაკუთრებული: 'საერთაშორისო უფლების კონცეფცია ხდება უმნიშვნელო თუ განმარტებული იქნება, როგორც ომში წასვლის ნებართვა. ამით უფლება გვაქვს განვსაზღვროთ თუ რა არის კანონიერი არა საერთაშორისო დასაბუთებული საგარეო კანონების მეშვეობით, არამედ ფიზიკური ძალებით მხარდაჭერილი ცალმხრივი სამართლებრივი პრინციპების მეშვეობით'.¹⁰²

უნივერსალური სახელმწიფოს არგუმენტი

დასჯის ან სამართალწესრიგის უზრუნველყოფის ცნების გამოყენების პერსპექტივა, როგორც სუვერენული სახელმწიფოების მიერ ბრძოლით მოპოვებული სახელმწიფო თავდაცვითი ომების მართლზომიერებას ნამდვილად, შორეული მიზეზობრივი კავშირი აქვს. მაგრამ ჩვენი შედეგები არ არის მთლად ნეგატიური. შეხედულება, რომელიც ამჟღავნებს ინდივიდუალური ქვეყნების სამართალწესრიგის უზრუნველყოფის უკანონობას, აგრეთვე ემსახურება იმის გამომჟღავნებას თუ როგორ შეიძლება იყოს შესაძლებელი ნამდვილი და კანონიერი საერთაშორისო სამართალწესრიგის უზრუნველყოფა. თუ საქმე გვაქვს ხელისუფლების ორგანოსთან, რომელიც ნამდვილად იყო სამართლიანი, და რომელმაც აღიარა უფლებამოსილება დავების გადაჭრის, და სამართლის უზრუნველყოფა, მაშინ

¹⁰²კანტი ი. „სამარადისო მშვიდობა“: ფილოსოფიური მონახაზი, რეისში, ჰ. (რედ.), კანტის პოლიტიკური ფილოსოფია, კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1970: 105

სამხედრო ქმედების წარმოება საერთაშორისო თავდამსხმელების წინააღმდეგ შეიძლება გამართლდეს. ხელისუფლების ასეთ ორგანოს შეუძლია იმოქმედოს მაგალითად შემოსევის თავიდან ასაცილებლად, ერთი სახელმწიფოს მიერ, მეორეს წინააღმდეგ და ასევე შეუძლია პასუხისმგებელი პირებისთვის გამოიყენოს სადამსჯელო ძალა. აქედან გამომდინარე, შევქმნი ასეთი პოზიტიური ანგარიშის განვითარების შედეგების და მასთან დაკავშირებული შეხედულებებს. ჩემი შენიშვნები იქნება აუცილებლად სქემატური, მაგრამ, ვიმედოვნებ ამ სფეროში ნაყოფიერი სამომავლო სამუშაოსთვის იქნება სასარგებლო მითითებები.

პირველი მნიშვნელოვანი მითითება, რომელიც უნდა გაკეთდეს არის ის, რომ თუ ვინმე იღებს ჩემს არგუმენტს თავისუფალი ჯარისკაცების წინააღმდეგ, რომლების პირადად არიან პასუხისმგებლები თავიანთი მონაწილეობით არასამართლიან ომებში, მაშინ ამას აქვს ეფექტიორ-საფეხურიანიომით შედეგად დასმული პრობლემის დაძლევაში. ეს ხელს გვინცობს გავიგოთ თუ რატომ უნდა იქნენ თავდამსხმელ პირებად დასახელებული ჯარისკაცები და არა მათი სახელმწიფოები სათანადო ძალოვან ობიექტებად. ეს შედეგი უნდა იყოს აუცილებელი სამხედრო ძალების გამოყენების კანონიერების ნეისმიერი ანგარიშის წინაპირობა, იქნება ეს დამკვიდრებული სამართალ უზრუნველყოფაში, დასჯასა თუ სახელმწიფო თავდაცვაში. ასეთი ანგარიშის გარეშე აღმოვჩნდებოდით უსამართლო მდომარეობაში, უდანაშაულო მკვლელობაში (სახელმწიფოს ჯარისკაცის) იმ მიზნით, რომ დავსაჯოთ ან გამოვიყენოთ კანონი დამნაშავეს წინააღმდეგ (თავდამსხმელი სახელმწიფო).

არსებობს თუ არა დღეს კანონიერი აღჭურვილი სახელმწიფო ორგანო, რომელიც გამოიყენებს სამხედრო ძალას, საერთაშორისო სამართალის უზრუნველყოფად? ომები, რომლებიც იმართება გერთიანებული ერების დახმარებით (მაგალითად, ინტერვენცია, რომლებიც იმართება გაერთიანებული ერების VII თავით) როგორც ჩანს, აკმაყოფილებს მოთხოვნას. გაერთიანებული ერები არის ტრანს ნაციონალური ორგანიზაცია, რომელიც გაერთიანებულია ლეგალურად თანასწორი სახელმწიფოების შეთანხმების ხელშეკრულებაში, რომლის თითოეულ წევრ ქვეყანას აკისრია კანონის რეჟიმი და პირდაპირ თანხმდება იურდიულ უკუძალაზე ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში.

ჯერ კიდევ ვაწყდებით სიძნელეებს გაერთიანებული ერების, როგორც ნამდვილი ორგანოს ლეგიტიმური დასჯის მართვაში. უსათრთხოების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრიდან, თითოეულ მათანს, აქვს ვეტოს დადების უფლება გადანყვეტილებებზე, რომლებსაც კავშირი აქვთ ძალის გამოყენებაზე და ამიტომ ისინი ფლობენ საკუთარი თავის გათავისუფლების და ასევე კომიტეტების გათავისუფლების უფლებას იურიდიული სადამსჯელო ღონისძიებისგან. მუდმივი წევრები, როგორც ხდება ხოლმე, იყენებენ თავიანთ ენერგიას გაერთიანებული ერების გადანყვეტილებების ფორმირებაში, რათა შეთანხმდნენ საკუთარი სახელმწიფო ინტერესში. ამის გამო გაერთიანებული ერები არ არის ნამდვილად მიუკერძოებელი ორგანო და ძნელია დავინახოთ სამხედრო ექსპედიციები, რომელსაც ის უფლებას აძლევს, როგორც სამართალწესრიგის უზრუნველყოფის ლეგიტიმურ სადამსჯელო ფორმებს. მიუხედავად ამისა, VII თავში ინტერვენციები და გაერთიანებული ერების უფლებამოსილობებს აშკარად აქვთ უფრო დიდი სამართლიანობა, ვიდრე ომების უმეტესობას, რომლებიც გაერთიანებული ერების ავტორიზაციის გარეშე იბრძოდნენ. გამართლების ნამდვილი ფორმა აშკარად ოპერატიულია მაშინაც კი თუ ის სრულყოფილად რეალიზებული არ არის. გასაგებია, რომ ერთ დღეს გაერთიანებულმა ერები, შეიძლება გაძლიერდნენ და გარდაიქმნენ ისთი გზით, რომ ეს გახდნენ ნამდვილი საერთაშორისო სამართლის მიუკერძოებელი აღმასრულებელი დანესებულება.

მაგრამ ისიც აშკარად ნათელია, რომ ასეთი შეცვლილი გაერთიანებული ერები, ბევრ რამეში დაემსგავსება საყოველთაო სუვერენიტეტულ სახელმწიფოს, რითიც ექნება ძალაუფლება და უფლებამოსილება იძულებით გამოიყენოს კანონი კონკრეტულ სახელმწიფოებსა და მოქალაქეების წინააღმდეგ. მეშვიდე თავში, უპირველს ყოვლისა, შემოგთავაზებთ საყოველთაო სახელმწიფოს ლეგიტიმაციისთვის ჰობსისეული არგუმენტი. როგორც ჩანს, მივედით საცდელ დასკვნამდე, რომ ზოგიერთი ორგანიზაციები, რომლებიც ფუნქციონირებენ, საყოველთაო სუვერენიტეტის ფორმით სამართლის ნამდვილ ნორმას იყენებენ თავდამსხმელი სახელმწიფოების წინააღმდეგოდ და მათ ჯარისკაცებს შეიძლება მოეთხოვოთ პასუხისმგებლობა საერთაშორისო თავდამსხმელთა წინააღმდეგ

გამოყენებული სამხედრო ძალების გამოყენება. დროა განვიხილოთ უნივერსალური სახელმწიფოს საკითხი უფრო დანვრისგან.

უნივერსალური სახელმწიფოს იდეა გახლავთ უამრავი ხელჩართული ბრძოლის უღმრთო თავდასხმებისთავდასხმის საგანი. ფილოსოფოსებს შორის, ჰობსის და კანტის პოზიცია არის განსაკუთრებულად საინტერესო და განსახილველად ვარგისი. ორივე ფილოსოფოსი ანვითარებს მოსაზრებას, რომელიც უპირველეს ყოვლისა გვთავაზობს საყოველთაო პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც მართული იქნება ერთი სუვერენული ძალის მიერ, მიუხედავად ამისა, თითოეული უარყოფს ამ დასკვნას; კანტი უარყოფს თავისუფალი სახელმწიფოების ფედერაციისთვის; ¹⁰³ ჰობსი ბუნებრივი საერთაშორისო სახელმწიფოში არსებულ სუვერენული სახელმწიფოთა სიმრავლისთვის¹⁰⁴.

რატომ არიდებენ თავს ჰობსი და კანტი უნივერსალური სუვერენიტეტის იდეას? უფრო მეტიც, როგორც შემოგვაგვაზეთ, თუ არსებობს ჰობსისეული უნივერსალური სახელმწიფოს დასაბუთებული არგუმენტი, მაშინ რატომ არ არსებობს ერთი მაინც? თუ სახელმწიფოები არსებობენ ბუნებრივ მდგომარეობაში, როგორც ჰობსი ამტკიცებს, რატომ არ არიან სუვერენული სახელმწიფოები იძულებული თვითონვე შეთანხმდნენ ერთად ჩამოაყალიბონ უნივერსალურისა ხელმწიფო იმავე გზით, როგორითაც ცალკეული პირები ბუნებრივ მდგომარეობაში აკეთებენ?

ერთ პასუხს ამ საკითხთან დაკავშირებით, ფრაზირება გაუკეთა ჰობსმა თავისი არგუმენტით, განსხვავებით ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისგან, სუვერენულ ქვეყნებს (გულისხმობს, ჩვეულებრივად ადამიანებს) აქვთ ცოტა მიზეზი, ეშინოდეთ ბუნებრივი მდგომარეობით არსებული სახელმწიფოების. ზოგადად, მონარქების ცხოვრებას ზიანი არ ადგება სხვა სახელმწიფო ომების შედეგად. ბრძოლები ხდება ყოველთვის საზღვრებთან და მას ყოველთვის შეუძლია შეთანხმება მტერთან, სანამ სიტუაცია გაიზრდება იქამდე, როდესაც

¹⁰³ კანტი, *სამართლის მშვილობა*, სამაეაღჯამო მშვილობის მეორე განმარტებითი პარაგრაფი, გვ. 102-5.

¹⁰⁴ ჰობსის, *ლევიათანი*, თ. XIII.

მის საკუთარ სიცოცხლეს საფრთხე შეექმნება. ვინაიდან მონარქის სიცოცხლეს ემუქრება საერთაშორისო ომი, მხოლოდ გარემოებებით გამონვეულ უკიდურეს შემთხვევაში, ის არ ცდის საკუთარ თავზე იმ საშინელ შიშს, რომელიც ადამიანები მიყავს იმ მდგომარეობამდე უარი თქვან თავისუფლებაზე და შევიდნენ ფედერაციაში. ამ მიზეზით, ჰობსის არგუმენტზე დაფუძნებული უნივერსალური სახელმწიფოს იდეა ვერ ამართლებს.

მიუხედავად იმისა, რომ პასუხი ძალიან ადრეა. მონარქი არ არსებობს მხოლოდ ჩვეულებრივი ადამიანის სახით; მონარქიარის აგრეთვე, და რაც არის უფრო მნიშვნელოვანი, ხელოვნურიადამინი. ამ გზით გავიგებთ, მონარქი განსაზღვრულია ძალით, რომელიც ფედერაციაში გარანტიას ანიჭებს სამოქალაქო სამართალს. ძალა, რომელიც განაგებს სუვერენული სახელმწიფოს არსებობას, შეიძლება საფრთხეში ჩავარდეს საერთაშორისო ომის შედეგად, რადგან უცხო ქვეყნების შემოჭრას ძალუძს შეასუსტოს ან გაანადგუროს მოცემულ ტერიტორიაზე მართალწესრიგის უზრუნველყოფა. სუვერენული სახელმწიფო, როგორც ხელოვნური პერსონა არ განიცდის სიკვდილის ბუნებრივ შიშს, მაგრამ ის არის საგანი იმის, რასაც ვეძახით 'ხელოვნურ შიშს', რაც დაკავშირებულია თავისი ძალის შემცირებასთან. ეს ძალა აიძულებს სახელმწიფოს ყოველთვის მხარი დაუჭიროს საკუთარ უსაფრთხოებას, რაც არის მისი შესაძლებლობა, უზრუნველყოს თავისი არსებობა და დამოუკიდებლობა, როგორც დამოუკიდებელმა ძალამ.

სახელმწიფო ქმედების განმარტება, რომელიც აქ არის მოხსენიებული მიგვიითებს არა ინდუვიდუალური ლიდერების ან სახელმწიფო პირების ფსიქოლოგიურ მოტივებზე, არამედ სახელმწიფოთა ობიექტურ გონივრულობაზე, რომლებიც გაგებულა, როგორც ხელშეუვალი ინტერესით საკუთარი თავის გადარჩენის ძალოვანი სისტემები. ეს იმ განმარტების ფორმაა, რომელიც შესწავლილია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიით თავის „რეალისტურ“ ფორმაში. მაშასადამე, თუ სახელმწიფოს ეშინია საფრთხის, მაშინ მან შეიძლება რაციონალურად დათმოს დამოუკიდებლობის ნაწილი რომელიმე გავლენიან სახელმწიფოსთან კავშირის ძიებაში, სრული რღვევის რისკის ქვეშ თავისი დამოუკიდებლობის ნაწილობრივი შემცირების უპირატესობით. თუ ბუნებით საერთაშორისო

სახელმწიფო იქნება შედეგი ომის ყველე ყველას წინააღმდეგ, სადაც არცერთ სახელმწიფოს ექნება საკუთარი უსაფრთხოების გარანტიის საშუალება, მაშინ თითოეული სახელმწიფოს ექნება მიზები დაუმოს უწყვეტი არსებობის გარანტიის მქონე უნივერსალურ სახელმწიფოს თავიანთი სუვერენული აუტონომიის ნაწილი.¹⁰⁵

მიუხედავად, ამისა ეს არგუმენტმაც შეიძლება ვერ გაამართლოს, სახელმწიფოებს უნდა შეეძლოთ საკუთარიუსაფრთხოებისდაცვა უმაღლესი ხარისით ბუნებრივ მდგომარეობაშიც კი. როგორც ჰიუმი აკვირდებოდა, სანამ ადამიანები ითხოვენ სტაბილური კანონით მართულ გაერთიანებას, რათა თავიდან არიდება მოხდეს დამლუპველი ომის ყველა ყველას წინააღმდეგ: 'ერებს შეუძლიათარსებობაურთიერთობის გარეშე. მათ შეუძლიათ არებობა გარკვეულ საფეხურზე, საყოველთაო ომის დროსაც კი.სამართლის დაცვა, თუმცა მათ შორის სასარგებლო არ არის დაცული ისეთი ძლიერი აუცილებლობით, როგორც ინდივიდებს შორის'.¹⁰⁶

რატომ უნდა იყოს ეს ასე? რატომ უნდა იყოს ბუნებრივი მდგომარეობა გაუსაძლისი ადამინთათვის, მაგრამ ასატანი სუვერენული სახელმწიფოებთვის? ჰასუხი ამ კითხვაზე შეიძლება იყოს აწყობილი ჰობსის განმარტების საფუძველზე, თუ რატომ უძღვის ინდივიდუალურ პირებს შორის არსებულ ბუნებრივ მდგომარეობას წინ ომის ყველა ყველას წინააღმდეგ გარდაუვალობა. ერთ-ერთი ვარაუდი, რომელსაც ის მიმართავს ამ დასკვნის მხარდასაჭერად არის შესაძლებლობების მიახლოებულთა თანასწორუფლებიანობა ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფ პირებს შორის: 'როგორც სახელმწიფო ძალისთვის ყველაზე სუსტს აქვს იმდენი ძალა მოკლას ყველაზე ძლიერი ან საიდუმლო შეთქმულებით ან სხვებთან

¹⁰⁵ ტიმო ეარაკსონი გამომწვევ სტატიში კამათობს საკითხზე: 'ვემპის სითეთრე: თომას ჰობსი და „ომისა და მშვიდობის“ პარადოქსი, ბერთმენში, მ. ა. (რედ.), *ჰობსი: ომი ერებს შორის*, ოლდერშოტი: „ევიბარის გამომცემლობა“, 1989. ამგვარად, ეარაკსონის განმარტება ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით, განსხვავდება ჩემი განმარტებისან. ის ხელოვნურ შიშს ხედავს მონარქის მიერ გამოყენებულ ომის შეუბრალებელ მთავარ ნაწილს, როგორც განმარტავენ 'სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ გამოყენებული მუქარის ფორმა' (იხილეთ გვ. 58-62). როგორც ქვემოთ განვმარტავ, მე ვფიქრობ, რომ უფლებებისვის ისტორიული პირობების მიცემით, შეიძლება გამოიწვიოსსახელმწიფოს ხელოვნური შიში, უნივერსალური ფედერაციის დამყარების მაგივრად.

¹⁰⁶ ჰიუმი უკავშირებს *მორალის პრინციპებს*, ციტირებული ლუარდში, ი., 'სართაშორისო ურთიერთობი ძირითადი თემები' ლონდონი: მაკმილანი, 1992: 48

კავშირით (კონფედერაცია)ისინი არიან თავისთავად საფრთხეში'.¹⁰⁷ ამის მოცემით, თითოეულ კაცს აქვს დაახლოებით თანაბარი საფუძველი, ჰქონდეს სიკეთისა და სიმდიდრის მიაღწევის იმედი და მაინც,ის შეიძლება მუდმივად იყოს შიშში, რომ სხვები მოკლავენ იმ ქონებისთვის რომელიც შეიძინეს.

ამასთან საპირისპიროდ, სახელმწიფოები ძალაში ზოგადად აჩვენებენ უფრო დიდ უთანასწორობას. ეს საერთაშორისო სისტემა უფრო ხშირად ერთი ან რამოდენიმე დიდი ძალაუფლების მფლობელობაშია, რომლებსაც შეუძლიათ აკონტროლონ ქსელი ან შემკვეთი სახელმწიფოები და მხარი დაუჭირონ (მედარებით) მყარ ძალაუფლების თანასწორობას თავიანთ მტრებთან. ასეთ ქვეყნებს შეუძლიათ უზრუნველყონ თავიანთი საკუთარი უსაფრთხოება და გამოიყენონ ბუნებრივი მდგომარეობის გათავისუფლებული თავისუფლება საკუთარი გამდიდრებისთვის. ამგვარად მათ აქვთ მცირე სტიმული შევიდნენ სახელმწიფოში სხვა სახელმწიფოებთან ერთად. ნაკლებ ძალაუფლებას შეუძლია აიძულოს დიდი სახელმწიფოები დაემორჩილონ სამართლის კანონს.ასე უნდა ეძებონ თავიანთი უსაფრთხოება, როგორც საუკეთესო შემთხვევაში

შეეძლოთ, წამყვანი სახელმწიფოების ვასალებსა და დამკვეთებს. ამგვარად, საერთაშორისო ბუნებრივი მდგომარეობა არასოდეს ქმნის პერიოდს, რომლის დროსაც ყველა სახელმწიფო არის ორმხრივ შიშში თავიანთი უსაფრთხოების, რაც არის საფუძველი საზოგადოებრივი ხელშეკრულების. როდესაც სახელმწიფო არის გავლენიანი, ის ფიქრობს მხოლოდ ბუნებრივი მდგომარეობის გამოყენებაზე საკუთარი ძალაუფლებისთვის. როდესაც მისი ძალაუფლება იკლებს და მან სურს ეძებოს კანონის დაცვა, მას მეტი აღარ შეუძლია თავი აარიდოს წარმატებული სახელმწიფოების მიერ მათ თვითნებურ დამორჩილებას.

ეს არგუმენტი გვთავაზობს უნივერსალური სახელმწიფოს არგუმენტის რეალისტურ პასუხს; უნივერსალური სახელმწიფო შეუძლებელია, რადგან ის არ არის ცალკეული სახელმწიფოების ინტერესში, რომლებიც ნებას დართავდნენ ამის რეალიზებას. მაგრა,

¹⁰⁷ ჰობსი, *ლევიათნი*, თავი 13: 60.

სუფთა რეალისტურ სიტყვებითაც კი შეიძლება არსებობდეს მიზმი ამაში ეჭვის შესატანად, განსაკუთრებით თანამედროვე განვითარებების ფონზე სამხედრო ტექნოლოგიაში, რომელმაც მკვეთრად შეცვალა უსაფრთხოების განხილვების ბალანსი. ბირთვულ შეიარაღებას შეიძლება ფლობდეს ძალიან პატარა ქვეყნებიც კი, როგორც არის ისრაელი და ჩრდილოეთ კორეა და უზრუნველყოფენ თავიანთ მფლობელებს შესაძლებლობით მოიგერიონ არასასურველი ზიანი დიდი ძალებისგანაც კი. დიდი ძალების უშიშროება უკვე დგას საერთაშორისო ტერორიზმის რისკის ქვეშ, და პარტიზანული ომი ზღუდავს დიდი ძალების შესაძლებლობებს განამტკიცონ თავიანთი ძალაუფლება და გავლენა. ორივე ტერორიზმიც და პარტიზანული ომიც იყვნენ ექსტრაორდინალური განვითარების საგანი ღიაპაზონზე და ეფექტიანი მთელი გასული საუკუნის მანძილზე. თითოეული შესაძლებლობას აძლევს პატარა და შედარებით სუსტ დაჯგუფებებს დაარტყან და არაპროპორციული ზიანი მიაყენონ დიდ ზემდგომ ძალებს და შეიძლება შევადაროთ 'საიდუმლო მაქინაციებს', რომელზეც ჰობსი განსაზღვრავს, როგორც შიშის წყაროს ბუნებრივი მდგომარეობის პირებს შორის.

სხვა ძლიერი მოსაზრება არის, ბირთვული შეიარაღების მიერ შექმნილი მდგომარეობა, რომელშიც ომში ბრძოლის ფასი პოტენციურად ისეთი დიდია, რომ გავლენას ახდენს ომში ჩაბმული სახელმწიფოების რღვევაზე_ნამდვილად ყველა სახელმწიფოსი. ამგვარად, ისტორიაში პირველად, ომის მნიშვნელობა არის პოტენციურად გამანადგურებელი სწორედ იმ მიზნით, რისთვისაც ისინი არიან ჩაბმულნი, სახელდობრ, სახელმწიფო უშიშროებისთვის. ამ მიზეზების გამო დამაჯერებელია (თუმცა შესაძლოა მეტი არა თუ არა დამაჯერებელი), რომ მოვიდეს დრო, როდესაც სახელმწიფოები მივლენ დასკვნამდე, რომ რაიონალურია მათთვის დათმონ საკუთარი სრული დამოუკიდებლობა საყოველთაო უფლებამოსილებაში, იმისათვის, რომ გადაარჩინონ საკუთარი უშიშროება და არსებობა. ამგვარად, რეალისტური თვალსაზრისითაც კი შეიძლება შესაძლებელი იყოს შექმნა ჰობსის არგუმენტის უნივერსალური სახელმწიფოსი მოქმედი განსაკუთრებით სუვერენული ორგანიზაციების

არსებობის საფეხურზე, განხილულს, როგორც ძალაუფლების სისტემის მონაწილეები, უსაფრთხოების საჭიროებით იძულებულნი.

ახლა მინდა შემოგთავაზოთ, ამგვარად რომ მნიშვნელოვანი მხრიდან ეს არგუმენტი ძირეულად ამახინჯებს უნივერსალური სახელმწიფოს მორალის საკითხის ბუნებას. კანტი თავის პამფლეტში *სამარადისო მშვიდობა* აკეთებს სხვაობას იურიდიული კონსტიტუციის სამ შესაძლო ფორმაზე. ეს არის, როგორც ამბობს აუცილებელი კლასიფიკაცია რაც შეეხება ყველა პირს, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ შემთხვევაში გავლენა იქონიოს ერთი მეორეზე და ვინც არ არის ბუნებრივ მდგომარეობაში: (1) ინდივიდუალური ერის სამოალაქო სამართალზე დაფუძნებული კონსტიტუცია (*ius civitatis*) (2) სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებული კონსტიტუცია (*ius gentium*). (3) კოსმოპოლიტური უფლებაზე დაფუძნებული კონსტიტუცია, ისევე, როგორც ინდივიდებზე ისე სახელმწიფოებზე, არსებობს ორმხრივი გავლენის საგარეო ურთიერთობასთან ერთად, შეიძლება მივიჩნიოთ როგორც კაცობრიობის უნივერსალური სახელმწიფოს მოქალაქეები (*ius cosmopolitanum*).¹⁰⁸

ის, რასაც კანტის სხვაობა პირდაპირ შესაძლებელს ხდის დავინახოთ, არის ზემოთ განხილული ჰობსისეული არგუმენტი, რომლიც წინ უძღვის საერთაშორისო მორალის სახელშეკრულებო საფუძვლის არასწორ განმარტებას. ეს იმიტომ, რომ ის თავისთავად კრძალავს უფლებების განხილვას და სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ინტერესებს-ეს არის კანტის კონსტიტუციის მეორე ფორმა, *ius gentium*. ანალიზის ეს დონე არის არაადეკვატური, რადგან ის არ აღიარებს, რომ სახელშეკრულებო კონცეფციის, სახელმწიფოს ფუნდამენტალური ნორმატიული ფუნქცია უფრო შორს მიყავს მოქალაქეთა ინტერესები და უსაფრთხოება. როდესაც ვეძებთ საერთაშორისო მორალის საფუძველს ამის გამო, რელევანტური სახელშეკრულებო კითხვა აღარ არის სუვერენული სახელმწიფოები არიან თუ არა უსაფრთხოდ (გინდ ბუნებრივ პირად გავიგოთ, გინდ ხელოვნურად) ყველაზე კარგად არის შესრულებული მათი გაერთიანებით საყოველთაო სამართალთან, მაგრამ

¹⁰⁸ კანტი, *სამარადისო მშვიდობა*, 98 წ.

უფრო უკეთესად თუ ინდივიდებს უსაფრთხოება, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ სახელმწიფოებში სრულდება მათი გაერთიანებით. სახელმწიფოს ბუნებრივი მდგომარეობის ენაზე რომ ვთქვათ (ან ორიგინალური მდგომარეობა), კითხვა, რომელიც უნდა დაესვათ არის აქვთ თუ არა თავდაპირველ კონტრაქტორებს დიდი მიზეზი საკუთარი თავი მოაქციონ ბუნებრივი სახელმწიფოს საერთაშორისო მდგომარეობაში არსებულ სუვერენულ სახელმწიფოში, თუ არა-სუვერენულ პოლიტიკურ საზოგადოებაში, რაც სავანია საყოველთაო სუვერენიტეტისა.¹⁰⁹

საერთაშორისო სამართლის კვლევის რელევანტური დონის დადგენის შემდეგ, კარგად ჩანს სანინალმდეგო შემთხვევის ფაქტი, რომ ვიფიქროთ, ორიგინალურ კონტრაქტორებს უმჯობესი იქნებოდა აერჩიათ უნივერსალური სახელმწიფო, ვიდრე საერთაშორისო ანარქიაში არსებული სახელმწიფოთა სისტემა. თუმცა, საერთაშორისო მდგომარეობის ბუნება არ უზრუნველყოფს საყელმწიფოთა ფუნდამენტალურ უსაფრთხოებას, ის უდაოდ მექარას უქადის მოქალაქეთა უსაფრთხოებას, რომლებმაც სასიცოცხლო რისკი უნდა განიონ ბრძოლაში მაშინ, როდესაც საომარი მოქმედება გარდაუვლად იფრქვევა მათ სახელმწიფოთა შორის.

მიუხედავად ამისა, შეიძლება კარგი მიზეზი იყოს თუ რატომ უნდა მიანიჭონ უპირატესობა ბუნებრივ სახელმწიფოში პირებმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა პლურალისტურ ინსტიტუტს, ვიდრე უნივერსალურ სახელმწიფოს, მიუხედავად ამისა, ფაქტი, რომელიც შემოგთავაზებთ მე VII თავში, არასრულყოფილად აშორებს მათ ბუნებრივ სახელმწიფოს,

¹⁰⁹ ეს არის როლოზის მიერ დაშვებული შეცდომა, თავის ანალიზში საერთაშორისო მორალის შესახებ. ის როგორც მომავლი შესაძლებლობას, ცხადად წარმოიდგენს სახელმწიფო სამართალს, როგორც განმარტებულია ორიგინალური პოზიციების შიგნით მიღებული გადაწყვეტილებებით, არა პირების მიერ, არამედ სახელმწიფო სუვერენიტეტის მიერ (ან მისი წარმომადგენლის). მარამ ეს პროცედურა ვერ აღიარებს სახელმწიფოთა შორის, ისევე როგორც, პირებს შორის სამართლის აუცილებლობა. მიუხედავად ამისა, მეგობრობა არსებობს იმისათვის, რომ ემსახუროს საკუთარი მოქალაქეების ინტერესებს. ერთხელ დაარსებული თავისი უწყვეტი არსებობის მანძილზე ფლობს ინტერესს, რომელიც შეიძლება კონფლიქტში შევიდეს თავის თანამოქალაქეთან. როლოზი, ჯ., *სამართლის თეორია*, ოქსფორდი: გამომცემლობა კლარენდონი, 1972: 377-9.

რატომ უნდა ხდებოდეს ეს ასე? კანტი აცხადებს, რომ უნივერსალური სახელმწიფო სწრაფად გადადის 'უსულო დესპოტიზმში', და 'სიკეთის მარგალიტების დამსხვრევი შემდეგ, საბოლოოდ გადავა ანარქიაში'.¹¹⁰ თუ ამას ქონდა ადგილი, მაშინ პირებმა რაციონალურად უპირატესობა უნდა მიანიჭონ საერთაშორისო საომარ რისკებს არასტაბილური ტირანიის რისკიდან გამომდინარე.

მაინც, ძნელია დავინახოთ თუ როგორ მუშაობს ეს არგუმენტი. დესპოტიზმის რისკი ნაგულისხმევია სუვერენული ძალის ნებისმიერ პოლიტიკური ორგანიზაციულ ფორმაში; რატომ უნდა იყოს უფრო დიდი უნივერსალურ სახელმწიფოში ვიდრე პლურლისტურ სახელმწიფოთა სისტემაში არსებული სუვერენული ძალაუფლება? არ შეიძლება იყოს საქმე უბრალოდ დიდ ზომაში და უნივერსალური სახელმწიფოს ძალაში, რისთვისაც ჩვენ შემდეგ აღმოვჩნდებით აბსურდულ მდგომარეობაში იმის მტკიცებაში, რომ შეერთებულ შტატებს უფრო დიდი მისწრაფება აქვს ტირანიისკენ ვიდრე მიანმარას (ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში), რადგან ის ბევრად დიდი და ძლიერია. შეიძლება ეს აზრი მხარს უჭერს უნივერსალური სახელმწიფოს მიდრეკილებას კორუფციისკენ, რადგან ის ფლობს დაუბრკოლებელ ძალას და არ არის დაბალანსებული რომელიმე საგარეო ძალით, რომელსაც შეუძლია მისი შემოწმება. და მაინც ამარგუმენტს არ აქვს ემპირიული დაკვირვება; ერაყი ისტორიულად დაბალანსებული იყო ირანისგან და ჩინეთი დაბალანსებული იყო რუსეთისგან, ეს მაინც არ უშლის ხელს ამ სახელმწიფოებში რეპრესიული რეჟიმის განვითარებას. ნამდვილად, საპირისპირო ეფექტი ხშირად ამკარაა-საგარეო მუქარის არსებობა ქმნის სასარგებლო საბაბს მტარვალთათვის, დაამტკიცონ და გაამართლონ უმაღლესი რეპრესიული შიდა რეჟიმი. ხანგრძლივი ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებიც კი, რომლებიც პატივის ცემით ეპყრობოდნენ ინდივიდთა უფლებებს, აიძულებენ დრაკონული საზომებით, როდესაც ისინი არიან ომში, ან თავს გრძნობენ გადაშენების პირას. საბოლოოდ ახსნა იქნება ის, რომ თუ უნივერსალური სახელმწიფო განავითარებს დესპოტურ

¹¹⁰კანტი, *სამართალუბო მშვიდობა*, 113.

ტენდენციას ექტრემალურად რთული იქნება ეფექტური წინააღმდეგობის განწევა. უნივერსალური სახელმწიფოსთვის მისი განკარგულებით უზარმაზარი რესურსი და არცერთ უცხო ძალას არ შეეძლება აწარმოოს დიპლომატიური და ფინანსური მხარდაჭერა მეამბოხეებისთვის, ან უსაფრთხო თავშესაფარი დესიდენტებისთვის.

ამ დაკვირვებაში, უდაოდ არის რაღაც სიმართლე, მაგრამ არის ორი ნიშანი, რაც უნდა დავიმახსოვროთ. პირველი, ბუნებრივი საერთაშორისო სახელმწიფო სუვერენული ძალაუფლებების უკიდურესი ფორმის უნდა იყოს. ის, შეიძლება შეიცავდეს მართოდენ სამხედრო ძალის მსოფლიო მონოპოლიის ჩამოყალიბებაში მინიმალურ იურიდიულ მექანიზმს საერთაშორისო და შიდა კამათის გადაჭრის გზებს. ჩვენ დავუძახოთ ამ იდეას ულტრა-მინიმალური უნივერსალური სახელმწიფო, რათა განვასხვავოთ ის მსოფლიო მართველობის არსებითი კონცეფციიდან ფართო ადმინისტრაციული მანდატით. ამ მიმართულებით გაგება, უნივერსალური სახელმწიფოს იდეას პრინციპულად არ სჭირდება მეტი შემინება, თუმცა, მან შეიძლება ნამდვილად შექმნას საერთაშორისო სისტემის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, როგორცაა დღეს ჩვენ ვიცნობთ.

მეორე, თუ მორალური ულტრა-მინიმალური უნივერსალური სახელმწიფოს სასურველობა ამ თეორიაში აღიარებულია, მაშინ ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ შემდეგ პოლიტიკური სუბსიდიარულობის არსებითი პრინციპების ჩამონათვალის ამოცანის მუშაობაზე, რისი საშუალებითაც ასეთმა სახელმწიფომ შეიძლება, რომ იმუშაოს. ამ პრინციპებმა უნდა დააბალანსონ კაცობრიობის სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული საზოგადოებების უფლებები და ინტერესები. ნამდვილად, კანტის კოსმოპოლოტიკური უფლების კონცეფცია, შეიძლება გავიგოთ, როგორც წვილი სწორედ ამ პროექტში. მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, რომ კანტისთვის, საერთაშორისო სამართლის ცნებათა საბოლოო დაზუსტება არის სამართლიანი კონსტიტუციის სამი შესაძლო საფეხურის თვითოეული მათგანისთვის.¹¹¹ ის აარსებს სამართლის სამართლიან რეჟიმს, პირველ რიგში

¹¹¹იხილეთ ბრაუნი, ე., *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია*, ნიუ-იორკი: ჰარვესტერ უითშეფი, 1992: 36.

პოლიტიკური საზოგადოების პირებს შორის, რომლებიც მიიჩნევიან მოქალაქეებად; მეორე, საერთაშორისო სისტემის ქვეყნებს შორის; და ბოლოს, კოსმოპოლიტიკურ საზოგადოებაში თანაარსებულ პირებსა და სახელმწიფოებს შორის. ავტორიტეტულია საერთაშორისო სამართლის კონცეფციის ჩათვლით, რომელიც საზღვრების დარღვევის პერსპექტივას აღვიძებს სამართლის კომუნიტარიზმის კონცეფციებსა და ინდივიდუალურ დანაყოფებს შორის.¹¹²

ეს იმ აზრს არ გვთავაზობს, რომ ამ პინციპების განვითარება მარტივი ამოცანა იქნება. მაგრამ ეს არის პროექტი, რიშთვისაც კანტმა უკვე განია მნიშვნელოვანი წვლილი. ეს იყო კანტის რეგულაციური წინადადება, რომ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა უფლებები და მოქალაქეთა უფლებები ამ სახელმწიფოებში არიან დაკავშირებული. კანტისთვის, ლეგიტიმური სამოქალაქო კონსტიტუციის ერთადერთი ფორმა არის 'რესპუბლიკა', რისი საშუალებიათაც ის გულისხმობს წარმომადგენლობით მთავრობას, რომელიც გარანტიას აძლევს ყველა მოქალაქეს თავისუფლების, თანასწორობის, და სათანადო სასამართლო სისტემას, სხვა სიტყვებით კი, იმას, რასაც ჩვენ დღეს ვეძახით ლიბერალურ დემოკრატიას.¹¹³ ისეთი ავტორები, როგორებიც არიან ფერნანდო ტესონი ამტკიცებდა, რომ მოთხოვნას აქვს ორივე, ემპირიულიც და ნორმატიული კომპონენტიც. ემპირიული მოთხოვნა არის ის, რაც რესპუბლიკურ სახელმწიფოებს აქვთ ბუნებრივი მიდრეკილება მშვიდობისკენ და პატივისცემა საერთაშორისო სამართლის. ნორმატიული მოთხოვნა არის, როდესაც სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება საერთაშორისო სისტემაში და შედეგად, სხვა სახელმწიფოების მიერ აღიარება, თუ ის იცავს და არ არღვევს მოქალაქეთა უფლებებს.¹¹⁴ ამ მიმართულებით, ჯერ არშობილი კონცეპტუალური მექანიზმის დაბალანსებისთვის და სახელმწიფოთა უფლებების შებოჭვისთვის საკუთარ მოქალაქეთა უფლებების საწინააღმდეგოს შეიძლება განვითარდეს.

¹¹²ნანმდვილად, კანტის სამანაწილიანი კონცეფცია ძირითადად გვთავაზობს ჰეგელია დიალექტიკურ ფორმას.

¹¹³კანტი, *სამართლის მშვიდობა*, სამართლის მშვიდობის პირველი საბოლოო პარაგრაფი, 99

¹¹⁴ტესონი, ფ., „საერთაშორისო სამართლის კანტისეული თეორია“, კოლუმბიის სამართლის მიმოხილვა, 92 (1996), 53-102; 70-4: იდენტიფიკაცია, *საერთაშორისო სამართლის ფილოსოფია*, ბოულდერი, კოლო.:

არგუმენტი, რომლის მონახაზიც გაჩვენეთ ამ თავში, არის ჩანასახის საუკეთესო ღაზში და საჭიროებს მეტ დამუშავებასა და განვითარებას. ამგვარად, მისი განზრახვა იყო ეჩვენებინა ანალოგიური არგუმენტის მარცხი სახელმწიფო თავდაცვისთვის არ მიგვატოვებს მორალურად სასიკვდილო დასასრულს, აგრესიის და კომუნალური ძალადობის პრობლემების მხედველობაში მიღებით. ეს პრობლემები საჭიროებენ ეფექტურ პასუხს მორალის თეორიიდან. თუმცა, როგორ მე ვამტკიცებდი, ჩვენ სხვადასხვაგვარად სახელმწიფო თავდავის უფლების ეფექტურ საფუძველს, მას შეუძლია ააწყოს სამხედრო ქმედების სამართალი თავდამსხმელების საწინააღმდეგოდ, სამართლის იძულების კონცეფციის საფუძველზე. პირობები, რომლებისაც შეუძლიათ ასეთი ასეთი ფორმის სამართლის ეფექტურობა ჯერ მსოფლიოში არ არის რეალიზებული, ვინაიდან არ არის მიუკერძოებელი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აიძულებდა საერთაშორისო ნამდვილ სამართალს. მიუხედავად ამისა, მე შემოგთავაზებთ, რომ გვაქვს კარგი საფუძველი ვირწმუნოთ მართებული სახელშეკრულებო არგუმენტი ასეთი ორგანიზაციისთვის შესაქმნელად. თუ ამას ჰქონდა ადგილი, მაშინ ასეთი ორგანიზაციის სისრულეში მოყვანა განსაზღვრავდა მნიშვნელოვან და გადაუდებელ მორალურ მიზანს.

თარგმანის ანალიზი

თარგმანის რაობა

ენა აზროვნების ენობრივი ნიშნებით გამოხატვის საშუალებაა. მეტყველება კი პირველადი თარგმანი. ენის ფენომენი განსაკურებული ყურადღების ცენტრში XX საუკუნეში მოექცა. ამის ერთ-ერთი მიზეზი და მიზანი მთარგმნელობითი პრობლემის მოგვარებაც გახდა. მოგვსენებათ საერთო პრობლემა, რომელიც თან სდევს ნებისმიერ ენას, არის უცხო ენაზე არსებული ტექსტი სხვა ენობრივი ნიშნებით შეცვლა, რაც ერთგვარ თავსატეხს ქმნიდა სამიზნე ენის ლექსიკურ მარაგში არარსებული შესატყვისობებისთვის, ვინაიდან უალსესად რთულია ერთი ენის მეშვეობით სხვა უცხო კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიის და მეცნიერული ინტელექტუალური კაპიტალის მქონე სამიზნე ენაზე ზუსტი თარგმანის შექმნა. ენა, ფილოსოფოსთა გადმოსახედიდან, მოიაზრება ეგო ცენტრულ ფენომენად. მისი მთავარი ნაწილია სუბიექტი, პირველი პირი, ესე იგი ადამიანი, რომლის გარშემოც ბრუნავს ენის ფენომენი. ადამიანი აზროვნებს, მაშასადამე აზროვნება საჭიროებს გადმოცემას, რომელიც სათავეშივე ქმნის შესატყვისობების პრობლემას. ადვილი არ არის ზუსტად გადმოცემა ის, რასაც ვფიქრობთ, ვაზროვნებთ, ან ვგრძნობთ. ერთი ენიდან მეორე ენაზე გადათარგმნა აზროვნების სათავედან, რიგით მეორე თარგმანია. პლატონის თანახმად, თარგმანი, როგორც აზროვნებაზე აზროვნება, არის მიბაძვის მიბაძვა, ხოლო თარგმანის მიზანია პირველი საზრისის ზუსტი გადმოტანა. ამ მიზეზის გამო დასაშვებია თარგმანში გაიწიროს ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე დამახინჯდეს მნიშვნელოვანი საზრისი. [რამიშვილი ვ., 2016, 2]

თარგმანი მხოლოდ კულტურათა დიალოგი არ არის. ის არის მეცნიერული, იურიდიული, ეკონომიკური, თეორიული და ინკლუზიური საქმიანობა, და მათი საბოლოო მიზანია კომუნიკაციის დამყარება. [Translation Issues in Language Usage and Law, 2009, 11]

კომუნიკაცია ის ფენომენია, რომელშიც ენა ფორმირდება, იხვეწება, ვითარდება ან პირიქით, მასში სწრაფად მკვიდრდება ბარბარიზმები, და იკარგება ნამდვილი, ისტორიულ-ლექსიკოლოგიური მემკვიდრეობა. ენა ცოცხალი ორგანიზმია. ის შეიძლება მოკვდეს, მაგრამ ამავდროულად დარჩეს პროტო ენად და ამ გზით განაგრძოს თავის მემკვიდრე ენებში არსებობა.

თარგმანის პროტო ფორმა სათავეს იღებს ანტიკური საბერძნეთიდან და მას ეწოდება ჰერმენევტიკა (ბერძ. განმარტება, თარგმნა). ჰერმენევტიკა სათავეს იღებს ანტიკური ბერძნული მითოლოგიიდან (ზევისა და მაიას ძე). მითი ჰერმესზე, რომელსაც რომაელებთან მერკური შეესატყვისებოდა. უმთავრესი მიზანი იყო ადამიანებისთვის სიკეთის გაკეთება. [Translation Issues in Language Usage and Law, 2009, 12]

ჰერმენევტიკა არის გაგების ხელოვნება, რომელმაც უნდა შეძლოს თანამედროვე ადამიანის ცნობიერების დონეზე გადმოსცეს უძველესი ამბები. ჰერმენევტიკის მეცნიერებას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და ის სათავეს იღებს ქრისტიანი მწერლების ჩანაწერებიდან, რომლებიც ბიბლიურ ტექსტებს თარგმნიდნენ ან ინტერპრეტაციას უკეთებდნენ. ჰერმენევტიკის ერთ-ერთი უძველესი წარმომადგენელია მარტინ ლუთერი, რომელმაც ბიბლია გერმანულ ენაზე თარგმნა. [რამიშვილი ვ. 2016, 2]

თარგმანი და მისი სირთულეები

თარგმანი ჰერმენევტიკული აქტია. ჰერმენევტიკამ განიცადა ევოლუციადა მოგვცა განვითარებული ეროვნული ენები, რომლებიც ვითარდებიან არა მარტო შინაგან სფეროში, შინაგანი რესურსების საფუძველზე, არამედ ასევე ლიტერატურული, კულტურული და ცივილიზაციური კონტაქტების საფუძველზეც. თარგმანის თეორიის ინტერესს წარმოადგენს

არა მხოლოდ ტექსტის სხვა ენაზე გადატანის ფორმები და მეთოდები, მას ასევე აინტერესებს ამ ტექსტის აღქმის და ფუნქციონირების თავისებურება სხვა კულტურის მქონე ერებში.

ენობრივ ნიშანს აქვს თავისი შინაარსის პლანი, რისი საშუალებითაც ხერხდება ინფორმაციის გადაცემა. ენობრივი ერთეულებიდან იქმნება გამონათქვამები, რომლებიც, ფორმის მიხედვით შეიძლება შედგებოდეს ერთი სიტყვისაგან, სიტყვათა შეთანხმებისაგან, წინადადებისგან. აზრობრივი გამონათქვამებით იქმნება ტექსტი. ნებისმიერ ტექსტს ორი აპოსტასი აქვს: ერთია-ტექსტი მოლაპარაკისთვის და მეორე-ტექსტი მსმენელისათვის. იმას, რასაც ერთი ამბობს არ ნიშნავს იმას, რომ მსმენელიც იგივენაირად გაიგებს, მითუმეტეს, თუ ერთი მოლაპარაკე უცხო ენაზე ყვება და მეორე ამას ჯერ ისმენს, მერე თავის ენაზე თარგმნის და შემდეგ თავისი ენიდან მსმენელის ენაზე თარგმნილ პასუხს უბრუნებს. [რამიშვილი ვ., 2016, 2]

სიტყვის პოლისემია ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია მთარგმნელობით მოღვაწეობაში. უფრო რთულად არის საქმე, როდესაც ენათა წყვილი არ არის მონათესავე ენები და სხვადასხვა ენათა ოჯახს ეკუთვნის. აი მაგალითად, ინგლისური და რუსული მონათესავე ენებია. ორივე მათგანი ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნის, მაგრამ არა ქართული და ინგლისური. ქართული კავკასიურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის და სულ სხვანაირი წინადადების წევრთა წყობა აქვს, განსხვავებით ინდო-ევროპულ ენათა წინადადების წყობისგან. მაგალითად ინგლისურში, არის დადგენილი წესი სუბიექტის, ობიექტის და ზმნის (SVO) თანმიმდევრობა თხრობით, კითხვით და ძახილის წინადადებაში. ქართულში არანაირად არ იცვლება მნიშვნელობა თუ ვიტყვით მე წავედი სკოლაში ან მე სკოლაში წავედი ან თუნდაც სკოლაში წავედი. ამ ბოლო მაგალითში, დაჟე არ გვაქვს მხოლოდითი რიცხვის, პირველი პირის ნაცვალსახელი მე გამოყენებული. სუბიექტური პირის, მხოლოდითი რიცხვის, პირველი პირის ნიშანი-ვ, ჩასმულია ზმნაში წავედი. ინგლისურ ენაში, დადგენილი მორფოლოგიური წესის მიხედვით, გვექნება -I went to school. ერთე-რთი საშუალება, რასაც სიტყვის ზუსტი შესატყვისობის მოძებნას გვიადვილებს და გვირთულებს კიდევ, არის ტექსტის დარგობრივი კუთვნილება. საერთო დარგობრივი მნიშვნელობით, ჩემი თარგმნილი ტექსტი

ეკუთვნის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგს, მაგრამ უფრო ვიწრო მიმართულებით ტექსტი ეკუთვნის იურიდიულ, პოლიტიკურ-ფილოსოფიურ დარგს. ეს ნიშნავს, რომ წინადადების სპეციფიკა და პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობას განსაზღვრავს მისი დარგობრივი კუთვნილება და ესა თუ ის სიტყვა არ უნდა ითარგმნოს, ისე როგორც მხატვრულ ან ზუსტ-საბუნებისმეტყველო შინაარსის მიხედვით ვთარგმნიდით.

მაგალითად, Relation ერთ-ერთი მნიშვნელობით, ნიშნავს თანათარდობას. თანათარდობა უფრო ზუსტი საბუნებისმეტყველო ენისთვის იქნება შესატყვისი, ხოლო იურიდიული სპეციფიკა ამ სიტყვასთან მიმართებით, ქმნის გარკვეულ უზუსტო და ერთგვარ უხემ წინააღმდეგობას. თანათარდობა შინაარსობრივად მიგვანიშნებს ბალანსა და ზომიერებაზე. სწორედ ამიტომ ამ ორი სიტყვის შესანიშნავ სინთემს ქმნის სიტყვა თანაზომიერება.

Relationality-ერთიერთკავშირი/თანაზომიერება [7]

This three tripartite relationality between subject, object, and content is feature of all Hohfeld's fundamental conceptions.[Rodin D., 2002, 7]-ეს სამნაწილიანი თანაზომიერება სუბიექტს, ობიექტს და შინაარს შორის, არის ჰოჰფელდის ფუნდამენტალური კონცეფციის დამახასიათებელი ნიშანი.

ამ წიგნში თანაზომიერების სინონიმსაც შევხვდით-Correlative-კორელატი; თანათარდობითი, თანათარდობა

Invariable correlatives [Rodin D., 2002, 7] – მუდმივი თანაზომიერება

Hohfeld believes, that duties and claims are 'invariable correlatives'. [Rodin D., 2002, 7]-ჰოჰფელდს სჯერა, რომ ვალდებულებები და მოთხოვნები არიან 'მუდმივ თანაზომიერებაში'.

იურიდიული თარგმანი

რა არის იურიდიული თარგმანი? რითი განსხვავდება ის სხვა დარგობრივი თარგმანისგან? პირველ რიგში განვმარტოთ იურისპუდენციის მნიშვნელობა ენობრივი კუთხით. იურიდიული ტექსტი არ განსხვავდება სამეცნიერო ტექსისგან იმდენად, რამდენადაც მკაცრად არის დაცული თითოეული სიტყვის მნიშვნელობა და ყველაზე მთავარი, რაც ახასიათებს საბუნებისმეტყველო დარგს, ესე იგი სამეცნიერო ენის ლექსიკას და იურისპუდენციას, არის ერთმნიშვნელოვანი ცნებები. იურისპუდენცია პირდაპირ უკავშირდება ერის კულტურულ კუთვნილებას ენობრივი და ისტორიული თვალსაზრისით. იურისპუდენციის ენა, განსაზღვრულია მისი სამართლის ისტორიით. სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა სამართლებრივი ისტორია, სხვადასხვა იურიდიული ენობრივი სტანდარტი და ცნებებია, რომლებიც ყველაზე დიდ დაბრკვლებას ქმნიან ზუსტ თარგმანში, და საჭიროებენ ინტერპრეტაციას, დამატებით განმარტებას უცხო ენოვანი მკითხველისთვის.

იურიდიული თარგმანი ეკუთვნის დარგობრივ თარგმანს და სტუდენტებს უწევთ ენის სპეციფიკური მიმართულებით სწავლა. ეს მიმართულება მხოლოდ იურიდიულ ინგლისურს არ მოიცავს. იურისპუდენცია მჭიდროდ არის დაკავშირებული პირველ რიგში პოლიტიკურ ფილოსოფიასთან, ისტორიასთან და სხვა უამრავ დარგთან, რომლის საზღვრებს აფართოებს პრეცედენტული სამართალი, შედარებითი სამართალი, კრიმინოლოგია, ადამიანის უფლებები და ა.შ. როგორც დევიდ მელინკოტმა აღნიშნა (1963) იურისპუდენცია სიტყვების პროფესიაა. [Translation Issues in Language Usage and Law, 2009, 11] ახალი ამბავი არ არის უცხო ენების სწავლის და თარგმნის აუცილებლობა და ეს სპეციფიკური მიმდინარეობები უფრო მნიშვნელოვანს ხდის ენის გაღრმავებულ ცოდნას ერთი მიმართულებით, რაც ზრდის და ამაღლებს პროფესიონალიზმს ერთი კონკრეტული მიმართულებით.

იურიდიული ტერმინების და იურიდიული კონცეფციების მთარგმნელობითი ანალიზი ცხადყოფს, რომ იურიდიულ განათლებაში ერთ-ერთი მიზანი, იურიდიული კომუნიკაციის

დასამყარებლად, არის სამართალსა და ენას შორის ურთიერთ კავშირის დამყარება. ეს ანალიზი ხაზს უსვამს იურიდიული კომუნიკაციის დამყარებაში კულტურის როლს, ვინაიდან იურისტები ხშირად არ იცნობენ სხვადასხვა ეროვნულ იურიდიულ კულტურებს, რამაც შეიძლება ჩამალოს და დაბრკოლება წრმოქმნას კომუნიკაციის დამყარებაში. ერთადერთი გზა, რამაც შეიძლება, რომ ეს პრობლემა თავიდან აგვაცილოს არის ისევე და ისევე ენა. უცხო ენებისა და იურიდიული თარგმანმცოდნეობის სწავლა აუცილებელია სხვა ერების კანონმდებლობის და იურიდიული კულტურის გასაგებად. ევრო კავშირის და სხვა ერების კანონმდებლობის განვითარება, თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის ფონზე, საჭიროებს მულტი ლეგალურ, მულტი კულტურულ და მრავალ ენოვან სწავლებას. დღეს მთარგმნელობითი საქმიანობა ცდება თავის საზღვრებს, და მოიაზრება ქმედით იარაღად სხვადასხვა ცოდნის შესაძენად. [International Committee of the Red Cross, www.icrc.org/document/jus-ad-bellum-jus-in-bello, 8]

იურიდიულ თარგმანში მთავარი არის ზუსტი მნიშვნელობის მოძებნა, რაც წარმოადგენს შესატყვისობის მოძიებას არა იმ მნიშვნელობით რა მნიშვნელობითაც გამოიყენება სამიზნე ენის იურიდიული კულტურის ფარგლებში, არამედ დედანის ერთგულებით და ავტორის მიერ ნაგულისხმევი აზრის შესაბამისი მნიშვნელობის და ასევე ორიგინალი ტექსტის იურიდიული განვითარების დონის შესაბამისი თარგმანის შექმნით. თარგმანი მხოლოდ ერთი ენიდან მეორე ენაზე აზრის გამოხატვის ფორმა არ არის. თარგმანის დროს შევხვდებით ნოვაციას, რაც არ უნდა დაიკარგოს ინტერპრეტაციის გზით. ის უნდა გადმოვიდეს სამიზნე ენაში და თან დაერთოს განმრტება. ესა თუ ის მრავალ მნიშვნელოვანი სიტყვა ან ცნება თარგმანში არ უნდა ინვევდეს ორაზროვნებას, რადგან იურიდიული ტექსტი უახლოვდება უფრო კოგნიტიურ მეცნიერებას, ვიდრე მხატვრულს, სადაც ავტორი ხშირად მკითხველს უტოვებს ფიქრის ფართო საზღვრებს, იმისათვის, რომ მკითხველმა იფიქროს და იაზროვნოს იმაზე, თუ რა იგულისხმა ავტორმა, ან რა ბრძნული აზრი არის ჩადებული ტექსტის მიღმა.

მოცემული მაგალითები მიზან მიმართულია სწორი და ზუსტი მნიშვნელობის დადგენისკენ.

Self-defense-თვითმოგერიება (self- თვით; defense-თავდაცვა, დაცვა)

Origin-დასაწყისი, საწყისი (აქ ტექსტში)

What is its normative **origin**? [Rodin D., 2002, 7] - რა არის მისი ნორმატიული საწყისი?

I shall begin to answer these questions **through an enquiry** into the **logical structure** of rights- [Rodin D., 2002, 7] ამ თავში, უფლებათა თანმიმდევრული აგებულების კვლევითა და უფლებების თანმიმდევრული სტრუქტურის საშუალებით ვუპასუხებ ამ კითხვებს.

through an enquiry- კვლევის საშუალებით

logical structure- თანმიმდევრული აგებულება

immediately- დაუყოვნებლივ, უშუალოდ; პირდაპირ. აქ ტექსტში: თვალსაჩინოდ

Is not **immediately transparent**- [Rodin D., 2002, 7] - არ არის თვალსაჩინოდ გამოკვეთილი.

Transparent- გამჭვირვალე; მკაფიო, ნათელი (სტილი და მისთანანი); (სალ. გულღია, გულახდილი, გულგამილი)

(ტექსტში საუბარია თვითმოგერიების უფლების ცნების არაპირდაპირ თვალსაჩინობაზე უფლებათა სფეროში, რომელსაც განეკუთვნება თვითმოგერიება)

The logical structure of rights [Rodin D., 2002, 7] - უფლებათა თანმიმდევრული (ლოგიკური) აგებულება (სტრუქტურა)

From an understanding of **the logical structure of rights**, we can attempt to identify the structure of defensive rights in their most general form. [Rodin D., 2002, 7] - უფლებათა თანმიმდევრული აგებულების (სტრუქტურის) შესწავლით, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ თავდაცვითი უფლებების ყველაზე ზოგადი ფორმა.

Reward- ჯილდო, მაგრამ ამ მაგალითში იქნება დამსახურება.

Such an account has the potential to yield significant **rewards**. [Rodin D., 2002, 7] - ამგვარ ანგარიშს, აქვს შესაძლებლობა, მოიპოვოს მნიშვნელოვანი დამსახურება.

Has the potential. [Rodin D., 2002, 7] - პოტენციის, უნარის ქონა, აქვს პოტენცია, უნარი. აქ ტექსტში: აქვს შესაძლებლობა.

To yield significant **rewards**. [Rodin D., 2002, 7] - მნიშვნელოვანი ჯილდოების მოპოვება.
აქ ტექსტში: მნიშვნელოვანი დამსახურების მოპოვება.

Framework-ჩარჩო, კორპუსი; იურ. 1. კონსტიტუცია; 2.სტრუქტურა, სისტემა; 3.ჩარჩოები
ფარგლები

Useful - 1.სასარგებლო, მარგებელი; გამოსადეგი; ვარგისი; 2. სასარგებლო; აქ.ტექსტში
-მნიშვნელოვანი

Respect - პატივისცემა, პატივი, რიდი, მონივნება (for) In many respect-მრავალი
თვალსაზრისით.

Though, jurist Wesley Newcomb Hohfeld's analysis is developed in the **context** of legal rights, his **framework** is, in many **respects**, relevant to moral rights and will provide an **useful starting point** for the moral analysis of self-defense.[Rodin D., 2002, 7]- მიუხედავად იმისა, რომ იურისტი უესლი ნიუკომბი ჰოფელდის ანალიზმა განვითარება ჰპოვა იურიდიულ უფლებათა სფეროში, მისი სტრუქტურა, მრავალი თვალსაზრისით, ეხმარება მორალურ უფლებებს და მნიშვნელოვან ათვლის წერტილს ქმნის თვითმოგერიების მორალური ანალიზში.

Starting point-გამშვები პუნქტი (აქ ტექსტში)-ათვლის წერტილი

Context- კონტექსტი, შინაარსი. აქ ტექსტში: სფერო

Contribution-დახმარება,შემწეობა; წვლილი (ნივთიერი, მცენიერული); შეწირულობა,
შესაწირი; სტატია, წერილი; თანამშრომლობა...

Multiply ambiguous-მრავალ მნიშვნელოვანი

Multiply- 1.გამრავლება, გაზრდა; 2.გაშენება (ცხოველების).

Ambiguous-ორაზროვანი, ორჭოფი; ბუნდოვანი, გაურკვეველი; იურ. საეჭვო,
გაურკვეველი, ორაზროვანი (დოკუმენტი).

Hohfeld's central **contribution** was to show that the term 'right' is **multiply ambiguous** for under that heading trade a number of quite distinct yet related **deontic** conceptions . [Rodin D., 2002, 7] - ჰოფელდის მთავარი წვლილი, მდგომარეობს ამ დასახელების პროფესიების,

საკმაოდ დამახასიათებლად გარდამრავალი მორალური ვალდებულებების კონცეფციასთან მიმართებაში, 'უფლების', როგორც ტერმინის მრავალ მნიშვნელობის ჩვენება.

Intuitive-ინტუიციური; ადვილად გასაგები მაგ.

The most **intuitive** notion with which to commence is that of a duty. [Rodin D., 2002, 7] - ყველაზე ადვილად გასაგები ცნება, რითიც უნდა დავიწყოთ, არის ვალდებულება.

Relation-ურთიერთობა, კავშირი, თანათარღობა, თანაზომიერება; დამოკიდებულება

The subject of a right, on this view, is any party whose interests are intended to be served by the existence of the normative **relation**.-ამ თვალთა ხედვიდან, უფლების სუბიექტი არის ნებისმიერი ვის ინტერესებსაც ემსახურება ნორმატიული თანაზომიერების არსებობა.

First-order normative relations[Rodin D., 2002, 7]-პირველი რიგის თანაზომიერება;

Second-order normative relations[Rodin D., 2002, 7]-მეორე რიგის თანაზომიერება.

Relational-რელატიური, ურთიერთ დაკავშირებული

It is only with a **relational** notion of duty that one can expect the fact that I may have a duty to you to perform a certain action.[Rodin D., 2002, 7]-ვალდებულების მხოლოდ ურთიერთ დაკავშირებული ცნებაა ის, რომ ვინმეს შეუძლია გამოხატოს ის ფაქტი, რომ მე მაკისრია გარკვეული ქმედების შესრულების ვალდებულება.

Relational normative conception, therefore, enables us to construct with the same conceptual tools both the lawyers call *in personam* and *in rem* claims and obligations. [Rodin D., 2002, 7] - თანაზომიერი ნორმატიული კონცეფციები უფლებას გვაძლევს, იგივე კონცეპტუალური იარაღებით შევქმნათ ორივე, რასაც იურისტები ეძახიან (*in personam* და *in rem*-ის) მოთხოვნებსა და ვალდებულებებს.

An important reason for treating the fundamental normative conceptions as **relational** in this way, is that it enables us to articulate very fine-grained normative positions. [Rodin D., 2002, 7]- მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის მიჩნეული ფუნდამენტალური ნორმატიული კონცეფციები ურთიერთ დაკავშირებულად, არის ის, რომ ის საშუალებას გვაძლევს მკაფიოდ წარმოვადგინოთ კარგად ჩამოყალიბებული ნორმატიული პოზიციები.

ლინგვისტური ნასესხობები

ორიგინალურ ტექსტში ხშირად შევხვდებით ნასესხობებს სხვა ენებიდან, რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი განმარტება ან ინტერპრეტაცია. მაგ., ომბუდსმენის - Ombudsman, ინგლისურში დამკვიდრდა გერმანული იურიდიული ენიდან, მაგრამ მისი წარმომავლობა მოდის სკანდინავიური სიტყვიდან „ომბუდ“, რაც ნიშნავს ელჩს, დელეგატს. ომბუდსმენი შვედური სიტყვაა, მაგრამ ქართულში ინგლისურ ენოვანი იურიდიული ტექსტებიდან შემოვიდა. ომბუდსმენი, როგორც პირი აღნიშნავს სახალხო დამცველს, რომელიც მოქალაქეებს, ან მოქალაქეობის არ მქონე პირებს იცავს ადმინისტრაციული დანაშაულისგან. ომბუდსმენი, როგორც აპარატი კი ახორციელებს ზედამხედველობას საზოგადოებაზე და განიხილავს საზოგადოების მხრიდან შემოსულ საჩივრებს. ეს სიტყვა იმ უცხო სიტყვათა სიას ეკუთვნის, რომელიც შემოსვლის დღიდან აქტიურად იკავებს თავის ეტიმოლოგიურ ფონეტიკურ შესატყვისობას, მსგავსად ტოლერანტობა, კრეატიულობა და ა.შ. [nplg.gov.ge, 10]

ახლა გადავიდეთ უშუალოდ დ. როდინის მონოგრაფიაში „ომი და თვითმოგერიება“ არსებულ ნასესხობებზე. პირველი სიტყვა, რომელსაც ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში თარგმანი არ მოეძებნა [ლექსიკონი: გვარჯალაძეები თ. და ი., 2003, 2] და მაიძულა მონოლინგვისტურ ლექსიკონში [ლექსიკონი: ყაუხჩიშვილი ს., 1961, 5] მომეძებნა მისი განმარტება იყო Deontic - ბერძ. Deon-სავალდებულო. პირველად ინგლისურ ენაში გამოყენებული გვხვდება 1951 წელს და ნიშნავს მორალურ ვალდებულებას, მორალური ვალდებულების. [ლექსიკონი: Merriam-webster.com, 6]

Hohfeld's central contribution was to show that the term 'right' is multiply am ambiguous for under that heading trade a number of quite distinct yet related **deontic** conceptions. [Rodin D., 2002, გვ.17, 7].-ჰოჰფელდის მთავარი წვლილი მდგომარეობს იმის ჩვენებაში, რომ ამ

დასახელების პროფესიაში დიდი რაოდენობის, საკმაოდ გამოკვეთილი მორალურ ვალდებულებებთან დაკავშირებითაც კი ტემინს 'უფლება' აქვს მრავალი მნიშვნელი.

Yet-ჯერ კიდევ, კიდევ; ამას გარდა, დამატებით; -ც კი, კიდევ; იქამდე, იმდრომდე; სანამ, მანამ (აქ გამოყენებული -ც კი)

Whereas the first-order relations concern the **deontic** modalities (required/forbidden/permissible), the second-order relations, having to do with what is within one's power, invoke the **alethic** modalities (necessary/impossible/possible) [Rodin D., 2002, გვ. 21, 7] - მაშინ როდესაც, პირველი რიგის თანაზომიერება დაკავშირებულია **მორალურ ვალდებულებათა** მოდალობასთან (მოთხოვნილი/აკრძალული/ნებადართული), მეორე რიგის თანაზომიერება, იმის დასადგენად, თუ რას ნიშნავს ძალაუფლება, საჭიროებს უტყუარ მოდალობას (აუცილებელი/შესაძლებელი/შეუძლებელი). მოცემულ წინადადებაში ვხვდებით ბერძნული ეტიმოლოგიის სიტყვას, რომლის ქართული განმარტება ვერ მოიძებნა ჩემს მიერ გამოყენებულ ლექსიკონებში [ლექსიკონები: გვარჯალაძეები თ. და ი., 2003, 2; ბერულავა რ., 2006, 3] მსგავსად სიტყვისა 'deontic', და ასევე ვერ მოვიძიე ქართული შესატყვისობა შემდეგი, ბერძნული წარმოშობის სიტყვის alethic, რაც ნიშნავს ჭეშმარიტებასთან, სიმართლესთან დაკავშირებულს; ჭეშმარიტების, სინამდვილის. პირველად ინგლისურ ენაში მის გამოყენებას, სწორედ ამგვარი მნიშვნელობით ვხვდებით 1898 წელს.(ბერძ. Alethikos მიიღება aletheia-დან სიმართლე). მე გამოვიყენე შესატყვისობა - უტყუარი. [ლექსიკონი: merriam-webster.com, 6]

Claim, duty, liberty and no-claim form the first-order **deontic** conceptions of Hohfeld's system. [Rodin D., 2002, გვ.20, 7] - მოთხოვნა, ვალდებულება, თავისუფლება და არ-მოთხოვნა, აყალიბებენ ჰოჰფელდის სისტემის პირველი რიგის მორალური ვალდებულებების კონცეფციებს.

Deontically-მორალურ ვალდებულებითი

This view is motivated by the plausible assumption that to be effective, even rights principally directed towards protecting liberties require more than the **deontically** unconstructed

choice implicit in a full liberty [Rodin D., 2002, გვ.23, 7].- ეს შეხედულება მოტივირებულია იმ სარწმუნო ვარაუდით, რომ იმისათვის, რომ იყოს ეფექტური, (აქ საუბარია ჰოპფელდის უფლებათა თანაზომიერების ეფექტურობაზე), ის უფლებებიც კი, რომლებიც მიმართულია უფლებების დასაცავად, საჭიროებენ უფრო მეტს, ვიდრე სრულ თავისუფლებაში ნაგულისხმევ, მორალური ვალდებულებით, ნებაყოფლობით არჩევანს.

In personam-ლათინური ფრაზაა და ნიშნავს კონკრეტულ პირთან დაკავშირებულს, კონკრეტულ პირზე გამიზნულს, პირის საწინააღმდეგოს. მაგ. Actio in personam - სარჩელი პიროვნებისადმი; Agere in personam - მოქმედება პირის წინააღმდეგ [ლექსიკონი; ყაუხჩიშვილი ს., 1961, 5]

In rem – (ლათ.), ნიშნავს რაღაცის მიმართ ან რაღაცის საწინააღმდეგო ძალას, ძალაუფლებას, უფლებამოსილებას. Actio in rem - სანივთო სარჩელი; Post rem - გარიგების დადების შემდეგ; Pactum in rem Attornare rem - ნივთის გადაცემა. [ლექსიკონი; ყაუხჩიშვილი ს., 1961, 5]

Relational normative conceptions, therefore, enables us to construct with the same conceptual tools both what the lawyers call *in personam* and *in rem* claims and obligations [Rodin D., 2002, გვ.18, 7]. მაშასადამე, თანაზომიერი ნორმატიული კონფიციები, უფლებას გვაძლევს იგივე კონცეპტუალური იარაღებით, შევექმნათ ორივე, რასაც იურისტები ეძახიან პირთან და საქმესთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები.

შემდეგი ლათინური ფრაზა, რომელსაც შევხვდი არის *inter alia* - სხვებს შორის;

They also require duties on the part of others to, *inter alia*, assist with and not to obstruct the exercise of that liberty [Rodin D., 2002, გვ.23, 7]. სხვა მხრივ, ისინი ასევე საჭიროებენ ვალდებულებებს, სხვათა შორის თავისუფლების გამოვლენის ხელშეწყობას და არა დაბრკოლებას.

Ex hypothesi - ვარაუდიდან, გადმოსახედიდან [nplg.gov.ge, 10]

In such a case the rights of the third party defender cannot derive from, or be a corollary of, the defensive rights of the victim for *ex hypothesi* he has none. [Rodin D., 2002, გვ.32, 7] - ასეთ

შემთხვევაში, მსხვერპლის თავდაცვითი უფლებებიდან ვერ გამოვიყვანოთ და ვერც შედეგად მოგვცემს მესამე მხარის დამცველის უფლებებს, ამ გადმოსახედიდან მას არაფერი აქვს.

Prima facie – (ლათ.) ერთი შეხედვით. [nplg.gov.ge,10]

მაგ. For if we agree that the attainment of security is a basic human imperative and that the establishment of a law-governed political association is the principal means to achieve this, then this reasoning suggests a *prima facie* for the establishment of a universal or global political association, one which is not marred by the existence of a state of nature at any level. [Rodin D., 2002, გვ.146, 7] თუ შევთანხმდებით, რომ უსაფრთხოების მიღწევა არის ძირითადი ადამიანური მნიშვნელობის მქონე საკითხი და სწორედ ეს სამართლიანად მართული პოლიტიკური გაერთიანება არის ამის მიღწევის პრინციპული მნიშვნელობა და არა ის დასაბუთებული წინადადებები, რომლებიც ერთი შეხედვით გვთავაზობენ უნივერსალურ თუ საყოველთაო პოლიტიკურ გაერთიანების ჩამოყალიბებას, რომელიც ბუნებრივი მდგომარეობის არსებობით არ არის გაუარესებული ერთ, რომელიმე საფეხურზე მაინც. (აქ ავტორი საუბრობს უნივერსალური სახელმწიფოს დადებით და უარყოფით მხარეებზე. „პოლიტიკურ გაერთიანება“, ნიშნავს ჰობსის უნივერსალურ სახელმწიფოს) [Rodin D., 2002, 7]

Ipsa facto-(ლათ.)თვითონ ფაქტის ძალით. [ლექსიკონი; 4]

მალითად: It would be certainly be possible to claim that states which engage in international aggression are *ipso facto* illegitimate. [Rodin D., 2002, გვ.148, 7] ეს უდაოდ გვაძლევს საშუალებას დავამტკიცოთ, რომ სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო თავდასხმაში მონაწილეობის მიღება, ფაქტურად არაკანონიერია.

Qua (ლათ.) როლში, როგორც, რაღაცაიდან, -ით. მაგალითად:

Causa qua supra - ზემოთ მოყვანილი მიზეზით; Condicio a qua - პირობა რაღაცაიდან; Condicio sine qua non - პირობა, რომლის გარეშეც არ; Qua supra - როგორც ზემოთ ითქვა; Sine qua non - რის გარეშეც არ. [ლექსიკონი; 4]

In international law states have rights against aggression *qua* sovereign states, not because they embody a particular form of political order [Rodin D., 2002, გვ.148, 7]- საერთაშორისო სამართალში ქვეყნებს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოებს, აქვთ აგრესიის წინააღმდეგ მიმართული უფლებები, არა იმიტომ, რომ ისინი გაერთიანებული არიან ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ წყობაში.

შემდეგ მოცემული ლათინური ფრაზები ვერ მოვიპოვე აღნიშნულ ლიტერატურაში [ლექსიკონი; 4]. მისი მნიშვნელობის გასარკვევად დამჭირდა, დამატებითი სხვა ლათინური ენის წიგნები. [ლექსიკონი; 1]ერთ-ერთ განმარტებას თვითონ ეს წიგნი „ომი და თვითმოგერიება“ გვანდის. [Rodin D., 2002, 7] აქ წერია, *Jus in bello* და *Jus ad bellum* არის წესების ნუსხა. მე მსურს შემოგთავაზოთ ორიგინალი ტექსტი თავისი თარგმანით და ასევე ამ ფრაზების ბნკარედული თარგმანიც.

მაშ ასე: There is a fascinating intellectual history behind these questions, and confronting them will enable us to apprehend a tension which goes to the very heart of the Just War Theory. It is a tension implicit in the distinction between *jus in bello* and *jus ad bellum*. These two sets of rules, the former specifies what one may rightly do in war, the latter when one may rightly go to war, are presented by lawyers and Just War Theorist as two components of a unified moral and legal framework of war. But in reality they are two very different ways of thinking about the justice of war, each making very different assumptions. Put simply, *jus ad bellum* begins from the assumption that war is an illegal activity whose legitimate use is limited to, at most, one side of a given dispute. *Jus in bello*, on the other hand, assumes that the war is a law-governed and hence implicitly lawful activity with entitlements and restrictions that accrue equally to both sides. [Rodin D., 2002, გვ.166, 7] - ამ შეკითხვების უკან დგას გასაოცარი ინტელექტუალური ისტორია...

(შეკითხვებში იგულისხმება წინა აბზაცში დასმული კითხვები, რომლებსაც ორიგინალის და თარგმანის სახით შემოგთავაზებთ ასევე:

But why should soldiers escape responsibility for the unjust wars in which they fight? [Rodin D., 2002, 7] - მაგრამ რატომ უნდა გაეცნენ ჯარისკაცები უსამართლო ომის პასუხისმგებლობას, სადაც ისინი იბრძვიან?

But how can soldiers whose very war is unjust be engaged in an activity for which they are free of fault? [Rodin D., 2002, გვ.166, 7] - მაგრამ როგორ შეიძლება ჯარისკაცები იგივე უსამართლო ომისთვის იყვნენ ვალდებულნი ქმედებისთვის, რისი ბრალისგანაც თავისუფლები არიან?

...და მათთან წინააღმდეგობის განწევა საშუალებას მოგვცემდა შეგვებოჭა დაძაბულობა, რომელიც მიდის „სამართლიანი ომის თეორიის“ ცენტრალური ნაწილისკენ. ეს არის *jus in bello* და *jus ad bellum*-ს შორის არსებულ სხვაობაში ნაგულისხმევი დაძაბულობა. წესების ამ ორი ნუსხიდან, რომლებიც წარმოდგენილია იურისტების და სამართლიანი ომის თეორეტიკოსების მიერ, როგორც ომის გაერთიანებული მორალური და იურიდიული დადგენილების ორი კომპონენტი, პირველი ზუსტად განსაზღვრავს რისი კეთება ეთვლება პირს მართლზომიერად ომში, მეორე კი, განსაზღვრავს როდის შეუძლია პირს სამართლიანად ომში წასვლა. მაგრამ სინამდვილეში ესენი არიან სამართლიანი ომის შესახებ აზროვნების ორი ძალიან განსხვავებული გზა, სადაც თითოეული გამოთქვამს ძალიან განსხვავებულ ვარაუდს. მარტივად, რომ ვთქვათ *jus ad bellum* მოდის იმ ვარაუდიდან, რომ ომი არის არაკანონიერი ქმედება, რომლის ლეგიტიმური გზით გამოყენება შეზღუდულია მოცემული დებატის ერთი მხარის უმეტესი ნაწილით. *Jus in bello* მეორე მხრივ, უშვებს იმ მოსაზრებას, რომ ომი არის კანონით და აქედან გამომდინარე, სამართლიანი ქმედების უფლებით და შეზღუდვებით მართული, რაც თანაბრად ანიჭებ უფლებას ორივე მხარეს.

ესე იგი, *Jus in bello* და *Jus ad bellum* არიან სამართლიანი ომის შესახებ შექმნილი წესების ნუსხა, რომელსაც აღიარებს საერთაშორისო სამართალი. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის განმარტებით *Jus in bello* არის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, რომელიც გამოიყენება საომარი მოქმედებების დროს. საერთაშორისო

ჰუმანიტარული სამართალი ეძებს ტანჯვა-წამების მიზეზი ამლკვეთ გზებს. ის ნაკლებად ეხება მართლმსაჯულების ან საომარი ვითარების მიზეზებს რომლებსაც იცავს Jus ad bellum. [www.icrc.org/document/jus-ad-bellum-jus-in-bello, 8]

Jus in bello-ს და Jus ad bellum-ს შორის განსხვავება შედარებით გვიან გამოიკვეთა. მათ შორის ადრე ვერ დგინდებოდა მკაფიო სხვაობა. ეს ტერმინები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გახდნენ სამართლიანი ომის შესახებ შექმნილი თეორიების საგანი.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიზანია ომის მსხვერპლთა დაცვითა და დახმარებით ომით გამონვეული ტანჯვა-წამების აღკვეთა. ეს სამართალი ამიტომ არის მიმართული კონფლიქტური რეალობისკენ იურიდიული მიზეზების დასახელების და ძალოვანი სტრუქტურის მიმართვის გარეშე. ეს სამართალი კონფლიქტის მხოლოდ ჰუმანიტარულ საკითხებს არეგულირებს. ეს ცნობილია როგორც jus in bello (law in war - ომის კანონი). საკვებით მომარაგება ხდება მონინაალმდევე მხარეებს შორის. Jus ad bellum (law on the use of force - ძალის გამოყენების კანონი) ან jus contra bellum (law on the prevention of war - ომის პრევენციის კანონი) ეძებს სახელმწიფოებს შორის ძალოვანი სტრუქტურის გამოყენების აღკვეთის გზებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის თანახმად, ქვეყნებმა თავი უნდა შეიკავონ ტერიტორიული მთლიანობის თუ სხვა სახელმწიფოსგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად ძალოვანი სტრუქტურის გამოყენებისგან. ამ კანონის გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს თვითმოგერიება, სადაც ნება დართულია სახელმწიფომ თავის დაცვის და გადარჩენის მიზნით, გამოიყენოს ძალოვანი სტრუქტურა აგრესიის წინააღმდეგ. [www.icrc.org/document/jus-ad-bellum-jus-in-bello, 8]

საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში ძნელია იმის დადგენა თუ რომელი სახელმწიფოს ბრალია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის დარღვევა. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენება არ მოიცავს დამნაშავე მხარეების დენონსირებას, რადგან ეს გამოიწვევს დაპირისპირებას და სამართლის აღდგენის პარალიზებას. [www.icrc.org/document/jus-ad-bellum-jus-in-bello, 8]

ომის შესახებ აზროვნების ამ ორ ანტაგონისტურ მიდგომის უკან დგას ძლიერი ისტორიული მიზეზები და მათი ერთმანეთში არევის ძლიერი პრაგმატული მიზეზი. ისტორიულად, წესების ეს ორი ნუსხა მომდინარეობს სხვადასხვა წყაროებიდან. *Jus in bello* (law in war - ომის კანონი) შუა საუკუნეების სარაინდო კოდექსიდან, მეზრდოლთა კლასების თვით-რეგულაციიდან იღებს სათავეს. *Jus ad bellum* კი გამოგონილია საეკლესიო პირების და იურისტების მიერ და წრმოადგენს ფუნდამენტალურ გამოწვევას რაიდებზე გავრცელებული მოსაზრებისათვის, რომლის თანახმად სამხედრო ცხოვრება და კეთილდღეობა არის მისაღები და საქმიანობის კეთილშობილური ფორმა. შუა საუკუნეების სიტყვების ძველი თამაში *militia* - ს (ლათ. „სამხედრო სამსახური“, მილიცია), აიგივებს *malitia*-სთან (ლათ. ბოროტი განზრახვა, სიძულვილი), ეს გახლავთ მთავარი დამოკიდებულება *jus ad bellum*-თან. პრაგმატულად, როგორც არ უნდა იყოს, ორი იდეის ერთმანეთთან შეერთებით იურისტებს და ჰუმანიტარებს საშუალებას აძლევს სიბოროტის რეგულაციაზე და შემცირებაზე მოახდინონ ორმაგი მოქმედება. [Rodin D., 2002, გვ.169, 7]

Militia (მილიცია) სამხედრო სამსახური, სამხედრო ვალდებულება, საბჭოთა კავშირში სახელისუფლებო ორანო, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. [ლექსიკონი; 4]

Militia armata- შეიარაღებული სამხედრო სამსახური, იმპერატორ კონსტანტინუსის დროიდან: კოჰორტა, სამხედროს სამსახური [ლექსიკონი; 4]

Militia cohortalis- პირადი დაცვის სამსახური. იმპერატორი კონსტანტინუსის დროიდან სამოქალაქო სამოხელეო სამსახური [ლექსიკონი; 4]

Militia pedestris- ქვეითი ჯარი [ლექსიკონები; 4]

სიტყვასიტყვითი თარგმანი:

Jus ad bellum-კანონი ომისთვის; *bellum* - ომი, *ad* - წინდებული -ში, -კენ, -თვის

Jus in bello-ომის კანონი, *bello* - ვიბრძვი, *in* წინდებული -ში

Jus 1. კანონი 2.სამართალი, როგორც სისტემა. Jus divinum - სამეფო სამართალი [ლექსიკონი; ყაუხჩიშვილი ს., 1961, 5]

ქართული ენის ერთ-ერთი სალიტერატურო ნორმის თანახმად, სიტყვის გამოყენების ნებას რთავს მისი გავრცელებულობის მიხედვით. თუ სიტყვა შემოსულია და ქართულ განმრტებას საჭიროებს, ამ ნორმის თანახმად, მისი გამოყენება არ ჩაითვლება სალიტერატურო ნორმის დარღვევად. [Putkaradze.ge, 6] შემდეგი სიტყვა, რომელიც ჩვეულებრივ გავრცელებულია და დამკვიდრებული ფილოსოფიაში, რამეთუ მსგავსი სიტყვები უმალ მკვიდრდება ენაში, როგორც კი შემოვა, მისი მეცნიერული არსიდან გამომდინარე, არის კონსიკვენციალიზმი, ანუ შემეცნება. ამ თეორიის თანახმად, ქმედების ღირებულება და განსაკუთრებით მორალური ღირებულება უნდა შეფასდეს შედეგების მიხედვით. ამ სიტყვის პირველ გამოყენებას, ამ მნიშვნელობით ინგლისურ ენაში, ვხვდები 1982 წელს. [ლექსიკონი; 6]

Consequentialist-ეთიკური,კონსიკვენციალისტური

Consequentialism-ქცევის ეთიკა, კონსიკვენციალიზმი

When we use the vocabulary of rights, we are appealing to a form of moral considerations distinct from, and potentially opposed to, other aspects of morality such as consequentialist considerations and virtues. [Rodin D., 2002, 7]- როდესაც ვიყენებთ უფლებათა ტერმინოლოგიურ ლექსიკას ჩვენ მივმართავთ მორალური მოსაზრების განსხვავებულ და პოტენციურად სანინააღმდეგო ფორმის ჩამოსაყალიბებლად, მორალის სხვა ისეთი საკითხებისგან, როგორც არის კონსიკვენციალისტური მოსაზრება და სათნოება.

They have a particular role in standing against, and placing limits upon, what may be called 'goal-based' moralities such as consequentialism. [Rodin D., 2002, 7] - მათ აკისრიათ განსაკუთრებული როლი და აწესებენ შეზღუდვებს, რომლებსაც შეიძლება ეწოდოთ 'მიზანზე დაფუძნებული მორალი, როგორც არის კონსიკვენციალიზმი.

Logical-ლოგიკა, ლოგიკური; თანამიმდევრული

The logical structure of rights [Rodin D., 2002, 7]- უფლებათა თანამიმდევრული აგებულება

Simple-მარტივი, უბრალო, სადა; პირდაპირი, გულმართალი, პატიოსანი; გულუპყვილო, მიამიტი; აშკარა, ნამდვილი

Simple liberty. [Rodinn D., 2002, 7] - ნამდვილი თავისუფლება ან ნამდვილი უფლება (genuine right-ნამდვილი უფლება)

Framework-ჩარჩო, ფარგლები; სტრუქტურა; კონსტიტუცია. აქ ტექსტში: ჩონჩხი

Hohfeld's scheme has provided a useful **framework** for analyzing the right of self-defense and has enables us to obtain in a good understanding of its underlying **logical** structure. [Rodin D., 2002, 7] - ჰოჰფელდის ცხრილმა მოგვანოდა სასარებლო ჩონჩხი თვითმოგერიების უფლების გასაანალიზებლად და შესაძლებელი გახდა საუკეთესოდ ჩავწვდომოდით მის ფესვებში არსებულ გონივრულ სტრუქტურას.

Relevant-მართებული, დროული, შესაბამისი; საფუძვლიანი; რომელსაც საქმესთან კავშირი აქვს, საქმესთან დაკავშირებული (აქ ტექსტში თავმნილია, როგორც დაკავშირებული-იურიდიულ უფლებათა სფეროსთან დაკავშირებული. აქვე; სიტყვა სფერო შესატყვისება სიტყვას-context)

Three-legged stool - სამფეხა სკამი; სამ მნიშვნლიანი ელემენტი.

The moral grounding of defensive rights may be visualized as **a stool with three legs**. Each leg of the explanation centres on a **particular** normative relationship between the elements **associated with the right**. [Rodin D., 2002, 7]- თავდაცვით უფლებათა მორალური საფუძველი შეიძლება წარმოვადვინოთ სამ მნიშვნლიანი ელემენტის სახით. თითოეული მნიშვნელი, კონცენტრირებულია გარკვეულ ნორმატიულ ურთიერთ მიმართებაზე იმ წევრებს შორის, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ უფლებასთან. - მოცემულ წინადადებაში სიტყვა particular, აღნიშნავს კონკრეტულს, გარკვეულს. წინადადების ბოლოში სწერია: associated with the right-განსაზღვრული არტიკლი the აღნიშნავს სიტყვას გარკვეულს, კონკრეტულს. ამ შემთხვევაში გარკვეულ უფლებას.

ახლა, აგისნით, თუ რატომ ვთარგმნე „სამფეხა სკამი“ სამ მნიშვნელიან ელემენტად. შემდეგი წინადადების მაგალითით თუ ვიმსჯელებთ საუბარია ამ სამ ფეხა სკამის თითოეული ფეხის მნიშვნელობაზე. წინადადება იწყება ასე: „პირველი ფეხი დაკავშირებულია...“ ქართულში ფეხი და მისი თუნდაც კონტექსტუალური მნიშვნელობა, (სკამის ფეხი), უხეშად უღერს და ამიტომ, ტექსტის მეცნიერული შინაარსიდან გამოდინარე, სამართლიანად მივიჩნე ამ სიტყვის ჩემეული თარგმანის შემოთავაზება და იქნება: პირველი მნიშვნელი დაკავშირებულია... ესე იგი, სამ მნიშვნელიანი ელემენტის პირველი მნიშვნელი დაკავშირებულია...

The first leg concerns the relationship between the agent which possesses the right and the good which the defensive right action is intended to preserve or protect; in other words between the subject and the end of right. [Rodin D., 2002, 7] - პირველი მნიშვნელი დაკავშირებულია პირთან, რომელიც ფლობს უფლებასა და სიკეთეს, რის გადასარჩენად და დასაცავადაც არის მიმართული თავდაცვითი უფლება; სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ეს მნიშვნელი დგას სუბიექტსა და უფლების სამიზნეს შორის.

ამ წინადადების ბოლო სამის სიტყვით გადავდივარ შემდეგ საკვანძო საკითხზე, რომელიც თარგმნის განმავლობაში შემხვდა და ლათინურ ფრაზებს თუ არ ჩავთვლით, ის იყო ყველაზე დამაბნეველი სიტყვა მთელს ტექსტში, ეს არის End of right. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ სიტყვა end ნიშნავს დასასრულს. მაგრამ ამ სიტყვას აქვს, რიგით მეორე მნიშვნელობა და ეს არის მიზანი. მაშასადამე, სიტყვა end, მოცემულ ტექსტში არსებულ ყველა წინადადებაში, სადაც კი გვხვდება, აღნიშნავს მიზანს და არა დასასრულს, სასრულს.

It would seem, in fact, that all defensive rights have a part of their foundation some normative relationship between the subject and **end** of the defensive action. [Rodin D., 2002, 7] - სინამდვილეში, აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველ თავდაცვით უფლებას სუბიექტსა და თავდაცვითი მოქმედების მიზანს შორის, როგორც ძირეული ნაწილს, აქვთ რაღაც ნორმატიული ურთიერთ მიმართება.

Rights of defensive which arise from specific or general duties of care towards the end of the defensive action, on the other hand, consists of a half-liberty combined with a duty to act in defensive. [Rodin D., 2002, 7] - თავდაცვითი უფლებები, რომლებიც მიდიან სპეციფიკური ან ზოგადი ზრუნვის ვალდებულებიდან თავდაცვითი ქმედების მიზნისკენ, მეორე მხრივ, შეიცავს ცალმხრივი უფლებისა და თავდაცვითი ქმედების ვალდებულების კომბინაციას.

If a right of defensive is derived from a right to **end** of defensive action, then it will generally be a full liberty, in other words **one** will be free to defend the end or not as one sees fit. [Rodin D., 2002, 7] - თუ თავდაცვითი უფლება სათავეს იღებს თავდაცვითი ქმედების მიზნიდან, მაშინ ის, ზოგადად, იქნება სრული თავისუფლება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირი თავისუფალი იქნება სამიზნეს დაცვისგან, თუ არა, მაშინ ისე, როგორც პირი იფიქრობს იმ წუთას, ისე მოიქცევა.

One-ერთი, ერთადერთი; ერთსულოვანი, გაურკვეველი; ერთი ვინმე, ვილაც; იურიდიულ ტექტში, ერთი ვინმე, ვილაც, მსგავსი ზოგადი მნიშვნელობის სიტყვები, რომლებიც გამოიყენება მაგალითებში, თეზისებსა და კაზუსებში, ნიშნავს პირს. [ლექსიკონი: გვარჯალაფეხები თ. და ი., 2003, 2]

სიტყვას აქვს არა მარტო საზრისი და მნიშვნელობა, არამედ ასევე კონოტაციები და ასოციაციები, რომლებიც განპირობებულია ერის ისტორიითა და მენტალობით. განსხვავებული ენები განსხვავებულად გამოხატავენ და ასახავენ ძალაუფლებრივ იერარქიას. ენა ეგოცენტრული იერარქიაა და ამიტომ დრო და სივრცე ორგანიზებულია პირველი პირის გარშემო. ენის მეშვეობით ადამიანი წარმოდენილია, როგორც სუბიექტი, რომლის გარშემო არის მონესრიგებული ყოველი არსებული. სუბიექტი არის ძალაუფლება, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ყოფიერების ხასიათი. ქართულ ენაში სუბიექტის უპირატესობას ადასტურებს ძლიერი ზმნის არსებობა. ქართულ ენაში მთავარია თუ ვინ „ბრძანა“, ვინ „განახორციელა“ და არა ის თუ რა იქნა განხორციელებული და გაკეთებული. [რამიშვილი ვ., 2016, 2]

ენობრივი ნიშნების რეალური გამოყენება განისაზღვრება, მეტყველების ნორმით ან „უზუსით“. ყოველ ენაში არის ენობრივ ფორმები და სტრუქტურები, რომლებსაც აქტიურად იყენებენ. ინგლისურში ვამბობთ, მაგ.: „In other words“: ქართულში ვიტყვით: სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ან სხვა სიტყვებით, რომ გადმოვცეთ. ართული მკვეთრად ჩანს პირველი სუბიექტური პირის ნიშანი „ვ“ და ძლიერი ზმნა „ვთქვა“, „გადმოვცე“, ხოლო ინგლისური ვერსია კი სიტყვა სიტყვით ითარგმნება შემდეგნაირად: „სხვა სიტყვებით“. [Rodin D., 2002, 7]

საკუთარი სახელების მართლწერა

საკუთარი სახელი ის არსებითი სახელია, რომელიც არ ითარგმნება. სხვადასხვა ენას სხვადასხვა ფონეტიკური ფონდი აქვს. ყოველი ბგერა ვერ მოგვცემს ერთი და იგივე ბგერის ზუსტ ფონეტიკურ შესატყვისობას. მაგ.: რუსული ასობგერა IO ინგლისურში ზუსტად გადავა და საკუთარი სახელი IOPA, იქნება URA. ქართულ ენაში ანალოგიური ბგერის არარსებობის გამო, საკუთარი სახელის პირველი ასო ბერის განსხვავებული შესატყვისობის ძებნა გვიხდება. ჩვენ ეს ბგერა ფონეტიკურად უნდა ვთარგმნოთ და ეს საკუთარი სახელი გამოითქმევა, როგორც იურა.

David Rodin-დევიდ როდინი, თუმცა ინგლისურად გამოითქმის დევიდ და არაფერი უდგას წინ ამ საკუთარ სახელს ანალოგიურად გამოითქვას ქართულადაც, ჩვენი ლინგვისტური ფონდი ამის საშუალებას არ იძლევა, ვინაიდან ჩვენ მსგავსი სახელი ‘ეი’ ხმოვნების მიმდევრობით არ გაგვაჩნია, თუმცა იგივე ხმოვნების მიმდევრობის სხვა საკუთარი სახელი თეიმურაზი კეთილ ხმოვნების მიზნით გადაკეთდა და სალაპარაკო ენაში მოგვცა თემური და არა თეიმური.

Wesley Newcomb Hohfeld-უესლი ნიუქომ ჰოჰფელდი

წინადადების თავში ასო ბგერა w იკითხება როგორც უ, ხოლო უე დიფთონგი განპირობებულია მისი შემდგომი ხმოვნის არსებობით, რომელიც ზოგ შემთხვევაში იკითხება

როგორც o ან e . New-ნიუქომ; comb-mb ერთად როდესაც გვხვდება b აღარ გამოითქმის, ამიტომ გვაქვს ნიუქომ და არა ნიუქომბ

Joel Feinberg-ჯოელ ფაინბერგი

ei დიფთონგი იკითხება ორ ნაირად: ეი და აი. გვართან მიმართებაში იკითხება, როგორც აი.

Thomas Hobbes-თომას ჰობსი

გვარის ბოლოდან მეორე ასე არის მუხჯი e , და ინგლისური სიტყვების უმეტეს ნაწილში, თუ ის ბოლო მარცვალში წერია იკვეცება და საერთოდ არ გამოითქმის.

L.W, Sumner-ლ.უ.სამნერი

H.L.A. Hart-ჰ.ლ.ე. ჰარტი

Roland Dworkin-როლანდ დუორკინი

დიფთონგი wo გვაძლევს უო შესატყვისობას

Jeremy Waldron-ჯერემი უოლდრონი ასო ბგერა A -ს, და ასო ბგერა L -ისწინ a იკითხება, როგორც o , ამიტომ wa იკითხება, როგორც უო

Jeremy Bentham-ჯერემი ბენტემი

ინგლისურიში th თანხმოვანთა წყვილი გამოითქმის ორ ნაირად, როგორც რბილი t და როგორც ჩლიფინა s . ქართულში ამ ბგერების და შესაბამისად გრაფიკული გამოსახულების არარსებობის გამო მოცემული კონსონანტის წყვილი გადმოვა, როგორც t .

Joseph Raz-ჯოზეფ რაცი, ჯოზეფ რასი

გერმანიკულ ენათა ჯგუფს ახასიათებს ასო ბგერა z გამოთქმა როგორც z და s . ინგლისელები ამ გვარს გამოთქვამენ როგორც რასი, ხოლო გერმანელები-რაცი

David Lyons-დევიდ ლიონსი

დიფთონგი yo იკითხება, იო და არა აია როგორც გვაქვს სიტყვაში lion - ლაიან-ლომი, რადგან ამ სიტყვაში წერტილიანი i , გამოითქმის ანბანური წესის მიხედვით - აი, ხოლო ასობგერა y , მართალია ანბანუსი წოდებაა ვაი, მაგრამ სიტყვებში ის ყოველთვის გამოითქმის, როგორც o და გვიადვილებს ამ შემთხვევაში გვარის ლიონსის სწორ ტრანსკრიფციას.

George Fletcher-ჯორჯ ფლეჩერი

'tch' კონსონანტთა მიმართება უნდა დაეშალოს ორ ნაწილად t - თ და ch - ჩ. როდესაც ისინი ერთად ხვდებიან სიტყვაში და მათ შორის ხმოვანი არ დგას, გამოითქმის მხოლოდ ჩ.

Eric D'Arcy-ერიკ დე არკი

Hugo Grotius-ჰიუგო გროტიუსი ქართულში ასო ბგერა u-ს შესაბამისი ხმოვნის არარსებობის გამო, ეს ხმოვანი გადმოდის, როგორც უო.

Oliver Wendell Holmes-ოლივერ უენდელ ჰოლმზი

[Rodin D., 2002, 7]

მთარგმნელობითი საკითხები იურიდიულ ენაში

თანამედროვე მსოფლიოში ბიზნესში, მეცნიერებასა და კულტურაში, მზარდი გლობალიზაციის ფონზე, გაიზარდა კომუნიკაციის საჭიროება განსაკუთრებით იურიდიულ საკითხებში. იურიდიული სისტემები განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში. ეს განსხვავება დიდ საფიქრალს უჩენს მთარგმნელებს მეცნიერული კონცეფციების თარგმანში. იურიდიული სისტემაც, გარკვეულ წილად, განიცდის გლობალიზაციას და ნელ-ნელა ინერგება უცხო ტერმინოლოგია საქართველოშიც. მაგალითად: ომბუცმენი, იუსტიცია, ტოლერანტობა... იურიდიული ენის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ თანმიმდევრულად და ზუსტად უნდა გადმოსცემდეს ორიგინალი ტექსტის აზრს. ის არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული იმ მიზნით, რომ სამიზნე ენაში არმოიებნა შესატყვისობა. სწორედ ამ მიზეზით ენაში ჩნდება ნასესხობები სხვა კულტურის მქონე იურიდიული სისტემიდან და ეს სიტყვები ასევე ნერგავენ სხვადასხვა ინსტიტუტებს ამა თუ იმ ქვეყანაშიც. ომბუდსმენის აპარატი, როგორც ასეთი საქართველოში არ არსებობდა. არ არსებობდა ასევე ინგლისში. ეს ინსტიტუტი მოდის შვედეთიდან და გერმანული სამართლის გავლით ინერგება ინგლისში და საქართველოში.

დევიდ როდინის მონოგრაფიაში „ომი და თვითმოგერიება“, დასახელებულია ერთ-ერთი იურისტის უესლი ჰოპვუელდის ანალიზი თვითმოგერიების უფლებაზე. ეს იურისტი უფლებას უწოდებს liberty, რაც ქართულად თავისი პირველი მნიშვნელობით ითარგმნება როგორც თავისუფლება, დამოუკიდებლობა, მოურიდებლობა, უფლება. თავად ავტორი შენიშვნის მეშვეობით გვიხსნის, რომ ჰოპვუელდი ამ სიტყვაში გულისხმობს პრივილეგიას, როგორც უფლებას [Rodin D., 2002, გვ.18, 7]. გასაგებია, რომ უფლება გარკვეულ წილად უპირატესობას ნიშნავს კონკრეტული პირისთვის, კონკრეტული ქმედების შესრულებისას, მაგრამ ავტორი მაინც ამჯობინებს გამოიყენოს ამ სიტყვის თანამედროვე, პოლიტიკური და ფილოსოფიური მნიშვნელობა და ეს ცნება მოგვანოდოს უფლების მნიშვნელობით, იმ სახით, როგორც უესლი ჰოპვუელდი წერს.

ისტორიული ლექსიკოლოგია სწავლობს სიტყვის მნიშვნელობას სხვადასხვა ეპოქაში. ლინგვისტურად ამ სიტყვამ განიცადა ევოლუცია. თავისუფლების, როგორც უპირატესობის მნიშვნელობა დღევანდელ იურიდიულ და ფილოსოფიურ ენაში, არის უფლება, განსხვავებით ძველი რომაული სამართლისა, სადაც მართლაც რომ უპირატესობის მატარებელი იყო უფლების მნიშვნელობა რომაელი მოქალაქეებისთვის. თუ ძველი რომის სამართალს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ რომის მოქალაქეებისთვის გარკვეული უფლებები პრიორიტეტული იყო, მაგრამ ეს უფლებები არ ვრცელდებოდა პლებეებზე, ესე იგი არარომაელ ხალხზე. მაგალითად, საკუთრების უფლება, მონის ყოლის უფლება, განათლების მიღების უფლება და სახელმწიფო საქმიანობაში მონაწილეობის უფლება. არც ლაღად ცხოვრების საშუალება ჰქონდათ, ვინაიდან მათი ცხოვრება იყო ბრძოლა გადარჩენისთვის. უარეს მდგომარეობაში იყვნენ მონები, რომლებიც პირდაპირ საგნის ფუნქციას ასრულებდნენ და მეპატრონის მიერ საკუთრების უფლება ისე ვრცელდებოდა მათზე, როგორც მინის ნაკვეთზე, სადაც ისინი მუშაობდნენ. თუ მონა რამეს დააშავებდა მემამულის ტერიტორიაზე, ან სხვა მემამულის საკუთრებაზე, მემამულეს შეეძლო ის მოეკლა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა. [მეტრეველი ვ., 2013,1]

ჩემი მიზანი იყო შემერჩია ამ სიტყვის ზუსტი კონტექსტუალური მნიშვნელობა და მიღებული ფორმა, თანამედროვე, დემოკრატიულ სამყაროში. ამით შევინარჩუნე ტექსტში არსებული შენიშვნა, სადაც ავტორის მიერ განმარტებულია, თუ რას გულისხმობს ჰოჰფელდის სიტყვა თავისუფლებაში. ამ განმარტებას ორიგინალს და თარგმანს ერთდროულად წარმოგიდგინო: „Hohfeld’s term here is ‘privilege’, but I follow standart modern legal and philosophical usage in employing the term ‘liberty’.-„ჰოჰფელდის გამოთქმა, ‘თავისუფლება’, აქ აღნიშნავს უპირატესობას, თუმცა მე ვიყენებ ტერმინი ‘თავისუფლების’ თანამედროვე სტანდარტულ იურიდიულ და ფილოსოფიურ გამოყენებას“. [Rodin D., 2002, 7]

Liberty-თავისუფლება; პრივილეგია, უპირატესობა; უფლება

Full-liberty-სრული თავისუფლება, სრული უფლება

Half-liberty-ცალმხრივი თავისუფლება, უფლება. [Rodin D., 2002, გვ.20, 7]

The difference concerns the question of whether defensive rights are full liberties or half-liberties.[Rodin D., 2002, 7] - განსხვავება ეხება საკითხს, რაც სვამს შემდეგ კითხვას: თავდაცვითი უფლებები სრულ უფლებას მოიცავს თუ ცალმხრივ უფლებას?

It will be remembered that a full liberty is complete discretion to perform or abstain from performing a given act. A half-liberty, on the other hand, is merely a Hohfeldian liberty to perform an act which is compatible with (because entailed by) a duty to perform it. [Rodin D., 2002, 7] - გვახსოვდეს, რომ სრული უფლება არის მოცემული ქმედების შესრულების ან შესრულებისგან თავის შეკავების სრული თავისუფლება. ცალმხრივი თავისუფლება კი, მეორეს მხრივ, არის მხოლოდ ჰოჰფელდისეული თავისუფლების მსგავსი, რომელიც გავს (იმიტომ რომ გამომდინარეობს) ქმედების შესრულების ვალდებულებას.

ამ წინადადებაში ვხვდებით, როგორც სრული უფლების და ცალმხრივი უფლების კონტექსტუალურ გამოყენების მაგალითს, ასევე არის ერთ მნიშვნელოვანი გამონათქვამები განსხვავებული გამომხატველობითი და ვერბალური ფორმით, ასეთებია: full liberty = complete discretion (კეთილგონიერება, სიტვრთხილე; მოქმედების თავისუფლება) და ასევე: compatible with=similar to - მსგავსია. ჯ. ფაინბერგი სრულ და ცალმხრივ უფლებებისადმი

თავის სოციალურ-ფილოსოფიურ ესეებში სახელად „უფლებები, სამართალი და თავისუფლების საზღვრები“ იყენებს განსხვავებულ ტერმინოლოგიას, ესენია: ‘bilateral’ და ‘unilateral’ liberty, რაც ნიშნავს ორმხრივი და ცალმხრივი უფლებები. ორმხრივი უფლება (bilateral liberty), ჰოჰფელდთან მიესადაგება ‘full liberty-ს’, სრულ უფლებას, ხოლო ცალმხრივი უფლება (unilateral liberty), ‘half liberty-ს’, რაც ითარგმნება არა როგორც ნახევარ უფლება არამედ ცალმხრივი უფლება. [Rodin D., 2002, p 20, 7]

There is unusual feature of Hohfeld’s conception of a liberty which should be noted before proceeding. [Rodin D., 2002, 7]-ჰოჰფელდის უფლების კონცეფციაში არის ერთი უჩვეულო საკითხი, რომელზეც კომენტარი უნდა გავაკეთო, ვიდრე გავაგრძელებდე.

In ordinary language, to say that someone has a liberty to do something normally implies that they are free to do thing or not, as they so choose. [RodinD., 2002, 7] სასაუბრო ენაზე, რომ ვთქვათ, რომ ვინმეს აქვს რაღაცის გაკეთების თავისუფლება, ჩვეულებრივ გულისხმობს, რომ მათ აქვთ ამის შესრულების ან შესრულებისგან თავის შეკავების თავისუფლება.

A Hohfeldian liberty is compatible with a duty to do that thing. [Rodin D., 2002, 7]-ჰოჰფელდისეული უფლება გავს ამ ქმედების შესრულების ვალდებულებას.

Joel Feinberg suggests that we refer to the liberty to perform a certain action and liberty to abstain from performing is as two ‘half-liberties’, and refer to their conjunctions as a ‘full liberty’.[Rodin D., 2002, 7] ჯოელ ფაინბერგის აზრით, უფლებას ვიყენებთ გარკვეული ქმედების შესრულებისის შემთხვევაში და ორ ცალმხრივ უფლებას გარკვეული ქმედების შესრულებისგან თავის შესაკავებლად.

როული წინადადებების თარგმანი

ერთერთი სირთულე, რომელსაც მთარგმნელი აწყდება იურიდიული ტექსტების თარგმანის დროს არის წყარო ტექსტიდან სინტაქსურად როული წინადადებების გადმოთარგმნა. იმისათვის რომ მთარგმნელმა გადალახოს მსგავსი წინააღობა, მან უნდა

გაითვალისწინოს სამი ფაქტორი: რთული წინადადების შიდა სტრუქტურა, წინადადების წევრების ურთიერთ მიმართება და მათი მობილობა თარგმანში და ბოლოს, სამიზნე ენაზე წინადადების აგების ტექნიკა, რომელსაც იყენებენ გამოცდილი მთარგმნელები. ამ მიზნით, მკვლევარები ცდილობენ დაადგინონ ყველაზე დამახასიათებელი ელემენტები, რაც კი ახასიათებს ინგლისურ საკანონმდებლო ენას. ამ მიზნით შეიძლება განვსაზღვროთ ინგლისური წინადადების შემადგენელი ნაწილების გრამატიკული ურთიერთ მიმართება და მათი გადმოტანის წესები სამიზნე ენის სინტაქსურ-გრამატიკულ თანმიმდევრობასთან შედარებით. [researchgate.net, 12]

მაგ.: He did, however, admit that judges and lawyers often use the term 'right' to refer to liberties, powers and immunities, so his restrictive definition of rights as claims is probably best seen as a plea for terminological clarity rather than an attempt to provide a comprehensive analyse of the concept. [Rodin D., p.22; 7] - ის სამართლიანად მიიჩნევს, რომ მოსამართლეები და იურისტები, ხშირად, ტერმინს „უფლება“, იყენებენ პრივილეგიებთან, შესაძლებლობებთან და იმუნიტეტთან მიმართებაში, ამგვარად, მისი უფლებების, როგორც მოთხოვნების გარკვეული განსაზღვრა, ალბათ საუკეთესოა როგორც ტერმინოლოგიური თვალსაჩინოებისთვის, ვიდრე მოცემული კონცეფციის შედარებითი ანალიზის გაკეთების მცდელობა.

The basic problematic of defensive action can be defined as the question of how far the permission to defend a particular good properly extends where the defensive measures are themselves harmful, or would otherwise be impermissible. [Rodin D., p.40; 7] - თავდაცვითი ქმედების ძირითადი პრობლემა შეიძლება განიმარტოს შეკითხვით, თუ რამდენად შორს მიდის კონკრეტული სიკეთის დაცვის ნებართვა, როდის ხდება დაცვა საშიში, ან იქნებოდა თუ არა სხვანაირად დაუშვებელი.

დასკვნა

ამრიგად, ტექსტის თარგმნამ და შემდეგ მისმა ანალიზმა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ იურიდიული თარგმანი განსხვავებულია თავისი სპეციფიკით. არ არსებობს ერთი სახის იურიდიული ტექსტი. ამას განაპირობებს სხვადასხვა ქვეყნის კულტურა, ტრადიცია. ასევე ტექსტის სტრუქტურა. იურიდიული ტექსტი ტექნიკური ტექსტია, მაგრამ არა ისეთი, როგორც მათემატიკაში, ის წმინდა ტექნიკური და შეუძლებელია მათემატიკურ ტექსტში მოხდეს ისეთი პრობლემის თავიდან აცილება, როგორც ცნების, წინადადების საზრისის ვარიანტულობაა. სწორედ ამიტომ სამართლის ტექსტი არის ტექნიკური ტექსტის სტილისკენ მიმართული და არა მთლად ტექნიკური, ვინაიდან ის ერთმნიშვნელოვნად გადმოსცემს აზრს, და არ იწვევს ორაზროვნებას. კარგი იურიდიული არგუმენტი არ ბადებს ეჭვს სასამართლოში.

განსხვავებული კულტურის ქვეყნები, რომლებსაც განსხვავებული იურიდიული სისტემაც აქვთ, მთარგმნელობითი გზით შემოდიან სხვა კულტურის ქვეყნებშიც და ნერგავენ არა მარტო ახალ ინსტიტუტებს, არამედ ახალტერმინებსა და უცხო სიტყვებს. ახალ ტერმინებისა და უცხო სიტყვების შემოსვლა-დამკვიდრებით, ერთი შეხედვით, არაფერი შავდება. ეს მიღებული პრაქტიკაა და ყველა ეპოქაში ხდებოდა და ახლაც ხდება. ეს უცხო სიტყვები არ ითვლება ბარბარიზმებად, რადგან ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თუ ეს ხდება ყველა წესისა და ნორმის დაცვით, არ თვლის არამართებულად მათ გამოყენებას.

მთარგმნელმა უნდა შეძლოს განსაზღვროს და შეძლებისდაგვარად თარგმანშიც ასახოს იურიდიული ტექსტის თავისებურებანი. მთარგმნელი უნდა ჩანვდეს კონკრეტული ტექსტის ავტორის სამეტყველო მანერას. მან, ჯერ როგორც მკითხველმა, გულდასმით უნდა წაიკითხოს ტექსტი, შემდეგ კი წაიკითხოს უკვე, როგორც მთარგმნელმა, შეისწავლოს იგი, ცალკე უნდა ამოიწეროს სტილისტური ფორმები, რომლებიც მთელ ტექსტშია გაფანტული და მეორდება. ეს დაეხმარება საბოლოოდ სტილისტური წრის შეკვრაში, ტექსტის გააზრებასა და თარგმანშიორიგინალის ტექსტში მრავალი ლინგვისტური ნასესხობა შეგვხვდა. შეგვხვდა მრავალი ლათინურიდან შემოსული, როგორც ძველი, ასევე შედარებით ახალი იურიდიული ტერმინი მაგ.: იუსტიცია (IUSTITIA ლათ. მართლმსაჯულება), ადვოკატი (Advocatus ადვოკატი). თანამედროვე ტერმინებიდან შეგვიძლია დავასახელოთ პარლამენტი (parlement, parler საკონტრენციო დარბაზი) [ლექსიკონი; 4]

იურიდიულ ტექსტში შევხვდებით არა მხოლოდ ცალკეულ ლათინურ ტერმინებს, არამედ ლათინურ ფრაზებსაც. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელს სამიზნე აუდიტორიის აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინებით შეუძლია ლათინური ფრაზა თარგმნოს და ამით უფრო გასაგები გახადოს მკითხველისთვის ან დატოვოს ორიგინალურ (ლათინურ) ენაზე. მე გადაწყვიტე დამეტოვებინა ორიგინალის ენაზე არსებული ლათინური სენტენციები და ტერმინები და ასევე დავურთე თარგმანი. ისეთი სახელები, რომლებიც არიან არა უბრალოდ გამოთქმები, არამედ, როგორც დასახელებები, (ამ შემთხვევაში სამართლის წესების კრებულის სახელები: Jus in bello და Jus ad bellum) თარგმანში გადმოვიდნენ ორიგინალურ (ლათინურ) ენაზე, წინადადების მთავარი წევრის სახით. დანარჩენ შემთხვევაში (ex causa-მიზეზით; prima facie-ერთი შეხედვით), ტექსტში მოცემული ლათინური გამოთქმები ვთარგმნე და ფრჩხილებში მოვათავსე მათი ორიგინალური შესატყვისობები. ამით შევინარჩუნე წიგნის ერთერთი ორიგინალური მხარე, რომელსაც კლასიკურ ენაზე მოცემული გამოთქმები ანიჭებდა.

ორიგინალის ტექსტი ხშირად უცხო ცნების გადათარგმნისას გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნის. თუ კონკრეტული ცნება ახალია და არ არსებობს ჩვენს რეალობაში, უნდა

გამოვიყენოთ მონოლინგვისტური ლექსიკონი და ამ სიტყვის ადგილას ჩავსვათ მისი განმარტებითი მნიშვნელობა და ფრჩხილებში თავად ეს სიტყვა. დროთა განმავლობაში ეს სიტყვა თავის ადგილს ისევე დაიმკვიდრებს უცხო გარემოში, როგორც ეს მოხდა, მაგალითად ტერმინების კონტრაქტი, ტუტორი და სხვ. შემთხვევაში. თუმცა ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი იმ აზრსაც უნდა იყოს შეგუებული, რომ ენამ შეიძლება მის მიერ შეთავაზებული ვარიანტი არ მიიღოს.

დევიდ როდინის მონოგრაფიაში „ომი და თვითმოგერიება“ ორ ასეთ სიტყვას შევხვდით. ეტიმოლოგიურად ორივე ბერძნულია, მაგრამ, როგორც იურიდიული ტერმინი, ქართულში არ გვხვდება და საჭირო გახდა, მცირე განმარტების სახით შეთარგმნა. პირველი სიტყვა არის deontic, რაც ნიშნავს მორალურ ვალდებულებით ან მორალური ვალდებულების; მეორე კი alethic და ნიშნავს ჭეშმარიტს, ჭეშმარიტებასთან დაკავშირებული [ლექსიკონი, Merriam-webster.com, 6].

დევიდ როდინის მონოგრაფიის „ომი და თვითმოგერიება“ წარმოდგენილი მონაკვეთი ამ მეთოდოლოგიით ვთარგმნე და შევეცადე უპირველესად გამეგო და სწორად გამეაზრებინა ავტორის სათქმელი და შემდეგ კი უდიდესი სიზუსტით დამეცვა ორიგინალის ტექსტის მნიშვნელობა საზრისი და მიზანი.

შედარებითი სამართალი (Comparative Law) სწავლობს სხვადასხვა იურიდიულ სისტემებს და ცნებებს. ერთი და იგივე ცნება საერთო სამართლებრივი სისტემის ორ ქვეყანას შორისაც კი შეიძლება ოცოს განსხვავებული. მაგალითად ამერიკულ იურისტებს ჰგონიათ ხოლმე რომ ესმით დიდი ბრიტანეთის სამართალი და მისი სტრუქტურა. ეს ასე არ არის. ამერიკული მიხედვით, რომ საუბარია დიდ მამულზე, თავისი ფართის მიხედვით.

ამერიკული ინგლისური და ბრიტანული ინგლისური არა მარტო ცალკეული სიტყვების სხვადასხვა მნიშვნელობით განსხვავდებიან, არამედ ერთი და იგივე სიტყვის განსხვავებული და მრავალი მნიშვნელობითაც. მაგალითად: სიტყვა fee ამერიკულ ინგლისურ ენაზე ნიშნავს უძრავ ქონებას, როგორც არის მიწის ნაკვეთი, მოდის ფეოდალური სამართალიდან და ამასვე უკავშირდება ამ სიტყვის მნიშვნელობა, როგორც გადასახადი. ინგლისურ სამართალში,

ნიშნავს ფიქსირებულ გადასახადს [ლექსიკონი; cambridge-dictionary.com, 7]. ესე იგი როდესაც ამერიკელი საუბრობს მამულზე ინგლისელმა არ უნდა გაიგოს თითქოს საუბარი იყოს გადასახადზე. თუ ამერიკელი ამბობს რომ აქვს დიდი მამული, გარკვეული თვალსაზრისით კი ნიშნავს რომ დიდ მამულს ექნება დიდი გადასახადიც, მაგრამ იურიდიული ტექსტი სწორედ რომ ამიტომ არის ზუსტი ესე იგი ტექნიკური, და არ უნდა ბადებდეს ორაზროვნებას.

ეს გახლავთ ჩემი ძირითადი მეთოდოლოგია იურიდიულ თარგმანში. იურიდიული თარგმანი ჩემთვის არის იგივე მეცნიერული თარგმანი, სადაც უდიდესი სიზუსტით უნდა იყოს დაცული ორიგინალი ტექსტის მნიშვნელი, საზრისი, მიზანი და დასკვნა. ის ზუსტად იმ წერტილებს უნდა გადიოდეს რასაც ორიგინალური ტექსტის კომპოზიციური წრე გადის და ბოლო წერტილში იკვრება და ქმნის ჰარმონიას ანუ დასრულებულ აზრს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეტრეველი ვ., რომის სამართალი. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2013.
2. რამიშვილი ვ., XX საუკუნის ფილოსოფია, ნაწილი II, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2016.
3. „ჩემი სამყარო“, ჟურნალი, N3.
4. ძონენიძე ნ. ინგლისური ენის ლექსიკოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
5. Gogsadze L., Mamatsashvili N., Gigineishvili M. An Advanced Course In Current English Grammar, Volume I, Third Edition, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2013.
6. Putkaradze.ge ქართული ენის ისტორია.
7. Rodin D. “War and Self-defense”, Clarendon Press Oxford 2002.
8. International Committee of the Red Cross [CH] www.icrc.org/document/jus-ad-bellum-jus-in-bello.
9. , House J., Translation , Oxford University Press, 2009.
10. Nplg.gov.ge

11. Translation Issues in Language Usage and Law, edited by Frances Olsen, Alexander Lorz, Dieter Stein, Palgrave Macmillan 2009.
12. www.researchgate.net

ლექსიკონები

1. გაგუა ი., გამყრელიძე ე., Lingua Latina. გამომცემლობა „ლოგოსი“ 2007.
2. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი შემდგენლები: თ. და ი. გვარჯალაძეები გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბილისი 2003,
3. ინგლისურ-ქართული უნივერსალური იურიდიული და ბიზნეს ლექსიკონი ავტ.: რ. ბერულავა, გამომცემლობა „იბერთედ-პრესი“, თბილისი, 2006.
4. ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია. ალექსიძე ლ., გაგუა ი., დანელია მ., კობახიძე ე., რუხაძე ნ. რედ.: გაგუა ი; რეცენზ.: ტონია ნ., ბოსტანაშვილი დ. პროექტი განხორციელდა: შოთა რუსთაველია ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის N11/30 მეშვეობით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. გამომცემლობა მერიდიანი, 2015 ISBN 978-9942-25-036-1.
5. ყუხჩიშვილი ს., ლათინურ-ქართული ლექსიკონი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი, 1961.

6. [merriam-webster.com](https://www.merriam-webster.com)
7. [Dictionary. cambridge.org](https://dictionary.cambridge.org)
8. [ka.glosbe. com](https://ka.glosbe.com)
9. [Oxford Dictionary.com](https://www.oxforddictionary.com)